პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 თებერვალი ოთხშაბათი 2010

№032(13020) ფასი 60 თეთრი

# ფაჩულიას ტრავმამ ექიმები დააშინა



» გვერდი 12

# ურჯუკაშვილის დაგვაკლდება




» გვერდი 13

# კასაბიევი ახლა პოლონეთისთვის იბრძოლებს



**საქართველოსძალოსნობის ეროვნული ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ ათენისა და პეკინის ოლიმპიადების მონაწილე არსენ კასაბიევი ამიერიდან პოლონეთის სპორტულ ღირსებას დაიცავს, რადგან ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო და ერთ-ერთ იქაურ კლუბში ვარჯიშობს.**

- პოლონეთის ძალოსნობის ფედერაციიდან წერილი მივიღეთ, - გვითხრა საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რამაზ გურგენიძემ, - იქაური კოლეგები გვანამუსებენ, წლების განმავლობაში თქვენი ძალოსნები ჩვენთან ემზადებოდნენ (რაც საქართველოს სოლიდურ თანხად უჯდებოდა - ავტ.) და, იმედია, არსენ კასაბიევს ჩვენი სახელით ასპარეზობაში ხელს არ შეუშლითო.

**- მერე, თქვენ დათანხმდით?**

- კასაბიევი წელიწად-ნახევარია, შეჯიბრებებზე არ გამოსულა, ამიტომ მას, ფაქტობრივად, შეუძლია, ნებისმიერი ქვეყნის ღირსება დაიცვას. პასუხად პოლონელ კოლეგებს მივწერეთ, რომ კასაბიევის წლების განმავლობაში მომზადებისთვის ჩვენმა ფედერაციამ საკმაოდ დიდი თანხა დახარჯა, ამიტომ საკომპენსაციო მოთხოვნები გვექნებოდა, თუმცა არ დაგვიკონკრეტებია, რა. მათ წერილს დაველოდებით.

**- თანხმობის საფასურად რას მოითხოვთ?**

- წინააღმდეგობას აზრი არა აქვს. სხვა რა შეგვიძლია - ინვენტარსა და ჩვენი ძალოსნების ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე მიწვევას თუ ვთხოვთ. პოლონეთში ხშირად იმართება საერთაშორისო დონის შეჯიბრებები, ამდენად, თანამედროვე ინვენტარიც თავზე საყრელად აქვთ. გარკვეული ნაწილის ჩვენთვის დათმობა, წესით, არ უნდა დაენანოთ...

» გვერდი 11

# ინტერი ქართველებმა გადაარჩინეს

## ლომაია შეუდარებელი იყო, ოდიკაძემ გამარჯვებისა შეაგდო





» გვერდი 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერის მოლოდინში

# ხოჭოლავა სპარტაკის მორიგ შეკრებაზე

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **დათა ხოჭოლავა** მოსკოვის „სპარტაკის" დუბლშემადგენლობასთან ერთად იტალიურ შეკრებაზე წაიყვანეს. ეს არის 16-კაციანი ჯგუფი, რომელშიც ქართველი თავდამსხმელი ასაკით ყველაზე პატარაა. ბუნებრივია, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია.

16 წლის ფორვარდმა „სპარტაკის" შემადგენლობაში რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა გამართა და მართალია, გოლი ვერც ერთში ვერ გაიტანა, მაგრამ მოსკოველებმა ნიჭიერი ბიჭის მორიგ შეკრებაზე წაყვანა გადაწყვიტეს, რომელიც 18 თებერვალს დაიწყება. ამ ფაქტიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ „სპარტაკს" ფეხბურთელი არ დაუწუნებია და მის მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ ამოძრავებს, ან შესაძლოა, გაუძლიერდა კიდეც.

თუმცა ჩაირიცხება თუ არა ხოჭოლავა „სახალხო გუნდში", ეს თურქული შეკრების შემდეგ გადაწყდება. ამის გამო ფეხბურთელი ინტერვიუებს ერიდება. საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს" გენერალური დირექტორი **კახა ჭუმბურიძე** კი გვიდასტურებს, რომ დათას ჯერ კიდევ აკვირდებიან.

შეგახსენებთ, ხოჭოლავა მარტში იტალიურ კლუბ „ემპოლიში" ვარჯიშობდა, მაგრამ არაევროკავშირელებისთვის შექმნილი პრობლემების გამო ვერ ჩაირიცხა.

**მერაბ ამულაშვილი**

გაგრა

# კამერუნელით ველარ გაძლიერდნენ

## ნადირაშვილი მალე ვარჯიშს განაახლებს

კამერუნელი 18 წლის მარჯვენა მცველი **არნო ჩენსუ ჩასემი** „გაგრამ" მხოლოდ მეორე ეტაპის დაწყების დღეს დაიმატა. მასთან ერთწლიანი კონტრაქტი თბილისის „დინამოსთან" მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გააფორმეს და კლუბს მისი დიდი იმედიც ჰქონდათ.

არნო ჩასემის დებიუტი თბილისის „დინამოსთან" მატჩში ჰქონდა, მაგრამ უკვე უკვე მე-19 წუთზე შეცვალეს. ერთ-ერთ დინამოელთან შეჯახება ფეხბურთელისთვის სავალალო შედეგით დასრულდა - მოედანი დატოვა და სასწრაფო სამედიცინო დახმარებისთვის ეგრეთ წოდებულ მიხაილოვის საავადმყოფოში გააქანეს.

როდის დაუბრუნდება კამერუნელი მოედანს, ჯერჯერობით უცნობია. ჩენსუმ უმძიმესი ტრავმები მიიღო - მარცხენა ფეხის კოჭი მოიტეხა, რამდენიმე ადგილას კი ამოვარდნები აქვს. ცნობისთვის, ჩენსუ ჩვენთვის კარგად ცნობილი ფორვარდის **ერიკ რომეო ჩასემის** ძმა გახლავთ. ეს უკანასკნელი კარგა ხანს წარმატებით გამოდიოდა ბოლნისის „სიონში" და მშვენიერი მონაცემებითაც გამოირჩეოდა, მაგრამ „ზესტაფონში" გადასვლის შემდეგ თავდამსხმელს პოზიცია შეუცვალეს და ძველებურად ველარ ჩანდა.

სამაგიეროდ, წარმატებული ოპერაციის შემდეგ ფეხზე წამოდგა „გაგრის" მეკარე **ლადო ნადირაშვილი**. მას მენისკის ოპერაცია გაუკეთეს. საბედნიეროდ, მისი შიში არ გამართლდა:

*„როგორც კი ფეხი ამტკივდა, პირველი, რაც ვიფიქრე, ჯვარედინი იოგები არ მქონოდა გაგლეჯილი. საბოლოოდ, ეს შიში არ ამიხდა, ოპერაცია გავიკეთე და მალე ვარჯიშსაც დავიწყებ"*, - გვითხრა ნადირაშვილმა.

**მერაბ ამულაშვილი**



U 17

# ბელგიამ ფრე გამოგვტაცა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ბელგიელ თანატოლებთან პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ფრედ (1:1) ითამაშა. მეტოქემ ქალაქ ტუბიცეში გვიმასპინძლა.

შეხვედრის უდიდესი ნაწილი **გიორგი დევდარიანის** გუნდის უპირატესობით წარიმართა. პირველი ტაიმის შუაწელში ანგარიში **კოშაძემ** გახსნა. ჩვენს გუნდს ამის შემდეგაც შეეძლო მეტოქის კარის დალაშქვრა - კარგი საგოლე შანსები დაკარგეს **ჭანტურიამ, ყაზაიშვილმა, პარუნაშვილმა...**

მატჩის ბოლოს საქართველოს ნაკრებს დაღლა დაეტყო, რითიც მასპინძლებმა ისარგებლეს და მატჩის დასრულებამდე ათიოდე წუთით (თამაში 80 წუთს გაგრძელდა) ადრე ანგარიში გაათანაბრეს.

მიუხედავად ამისა, დევდარიანი მაინც კმაყოფილი დარჩა. მისი თქმით, გუნდი მგზავრობამ დაღალა და მოგების ხელიდან გაშვების მიზეზიც ეს გახდა. მწვრთნელი იმედოვნებს, რომ მისი შეგირდები მასპინძელთა ძლევას ხვალ, ქალაქ ლუვიენში შეძლებენ.

გუშინ კი დევდარიანის გუნდმა ამ შემადგენლობით ითამაშა: **ლეგაშვილი, ხარაბაძე, გაგნიძე, ტვილდიანი, დოლიძე, პარუნაშვილი, ყაზაიშვილი, პაპავა, სხირტლაძე, ჭანტურია, კოშაძე.** შეცვლაზე შევიდნენ: **ფარჯიკია, არაბული, ხუბუა.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

რა არ ხდება!



# ქართველი გერმანიის ნაკრებში, გერმანელი საქართველოში

## აკაკი გოგია გერმანიის 18-წლამდელებს შეკრებაზე მიჰყვება

**როგორც ვწერდით, „ბაიერნის" იუნიორებში თამაშობს 16 წლის ნახევარმცველი ლუკას ჰუფნაგელი, რომელიც დედით (ფიქრია აფციაური-ჰუფნაგელი) ქართველია. ქალბატონ ფიქრიასა და მისი მეუღლის სურვილი ყოფილა, ლუკასმა საქართველოს ნაკრებში ითამაშოს.**

**გუშინ თავად ოჯახთან დაკავშირებაც - ქალბატონ ფიქრიასთან ინტერნეტით ინფორმაციები გავცვალეთ. მისგან საინტერესო ამბები გავიგეთ.**

**- ქალბატონო ფიქრია, ორი წლია თქვენი ბავშვის ამბავი გვესმის, მაგრამ საქართველოდან კონკრეტულად ვინმე გელაპარაკათ?**

- ფეხბურთის ფედერაციიდან გია ფირცხალავა დამიკავშირდა და შემოგვთავაზა, პირველიდან ათ თებერვლამდე ლუკასს საქართველოს ასაკობრივ ნაკრებში ევარჯიშა. მიწვევამ ჩვენ ძალიან გაგვახარა, საკითხი დადებითად გადავწყვიტეთ და საქართველოში გამოსამგზავრებლად თვითმფრინავის ბილეთებიც შევიძინეთ. სამწუხაროდ, საქართველოში ჩამოსვლამდე, 29 იანვარს, „ბაიერნის" ვარჯიშზე ლუკასს კუნთი დაეჭიმა და ამის გამო მისი ჩამოსვლა დროებით გადაიდო. ამის მიუხედავად, მე მაინც ჩამოვედი საქართველოში და შეთანხმებისამებრ, ბატონ ფირცხალავას ფეხბურთის ფედერაციაში ვეწვიე. მასთან ერთად ბრძანდებოდა ბატონი ალექსანდრე ჩივაძეც... ძალზე სასიამოვნო და საქმიანი საუბარი შედგა. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ჩემი შვილით ასე დაინტერესდნენ. გამოჯანმრთელების შემდეგ ლუკასს საშუალება მიეცემა, საქართველოში სინჯებზე ჩამოვიდეს და მერე მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული, შეძლებს თუ არა საქართველოს ნაკრებში თამაშს.

**- ლუკასს გერმანიის 17-წლამდელთა ნაკრებში არ იწვევენ?**

- 16 წლის ამ წელს გახდა და გერმანიის ნაკრებიდან შემოთავაზება ჯერ არ მიუღია.

**- გერმანელი მამა შვილის საქართველოს ნაკრებში თამაშის პერსპექტივას როგორ უყურებს?**

- გერმანელი მამა თანახმაა. მისთვისაც, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ლუკასის ბავშვობის სურვილი ქართულ ნაკრებში თამაშია.

**- ქართული ფეხბურთი რომ ცუდ მდგომარეობაშია, ეს არ გაფრთხობთ?**

- რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, ქართული ფეხბურთი უკეთეს მდგომარეობაში იყოს, მაგრამ ამგვარი გამოცდილების მიღება მოზარდი ფეხბურთელისთვის ნამდვილად სასურველია. ასე ჰგონია მის მწვრთნელსაც. და საერთოდ, უცხოეთში ფეხბურთელთა მოძიება იქნებ ალმავლობის წინაპირობაც გახდეს ქართული ფეხბურთის.

დიდი სირთულეების მიუხედავად, გერმანიაში **აკაკი გოგიას** ოჯახთან დაკავშირებაც მოვახერხეთ. შეგახსენებთ, რომ 17 წლის შემტევი ნახევარმცველი გერმანიის ჩემპიონ „ვოლფსბურგის" დუბლშემადგენლობაში წელს 19-წლამდელთა გუნდიდან გადაიყვანეს, სადაც საკმაოდ შედეგიანი თამაშით გამოირჩეოდა.

აკაკისთან დაკავშირება საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ გუცაევმაც** სცადა, რაც „ლელოსთან" საუბარში გაამხილა, მაგრამ ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე - ითამაშებს თუ რა აკაკი გოგია საქართველოს ნაკრებში. გუცაევი თავად ფეხბურთელთან დალაპარაკებას აპირებდა, მაგრამ... ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ გუცაევი მიხვდება, რომ გოგიასთან საუბარი აზრს კარგავს.

გუშინ ფეხბურთელს გერმანიაში დავუკავშირდით. ყურმილი აკაკის დედამ, ქალბატონმა მანანამ აილო. თავად აკაკი შინ არ აღმოჩნდა...

- სიამოვნებით დაგელაპარაკებდით, მაგრამ აკაკი სახლიდან ახლახან გავიდა, კლუბში დაიბარეს, - გვითხრა ქალბატონმა მანანამ.

**- იქნებ, მობილურის ნომერი გვითხრათ და ასე დავუკავშირდებით.**

- აკაკის გარეშე ვერ გეტყვით...

**- მასზე არაფერი ვიცით და იქნებ, გვითხრათ, სად იზრდებოდა, რამდენი ხანია, რაც უცხოეთში ცხოვრობთ და ასე შემდეგ. მოკლედ, გაეცანით ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს...**

- რუსთავში ვცხოვრობდით. უკვე მეათე წელია, გერმანიაში ვართ. ბავშვს კარიერა რომ აეწყო, ამის გამო ყველაფერი გავყიდეთ და გადმოვედით. აკაკი, როგორც ფეხბურთელი, გერმანელებმა გაზარდეს.

**- რომელ გუნდებში ვარჯიშობდა?**

- „ჰანოვერი" თუ გაგიგიათ?

**- რა თქმა უნდა...**

- ჰოდა, იქ ვარჯიშობდა სამი თუ ოთხი წელი, 13 წლიდან კი „ვოლფსბურგში" გადავიდა და მერე დუბლებშიც დააწინაურეს. ხან მარცხენა ფლანგზე თამაშობს, ხან - მარჯვენაზე. ცაცია არ არის და მიუხედავად ამისა, მარცხენა ფეხით ბევრი გოლი აქვს გატანილი.

**- საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვლადიმერ გუცაევს აკაკის გამოძახება სურდა, მაგრამ... თქვენი ვაჟის პასუხი უცნობია.**

- თურმე, ვილაცას დაუწერია, რატომ არ ჩამოდისო? აკაკი გერმანელებმა გაზარდეს, პასპორტი მისცეს და აქ რომ ითამაშოს, მოღალატედ უნდა მიიჩნიონ?

**- უბრალოდ, გაგვიხარდება, თუ საქართველოს ნაკრებში ითამაშებს. თუმცა ეს მისი ასარჩევია...**

- აკაკი გერმანიის 18-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს და მალე დუბაის შეკრებაზე წაიყვანენ. სხვათა შორის, გერმანიის ნაკრებში ადრეც ითამაშა.

**- როდის?**

- გასულ წელს, თუმცა არ მახსოვს, რა ტურნირი იყო.

**- რამდენი მატჩი ჩაატარა?**

- ერთი. ახლა ისევ დაინტერესდნენ...

**მერაბ მამულაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერის კვალდაკვალ



# გიორგი ნერგაძე ფოლკსვაგენის გუნდში

## რაინერ ცობელი: ნერგაძე უნივერსალია

გიორგი ნერგაძე პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელიც სამხრეთ აფრიკაში ითამაშებს. იოჰანესბურგის „მოროკა სვალოუვსმა“ თბილისის „დინამოს“ ყოფილი მოთამაშე ზამთარში გასინჯა და მისი დატოვება გადაწყვიტა. 27 წლის საყრდენი ნახევარმცველის ტრანსფერს პოპულარული ინტერნეტ-პორტალი goal.com გამოეხმაურა.

## ქართველი ფეხბურთელი მოროკა სვალოუვსში ისინჯება

სამხრეთ აფრიკის პრემიერლიგის დაწყებამდე, „მოროკა სვალოუვსი“ გაძლიერებას გეგმავს. ამ მიზნით კლუბში გასინჯვაზე ქართველი ნახევარმცველი მიიწვიეს. **გიორგი ნერგაძე** იოჰანესბურგში იანვრის დასაწყისში ჩავიდა, მაგრამ მთავარი მწვრთნელი **რაინერ ცობელი** მალევე მოხიბლა. გერმანელი სპეციალისტი კლუბის ხელმძღვანელობას ნერგაძის ჩარიცხვას ურჩევს. ცობელმა, რომელიც 27 წლის ნახევარმცველს თბილისის „დინამოში“ მუშაობიდან იცნობს, ნერგაძე შეაქო:

*„ვარჯიშებზე მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დიდი შანსია, კონტრაქტი გააფორმოს. ნერგაძე უნივერსალური მოთამაშეა, რომელსაც თანაბრად შეუძლია ნახევარდაცვაში, დაცვის ცენტრსა და მარჯვენა ფლანგზე თამაში“.*

გია ნერგაძეს რამდენიმე კლუბში უთამაშია, მაგრამ უცხოეთში - არასდროს. წყალტუბოს „სამგურალის“, ქუთაისის „ტორპედოს“, თბილისის „დინამოსა“ და „ბორჯომის“ შემდეგ, 27 წლის მოთამაშე პირველი უცხოური კლუბის მაისურას მოირგებს. მართალია, ამის სურვილი ადრეც ჰქონდა, მაგრამ ყაზახურ და აზერბაიჯანულ კლუბებში გადასვლა ვერ მოახერხა.

გიორგი ორიოდე დღით დაბრუნდა საქართველოში. ჩვენც ვისარგებლეთ შემთხვევით და გავესაუბრეთ...

**- გიორგი, სამხრეთ აფრიკაში პირველი ქართველი ფეხბურთელი ხარ. როგორი იყო შენი პირველი შთაბეჭდილება?**

- ძალიან მაგარი ქვეყანაა და საკმაოდ განვითარებული ფეხბურთი აქვთ. სხვათა შორის, ძალიან გამიკვირდა, ჩავედი თუ არა, კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩემზე საკმაოდ დეტალური ინფორმაცია გამოაქვეყნეს, ჩემი გატანილი გოლები დადეს და ა.შ.

**- „მოროკა სვალოუვსი“ რა დონის კლუბია?**

- სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატის თამაშები ვნახე და ძალიან გამიკვირდა, არ მეგონა, ამ დონის ფეხბურთს თუ თამაშობდნენ. პირობები, ფეხბურთელები კი საშუალო ევროპული დონისაა. შეხვედრები ვნახე და საკმაოდ მაღალ ტემპში მიმდინარეობდა, სამხრეთაფრიკელები საკმაოდ ტექნიკურებიც არიან. ძლიერი გუნდია და უმთავრესად სულ ადგილობრივები თამაშობენ. სულ ორიოდე ლეგიონერი თამაშობს. ამჟამად თექვსმეტგუნდიან ჩემპიონატში მერვე ადგილზეა. საერთოდ, სამხრეთ აფრიკაში ძალიან ბევრი სხვადასხვა თასის გათამაშებაა, რომელშიც მონაწილეობენ და სიმართლე გითხრათ, ჯერ ამ ტურნირებში კარგად ვერც გავერკვიე. სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატის გამო ეროვნულ ჩემპიონატს თებერვალში ამთავრებენ. სხვაგვარად, ტურნირისთვის კარგად მომზადებას ვერ ახერხებდნენ და ამიტომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება.

**- აფრიკელები ათლეტურები, ჯანიანები არიან, რასაც შენზე ვერ ვიტყვით და ვარჯიშზე არ გაგიჭირდა?**

- ისეთი გადარეულებიც არ არიან, გარედან რომ ჩანს. მართალია, ბევრი ძალიან ათლეტურია, მაგრამ დაბალი და სუსტებიც ვნახე. ასე რომ, პირიქით, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ნაღდად არ გამჭირვებია.

**- ცობელი როგორ დაგხვდა?**

- ძალიან კარგად. თავად დამიკავშირდა და გადასვლა შემომთავაზა, რამაც ძალიან გამახარა. აეროპორტშიც დამხვდა და ძალიან კარგად მიმიღო.

**- თუ არ მეშლება, სწორედ ცობელის იდეა იყო შენი ნახევარდაცვიდან დაცვაში გადაყვანა.**

- ცობელი ხშირად მათამაშებდა, მაგრამ ამის გამოცდილება მანამდეც მქონდა. ფაქტია, რომ გუნდში იმიტომ მიმიწვია, რომ რამდენიმე ადგილას თამაში შემიძლია.

**- საინტერესოა, თუნდაც, სამხრეთაფრიკელთა ფინანსური მდგომარეობა - ამითაც კმაყოფილი დარჩი?**

- დიახ, ძალიან კმაყოფილი ვარ. ქვეყანაც მდიდარია და კლუბებსაც არ უჭირთ. „მოროკა სვალოუვსს“ ბევრი სპონსორი ჰყავს, მაგალითად, სპონსორი „ფოლკსვაგენი“. სტადიონებზე ალარაფერს ვამბობ, თავი ევროპაში მეგონა. სავარჯიშო ბაზები და ხარისხიანი მოედანი პრობლემა არაა. სამხრეთ აფრიკა წელს მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს და ინფრასტრუქტურა მაღალ დონეზეც უნდა ჰქონდეთ. ამისთვის მთელი ქვეყანა ემზადება. ძალიან ლამაზი სტადიონები ააშენეს, სადაც თამაში დიდი სიამოვნებაა.

**- შენი აზრით, სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატში დამკვიდრებას მოახერხებ?**

- ჩვენზე უკეთესი ჩემპიონატია, მაგრამ ამის იმედი მაქვს. ეტყობა, ცობელსაც სჯერა, რომ გუნდს გამოვადგები.

**- იოჰანესბურგი მშვიდი ქალაქია?**

- დიახ, მშვიდი და ძალიან კარგი ქალაქია.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# ინტერი ქართველებმა იხსნეს

ქართველებმა „ინტერი“ იხსნეს - ეს აზერბაიჯანში ყველაზე პოპულარული საიტის, „აზერისპორტის“ სათაურია. ჩემპიონატის ლიდერი „ინტერი“ სუმგაითის „სტანდარდს“ „ესტუმრა“ (თამაში „შაფაზე“ ჩატარდა) და **დავით ოდიკაძის** ერთადერთი გოლის წყალობით 1:0 მოუგო. ამ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა გუნდის თავკაცი **კახა ცხადაძე**, რომელსაც დისკვალიფიკაცია დაუსრულდა. კარში **გიორგი ლომაია** იდგა, დაცვაში კი **გიორგი ნავალოვსკის** დებიუტი შედგა, მარჯვენა ფლანგზე 85-ე წუთამდე დავით ოდიკაძე ვიხილეთ. შეგახსენებთ, რომ „სტანდარდი“ ცხადაძის ყოფილი გუნდია, ახლა კი მას კახასთვის კარგად ნაცნობი **ბუიუქალა ჰაჯიევი** წვრთნის. მასპინძელთა რიგებში 90-90 წუთი ითამაშეს **სერგი ორბელაძემ** და **გიორგი სეთურიძემ**, **დავით ჭიჭველიშვილი** კი სათადარიგო იყო და მას თამაშმა არ მოუწია. პირველ ტაიმში ლომაიამ ორჯერ იხსნა გუნდი გოლისგან, ხოლო ნავალოვსკის შესანიშნავი შანსი შეექმნა, მაგრამ „ანჟის“ ფეხბურთელმა, რომელიც ბაქოში იჯარით თამაშობს, ეს შანსი ვერ გამოიყენა. მეორე ტაიმში ლომაიამ კიდევ ორჯერ იხსნა „ინტერი“, ამ დროს ლიტველმა მცველმა **პაულიუს პახნისმა** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ლიდერი 10 კაცის ამარა დატოვა. აი, სწორედ აქ იყოჩალა ოდიკაძემ და 72-ე წუთზე ანგარიში გახსნა. „სტანდარდი“ შტურმზე გადავიდა და ლომაიამ, რომელიც უდავოდ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო, კიდევ ორჯერ იხსნა საკუთარი გუნდი. ცხადაძის გუნდმა ძალზე რთული, მაგრამ დამსახურებული 3 ქულა მიითვალა. *„ფეხბურთელებმა ბევრი მომენტი შექმნეს, მაგრამ რეალიზაციის კუთხით მოვიკოჭლებთ. წინ გაცილებით მნიშვნელოვანი თამაშები გველის, უნდა მოვემზადოთ“*, - განაცხადა ცხადაძემ თამაშის შემდეგ. „ინტერი“ 19 თამაშიდან 42 ქულით ლიდერობს, „სტანდარდი“ კი 10 ქულით ბოლოსწინაა.

ბაქოურმა დერბიმ „ნეფთჩისა“ და „ბაქის“ შორის ვერ გამოიწვია სათანადო ინტერესი, რესპუბლიკურ სტადიონზე თამაშს 300 მაყურებელი დაესწრო. **ვალერი აბრამიძემ** 90 წუთი ითამაშა მასპინძელთა რიგებში, შეხვედრა კი 1:1 დასრულდა. „ნეფთჩი“ 31 ქულით მე-6 ადგილზეა.

„გაბალამ“ შინ „თურანს“ 1:0 მოუგო, **გოგა ბერაიამ** 90 წუთი ითამაშა, **რევაზ გეწაძე** სათადარიგო იყო. „გაბალა“ 32 ქულით მე-5 ადგილზეა. საინგილოში „სიმურგმა“ „ხაზართან“ 1:2 წააგო. მასპინძელთა სამივე ქართველმა სასტარტოში ითამაშა, **დავით ბოლქვაძე** 71-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო **კახა ჩხეტიანმა** და **რომან ახალკაცმა** მოედანზე ბოლომდე დაყვეს დრო. „სიმურგი“ 28 ქულით ოდენ მეშვიდეა. **დავით სვანიძის** „მულანი“ შინ 0:1 დამარცხდა „ოლიმპიკთან“. სვანიძემ შეუცვლელად ითამაშა. სტუმართა რიგებში მეორე ტაიმში **რომან გოგინაშვილი** და **ნუგზარ კვირტია** ვიხილეთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

აქცია

# დაესწარით ჩემპიონთა ლიგის მატჩს...

დიახ, „დალიეთ „ჰეინეკენი“ და უყურეთ ჩემპიონთა ლიგას“, ასეთია ბებერი კონტინენტის ყველაზე პოპულარული საკლუბო ტურნირის სპონსორი ლუდ „ჰეინეკენის“ რეკლამა. ეს კომპანია „თელიანი თრეიდინგთან“ ერთად უკვე 4 წელია საქართველოშია და გუშინ ფეხბურთის გულშემატკივრებს გამორჩეული აქცია შესთავაზა. სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში, პირველ სართულზე, „თბილისი ივენთ ჰოლში“, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩის (17 თებერვალი, პორტუ-არსენალი) ორი ბილეთი გათამაშდა. ეს უბრალო ბილეთი არ გეგონოთ. ამ ბილეთის მფლობელის ტრანსპორტირებას ავიაკომპანია „აირზენა“ უზრუნველყოფს და სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ არა მარტო ამ თამაშს, არამედ მატჩის წინა ვარჯიშს დაესწროთ, მონაწილე გუნდებთან მატჩამდე გასახდელში შეხვიდეთ და თამაშის შემდეგ მატჩის მონაწილე თქვენს საყვარელ ფეხბურთელთან ფოტოც კი გადაიღოთ.

ერთი სიტყვით, გუშინ გამართულ აქციაში 3-ჯერ გათამაშდა „ჰეინეკენის“ თითო შეკვრა და ორი ბილეთი „პორტუ“-“არსენალის“ მატჩზე. ეს ორი გამარჯვებული - ცნობილი მწერალი **დავით ტურაშვილი** და ჩვენი კოლეგა **იაგო სავანელი** გახლავთ. აქციას პოპულარული წამყვანი **შონზო** (ზურაბ გაჩეჩილაძე) უძღვებოდა. სალამოში მონაწილეობა მიიღეს ფეხბურთელებმაც - **გიორგი დემეტრაძემ, ლადო ბურდულმა, გიორგი ჭელიძემ (ნუგზარის ძე)** და სხვებმა.

დაბოლოს, მარტში „თბილისი ივენთ ჰოლში“ „ჰეინეკენი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩის ბილეთებსაც გაათამაშებს. „თბილისი ივენთ ჰოლში“ ყველას შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მატჩებს დიდ ეკრანზე უყუროს.

**დავით ცაბაძე**

S.C. INTERNACIONAL 1909

## ფეხბურთელთა სტაჟირება ბრაზილიის ს/კ "ინტერნაციონალში"

წარვადგენთ ბრაზილიის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე 2009 წლის ვიცე-ჩემპიონ პორტო ალეგრეს საფეხბურთო კლუბ "ინტერნაციონალში". 16-17-18-19 წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონის ასამაღლებლად. სტაჟირების პროგრამის მინიმუმი 3 თვეა, მაქსიმუმი - ერთი წელი. სტაჟირების შემდეგ ქართველ ფეხბურთელებს საკონტროლო თამაშები ექნებათ ს/კ "ინტერნაციონალსა" და პორტო ალეგრეს სხვა გუნდებში. თუ ქართველი ფეხბურთელები დაიმსახურებენ მოწონებას, მათ მიიწვევენ ბრაზილიურ კლუბებში სათამაშოდ. სტაჟირების ხარჯებს ბრაზილიური მხარე არ აფინანსებს. ავიაბილეთების (თბილისი-პორტო ალეგრე-თბილისი), ვიზების, ადგილზე საცხოვრებლის, კვებისა და მომსახურების ხარჯებს იხდის მსურველი ან მისი სპონსორი. დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მიმართეთ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის № 4 (თავისუფლების მოედნიდან ზემოთ, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მიღება 10 თებერვლიდან ყოველდღე (კვირის გარდა) 12-დან 13 საათამდე.

ტელეფონი: 899 23 55 20.

ბრაზილიაში ფეხბურთელები გაემგზავრებიან ა. წ. 1 მარტიდან.

U17



კობა ჟორჟიკაშვილი

# ნაკრები ბრაზილიაში

საქართველოს 17-წლამდელთა ის გუნდი, რომელიც შემოდგომაზე ევროპის მომავალი ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს, ბრაზილიაში გაემგზავრება, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

უფრო კონკრეტულად, **კობა ჟორჟიკაშვილის** ნაკრები მარტის პირველ რიცხვებში კურიტიბაში ჩავა და „ატლეტიკო პარანენსესა“ და სხვა ცნობილი ბრაზილიური კლუბების ასაკობრივ გუნდებთან ითამაშებს. ამ ვოიაჟის განხორციელება ბრაზილიაში მოღვაწე ქართველი მწვრთნელის, **გოჩა ალადაშვილის** თანადგომითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფინანსური მხარდაჭერით ხერხდება. იქ საქართველოს ნაკრები ორ კვირას დაყოფს.

*„ბრაზილიაში ჩასვლა ჩვენს გუნდს ძალიან წაადგება. როგორც იცით, საქართველოს 17-წლამდელთა ეს ფორმაციის ნაკრები სულ ახალი ჩამოყალიბებულია და საერთაშორისო ამხანაგური მატჩები ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ბრაზილიაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა და ნაკრების სრული სამწვრთნელო შტაბი ჩავა. რაც შეეხება ფეხბურთელთა რაოდენობას, ბრაზილიაში მინიმუმ 18 მოთამაშეს ჩავიყვანთ, თუმცა სასურველია, იქ მეტი ფეხბურთელი გამოვცადოთ და შესაძლოა, მათი რაოდენობა 25-მდეც ავიდეს“*, - გვითხრა კობა ჟორჟიკაშვილმა.

ზუგდიდში 17-წლამდელებმა უკვე გაატარეს ორი კვირა, ორშაბათიდან კი ნაკრები მეორე ზუგდიდურ შეკრებას იწყებს. ჟორჟიკაშვილის გუნდი „ბაიას“ ბაზაზე ახლაც ორ კვირას დაყოფს. პირველი შეკრების შემდეგ ნაკრების შემადგენლობაში საკმაო ცვლილებები მოხდა, რაც სულაც არაა გასაკვირი – მწვრთნელები მოთამაშეების შესაძლებლობებს ახლა ეცნობიან და სურთ, საქმეში რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი გამოცადონ.

*„ამჟამად აქცენტს ფეხბურთელთა ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე ვაკეთებთ, მაგრამ მათ ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებასაც დიდ ყურადღებას ვაქცევთ. შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და გუნდის ბირთვი მოგვიანებით ჩამოყალიბდება“*, - ამბობს ჟორჟიკაშვილი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ბრაზილიის გარდა, სხვა საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩატარების ორგანიზებაზეც მუშაობს და საკვალიფიკაციო ციკლის მოახლოებასთან ერთად, ქართველი 17-წლამდელების უცხოური ვოიაჟები გახშირდება. ჟორჟიკაშვილისთვის საზღვარგარეთ გამგზავრების მთავარი მიზანი ამხანაგური მატჩების ჩატარებაა, შეკრებების საქართველოში გამართვაში კი გუნდის მთავარი მწვრთნელი პრობლემას ვერ ხედავს.

შეგახსენებთ, ევროპის მომავალი ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ოქტომბერში ჩაერთვება. ჩვენი ჯგუფის მატჩები საქართველოში ჩატარდება და ჟორჟიკაშვილის გუნდის მეტოქეები პოლონეთი, ინგლისი და შვედეთი იქნებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძველ-ახალი მეტოქეები

*დასასრული.*
*დასაწყისი იხ. ლელო № 031*

**საქართველოს** მსგავსად, ისრაელის ნაკრებიც ევროპის საფეხბურთო ოჯახის შედარებით ახალი წევრია - როგორც ჩვენ, ამ გუნდსაც 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჰქონდა დებიუტი. იმ სადებიუტოს ჩათვლით, დღემდე რვა შესარჩევი ციკლი ჩატარდა და ისე, როგორც ხორვატებთან, ისრაელთანაც ოფიციალური მატჩი არც ერთხელ გვითამაშია. სამაგიეროდ, ამ თექვსმეტი წლის განმავლობაში საქართველოსა და ისრაელის ნაკრებებმა ერთმანეთთან ოთხი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს...


რევაზ ძოძუაშვილი


ალექსანდრ სტარკოვსი


იოსი ბენაიუნი

## უცნობი ნაცნობი

მოდი, ჯერ მხოლოდ ციფრები მოვიშველიოთ: ამ ოთხი მატჩიდან საქართველოს ნაკრებმა ერთი მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და ორიც წააგო (ბურთების შეფარდება - 4:6). სულ პირველი დაპირისპირება კი 1994 წლის 23 თებერვალს იყო, როცა ისრაელის ნაკრებმა აშდოდში (ამ ქალაქში საქართველოდან წასული ბევრი ებრაელი ცხოვრობს) გვიმასპინძლა. ორივე ნაკრები უეფას ეგიდით ჩასატარებელი შესარჩევი ტურნირისათვის ემზადებოდა, იმავე წლის შემოდგომაზე რომ უნდა აელო სტარტი. თუმცა ჩვენთვის თუ სადებიუტო უნდა ყოფილიყო ასეთ დონეზე ასპარეზობა, ისრაელი მანამდე სხვა კონტინენტის შესარჩევ ტურნირებზე მონაწილეობდა და აქედან გამომდინარე, გამოცდილებაც საქართველოს ნაკრებზე მეტი ჰქონდა; ეგ კი არა, საქართველოს ნაკრები სულაც ჩამოყალიბების სტადიაში იყო, ფიფა-უეფაშიც ახალი გაწევრებული ვიყავით და საერთაშორისო მატჩებიც... სასიამოვნო იშვიათობას წარმოადგენდა.

ჰო, ისე კი არ იყო, როგორც ამ ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში, როცა **კლაუს ტოპმიოლერისა** და **ექტორ კუპერის** ხელმძღვანელობით ჩვენი უპირველესი გუნდი წელიწადში 7-8 ამხანაგურ შეხვედრას ატარებდა. თავად განსაჯეთ - 1993 წელს საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ... ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა (სტუმრად, აზერბაიჯანთან)! 1994 წლის დასაწყისში მალტის ტურნირზე მიგვიწვიეს, სულ მალე კი მორიგი ამხანაგური მატჩის დროც დადგა. ჩვენი ნაკრების იმდროინდელი მთავარი მწვრთნელის **ალექსანდრე ჩივაძისთვის** მეხუთე შეხვედრა უნდა ყოფილიყო.

სამწუხაროდ, მეტოქეზე ფაქტობრივად არაფერი ვიცოდით (ალბათ, ისრაელშიც მსგავსი დამოკიდებულება იყო საქართველოს ნაკრებზე); ამას გარდა, ალექსანდრე ჩივაძე იმდროინდელი ჩვენი ნაკრებისათვის „დამახასიათებელ" პრობლემასაც ვერ ასცდა - სხვადასხვა მიზეზის გამო ერთდროულად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი (**თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, მურთაზ შელია, რევაზ არველაძე**) გვაკლდა. სამაგიეროდ, 10 დღით ადრე დასრულებულ მალტის ტურნირთან შედარებით, ჩვენს გუნდში ორი სიახლეც იყო: ოთხწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ნაკრებს **გია გურული** დაუბრუნდა, იმ დროს საკმაოდ წარმატებით რომ ასპარეზობდა საფრანგეთის უმაღლესი ლიგის „ლე ავრში"; ამას გარდა, სწორედ ისრაელთან ჩაატარა ნაკრებში სადებიუტო შეხვედრა არჩილ არველაძემ და საერთოდაც, პირველად მოხდა, როცა შოთამ და არჩილმა საქართველოს ნაკრებში ერთად იასპარეზეს!

...სამწუხაროდ, ის შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით (2:0) დასრულდა - ორივე გოლი ისრაელის ნაკრების ვეტერანმა და ამ გუნდის ყველაზე ცნობილმა ფეხბურთელმა **ელი ოხანამ** გაგვიტანა (სხვათა შორის, ოხანამ 1988 წელს ბელგიური „მეხელენის" შემადგენლობაში თასების მფლობელთა თასიც მოიპოვა). მასპინძლებმა თითო ტაიმში თითო გოლი კი გაგვიტანეს, მაგრამ ჩვენც გვქონდა ანგარიშის შეცვლის რეალური შანსი, მაგრამ 66-ე წუთზე ზაზა რევიშვილმა პენალტი ვერ გამოიყენა.

...ამ შეხვედრიდან 6 წლის შემდეგ კვლავაც ისრაელში ჩავატარეთ ამხანაგური მატჩი, რომელიც ფრედ (1:1) დასრულდა. სიმბოლურია, რომ გოლები იმ ფეხბურთელებმა გაიტანეს, წლების განმავლობაში ინგლისურ პრემიერლიგაში ერთმანეთის პირისპირ არაერთი მატჩი რომ ჩაუტარებიათ - **გიორგი ქინქლაძემ** და **ეიალ ბერკოვიჩმა**.

2001 წელს უკვე თბილისში ვუმასპინძლეთ ისრაელის ნაკრებს და დრამატულ და უხვგოლიან მატჩში გამარჯვება მოვიპოვეთ - 3:2. საქართველოს ნაკრებს იმ დროს მწვრთნელთა „დუეტი" (**დავით ყიფიანი-რევაზ ძოძუაშვილი**) ხელმძღვანელობდა. მოედანზე კი მართლაც საინტერესო ბურთაობა იყო გაჩაღებული და რამდენიმე ფეხბურთელის ბენეფისადაც გადაიქცა. შეუდარებელი გახლდათ ინგლისურ „ვულვერჰემპტონში" მოასპარეზე **თემურ ქეცბაია**, ვინც ამ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა. ასევე „დუბლი" შეასრულა სტუმართა ვეტერანმა **ალონ მიზრახიმ**, ხოლო გამარჯვების გოლი მატჩის მიწურულს **არჩილ არველაძემ** გაიტანა. 9 წლის წინანდელი მატჩი იმითიც იყო საინტერესო, რომ საქართველოს ნაკრებში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა ქუთაისის „ტორპედოს" 20 წლის ნიჭიერმა ნახევარმცველმა **მალხაზ ასათიანმა**, ხოლო სტუმართა გუნდში, უდავოდ გამორჩეული გახლდათ იმ დროისათვის ყველასათვის უცნობი ჭაბუკი ფეხბურთელი **იოსი ბენაიუნი**...

საქართველოსა და ისრაელის ნაკრებთა ბოლო შეხვედრა კი 2004 წელს ჩატარდა: თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, მინიმალური ანგარიშით (0:1) დავმარცხდით. აღსანიშნავია, რომ ეს მატჩი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ალენ ჟირესისთვის** სადებიუტო იყო...

## აბსოლუტური თანაფარდობა

ისრაელის ნაკრებთან თუ უარყოფითი ბალანსი გვაქვს, აი, შესარჩევ ჯგუფში მეორე მეტოქესთან, ლატვიელებთან... აბსოლუტური თანაფარდობით უნდა ვიამაყოთ! ჰო, ნუ გაგიკვირდებათ: მართლაც, საამაყოა, რომ ფიფას რეიტინგში ჩვენზე 73 საფეხურით (!) წინ მდგომ გუნდთან უარყოფითი ბალანსი არა გვაქვს...

ოფიციალურ თუ ამხანაგურ დონეზე საქართველოსა და ლატვიის ნაკრებებს დღემდე ხუთჯერ უთამაშიათ: აქედან მეტოქეებმა ორ-ორჯერ მოიგეს, ერთი მატჩი ფრედ დასრულდა და ბურთების სხვაობაც თანაბარია (8:8). სამწუხაროდ, ქართული ფეხბურთის ბოლოდროინდელი ქრონიკული წარუმატებლობის ფონზე, უკვე ისიც გვიხარია, ლატვიასთან კატასტროფული ბალანსი რომ არ გვაქვს...

...დრო იყო, ლატვიურ ფეხბურთს სერიოზულად არც აღვიქვამდით. საკავშირო ჩემპიონატებს ვგულისხმობთ, როცა რიგის „დაუგავა", ლატვიური ფეხბურთის ეს ერთადერთი წარმომადგენელი, ეპიზოდურად თუ გამოჩნდებოდა ხოლმე უმაღლეს ლიგაში და მე-12 ადგილს ზემოთ ვერ ადიოდა. სამაგიეროდ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი და შედეგიც მოიმკეს - ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან (რუსეთის ფედერაციას თუ არ ჩავთვლით) ლატვიამ პირველმა შეძლო ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაღწევა. თანაც, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე **ალექსანდრ სტარკოვსის** გუნდმა სავსებით ღირსეულად იასპარეზა.

აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამაში... ჩვენს თანამემამულეებსაც მიუძღვით წვლილი. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ლატვიაში სათამაშოდ არაერთი ქართველი ფეხბურთელი (**ლევან სილაგაძე, დავით ჩალაძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, მამუკა წერეთელი, თამაზ პერტია, დავით გვარამაძე**) ჩავიდა და იქაურ ჩემპიონატში გამორჩეულიც გახდა.

ლატვიური ფეხბურთის წინსვლაში არანაკლები დამსახურება აქვს **რევაზ ძოძუაშვილსაც**, რომელიც ორი წლის განმავლობაში სულაც ამ ქვეყნის ნაკრების თავკაცი გახლდათ და მისი ხელმძღვანელობით ლატვიელებმა რამდენიმე სენსაციურ შედეგსაც მიაღწიეს. 1998 წლის 10 ოქტომბერს ძოძუაშვილის მიერ გაწვრთნილი ლატვიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში... საქართველოს ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, ის მატჩი მინიმალური ანგარიშით (0:1) წავაგეთ - შეხვედრის დასაწყისშივე მასპინძლებმა, კურიოზულზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი ბურთი გაგვიტანეს და ის გოლი ერთადერთი აღმოჩნდა.

მანამდე კი საქართველო და ლატვია ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ და ორივე მატჩი ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. პირველი პაექრობა რიგაში, 1994 წლის 26 ივნისს ჩატარდა. ეს იყო ამხანაგური მატჩი, რომელშიც ალექსანდრე ჩივაძემ ნახევრად ექსპერიმენტული შემადგენლობა ათამაშა. თუმცა ამას ჩვენი ნაკრებისთვის ხელი არ შეუშლია და მეტოქეს დამაჯერებლად ვაჯობეთ - 3:1. საქართველოს ნაკრებიდან გოლები გაიტანეს **დავით ჯანაშიამ, კახა კაჭარავამ** და **გოჩა ჯამარაულმა**.

მომდევნო შეხვედრაც ამხანაგური იყო, ოღონდ ამჯერად ლატვიისა და საქართველოს ნაკრებები ერთმანეთს მალტის ტურნირზე დაუპირისპირდნენ. 1998 წლის 6 თებერვალს ჩატარებული შეხვედრა სხვა რამითაც იყო განსაკუთრებული, **ვლადიმერ გუცაევი** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში პირველ მატჩს ატარებდა. **გოჩა ჯამარაულის** დუბლის წყალობით ის თამაში 2:1 მოვიგეთ. ამის შემდეგ ლატვიელთა ძლევას ვერაფრით ვახერხებდით. იმავე წლის შემოდგომაზე ჩატარებულ ოფიციალურ შეხვედრაზე უკვე ვთქვით...

1999 წლის 8 სექტემბერს კი, იმავე შესარჩევ ციკლში, ლატვიელებს თბილისში ვუმასპინძლეთ და, ფაქტობრივად, მოგებულ შეხვედრაში (მეორე ტაიმის შუაგულისთვის 2:0-ს ვიგებდით) მხოლოდ ფრეს დავჯერდით - 2:2 (გოლები: **შოთა არველაძე, მიხეილ ყაველაშვილი**).

თუმცა ყველაზე მწარედ ლატვიელებთან ბოლო დაპირისპირება გვახსენდება - 2008 წლის 6 თებერვალს თბილისში 1:3 რომ დავმარცხდით. არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მეორე ტაიმში მეტოქემ... აშკარად დაგვინდო, თორემ პირველ ნახევარში გატანილ სამ გოლს, ალბათ, კიდევ მიუმატებდნენ. იმ შეხვედრაში ერთადერთი პრესტიჟის გოლი ჩვენმა კაპიტანმა **კახა კალაძემ** გაიტანა. სხვათა შორის, ეს იყო ტოპმიოლერის ბოლო თბილისური მატჩი, შემდეგ ამას მოჰყვა ჩრდილოირლანდიური ფიასკო და ტოპიმაც დაგვტოვა...

დაბოლოს, ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზეც: ლატვიის ნაკრების ნახევარმცველი **ვიტალის ასტაფიევსი** სულ მალე 39 წლის რომ გახდება, საქართველოსთან ჩატარებულ პირველ შეხვედრაშიც მონაწილეობდა - 1994 წელს რომ გაიმართა...

## ამათ მაინც ვჯობნით...

2009 წლის 12 აგვისტომდე მსოფლიო ფეხბურთში ისეთი ნაკრებებიც არსებობდნენ, რომლებთან შეხვედრებშიც საქართველოს ნაკრები უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა. სამწუხაროდ, იმ დღეს „ახალი ისტორია" დაიწყო: მალტის ნაკრებმა ჩვენს უპირველეს გუნდს ორი უპასუხო გოლი გაუტანა და ნანატრი გამარჯვებაც მოიპოვა. ნანატრი იქნებოდა, აბა, რა - მანამდე ხომ, კუნძულელებმა წელიწად-ნახევრის წინ, გაიმარჯვეს (ამხანაგურ შეხვედრაში, რა თქმა უნდა) და აი, საქართველოს ნაკრებთან წარმატებით უსიამოვნო სერია შეწყვიტეს. ჰო, უკვე მალტაც რომ მოგვიგებს, ამიტომაც არის ჩვენი ფეხბურთის საქმე კარგად. თუმცა გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს წაგება „კონტექსტიდან ამოვარდნილს" დაემსგავსოს, თორემ თუ რაიმე პრეტენზია გვაქვს, ახალ შესარჩევ ციკლში მალტელებთან ქულათა მაქსიმუმი უსიკვდილოდ უნდა დავაგროვოთ.

... იმ ავადგასახსენებელ შარშანდელ შეხვედრამდე საქართველოსა და მალტის ნაკრებებს ერთმანეთთან ოთხი მატჩი ჰქონდათ ჩატარებული და ოთხივე ამხანაგური იყო. პირველად, 1994 წლის 10 თებერვალს. მალტის საერთაშორისო ტურნირზე მოვუგეთ თემურ ქეცბაიას ერთადერთი გოლით; იმავე წლის 19 ივლისს კი თბილისში, ფრედ ვითამაშეთ (1:1. გოლი **შოთა არველაძემ** გაიტანა). თან ეს შეხვედრა მართლაც განსაკუთრებული იყო - ამ მატჩის მერე უნდა გადაწყვეტილიყო, დაგვრთავდა თუ არა უეფა ოფიციალური მატჩების თბილისში ჩატარებას. საბედნიეროდ, იმ ტესტმატჩმა ნორმალურად ჩაიარა, მალტელებსაც მადლობა მოვახსენეთ საქართველოში სტუმრობისთვის და უეფამაც „მწვანე" აგვინთო. ამის შემდეგ მალტელებს ორჯერ ვესტუმრეთ და ორჯერვე მოვუგეთ - ჯერ იყო და, მათივე სტადიონებზე ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე, როცა **ვლადიმერ გუცაევის** გუნდმა მასპინძელს 3:1 აჯობა (გოლები: **მიხეილ ყაველაშვილი - 2, გოჩა ჯამარაული**); ამის შემდეგ კი კლაუს ტოპმიოლერის, მართლაც ექსპერიმენტულზე მეტი რომ ერქვა, იმ გუნდმა კვლავ ორბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა (**ოთარ მარცვალაძე, ჯაბა კანკავა**).

ბოლოს კი ის ავადსახსენებელი შარშანდელი შეხვედრა იყო, რომლის შემდეგაც საქართველოს ნაკრებს მალტელებთან ასეთი ბალანსი გაუხდა: სამი გამარჯვება, ერთი ფრე და ერთი წაგება (ბურთების სხვაობა 7-4). ანუ, მაინც „გასახარებელია", რომ მსოფლიო ფეხბურთში ვიღაცას ვჯობნივართ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მალტელებზე ფიფას რეიტინგშიც მთელი 22 საფეხურით წინ ვართ...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქის ბანაკიდან

ინტერვიუ გიორგი დარასელიასთან

# საქართველოსა და ისრაელს შორის მოიგებს ის, ვინც...

## ქართველი ებრაელები ამბობენ, ჯგუფიდან ქეცბაიას გუნდთან ერთად უნდა გავიდეთო...

**7 თებერვალს ვარშავაში ჩატარებულმა წილისყრამ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ეროვნული გუნდის მეტოქეები გაარკვია. როგორც იცით, ხორვატიასთან, საბერძნეთთან, ლატვიასა და მალტასთან ერთად, ისრაელი ჩვენი ჯგუფის ბინადარია. ამ ბოლო დროს, ისრაელში ქართველ ლეგიონერთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ფეხბურთელთა გარდა, ისრაელში მწვრთნელიც გვყავს - გიორგი დარასელია, რომელიც ჰაიფას „მაქაბის" მთავარი მწვრთნელის ელიშა ლევის თანაშემწეა, ამ გუნდის ფორვარდი კი ლადო დვალიშვილი გახლავთ.**

**საინტერესოა, რა იციან ისრაელში ჩვენს ნაკრებზე, რას ამბობენ ჩვენი გუნდის ახალ მწვრთნელ თემურ ქეცბაიაზე, ქართველებთან მომავალ მატჩებზე, ჯგუფის კალენდარზე... ამ და სხვა საინტერესო თემებზე სასაუბროდ გიორგი დარასელიას ისრაელში დავუკავშირდით...**

**- გიორგი, საუბარი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის წილისყრით დავიწყოთ. რა აზრისა ხართ ჩვენს ჯგუფზე?**

- ქართველი ვარ და რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე გიპასუხებთ. წილისყრის შედეგებით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, ქართველი გულშემატკივარი და სხვა სპეციალისტებიც არ უნდა იყვნენ უკმაყოფილონი. თანაბარი ჯგუფია გამოკვეთილი ფავორიტის გარეშე. ყველა გუნდი მეტ-ნაკლებად თანაბარია და შესაბამისად, ყველას აქვს ბრძოლის შანსი. ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნება სასტარტო ტურებს. ვინც შესარჩევი ციკლის დასაწყისში დაწინაურდება, მას გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა ექნება. თუმცა ამ უპირატესობასაც შენარჩუნება უნდა... მეტ-ნაკლებად თანაბარ მეტოქეებთან მოუწევს ბრძოლა ჩვენს ნაკრებსაც და სხვა გუნდებსაც. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა მიენიჭება იმას, ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტში რომელი ნაკრები უფრო მომზადებული შეხვდება თამაშს.

**- ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე ისრაელია. საინტერესოა, მანდ რას ამბობენ ჩვენს ჯგუფსა და საქართველოს ნაკრებზე...**

- ფეხბურთის აქაურმა სპეციალისტებმა პრესითა და ტელევიზიით უკვე გამოთქვეს თავიანთი მოსაზრება. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ აუტსაიდერებში საქართველოს ნაკრების ჩათვლა გამართლებული არ არის. პირიქით, ზოგი სპეციალისტი ჩვენს ნაკრებს ლატვიაზეც წინ აყენებს. ყველა აღნიშნავს, რომ გასულ შესარჩევ ციკლში დაკავებული ბოლო ადგილი და მოპოვებული 3 ქულა, ამ ნაკრების შესაძლებლობებს სულაც არ შეესაბამება. ბევრი აცხადებს, რომ საქართველოს ნაკრების ცნობილ ფეხბურთელთა გარდა, ქართველებს არაერთი ისეთი ფეხბურთელი ეყოლებათ, რომელიც ლადო დვალიშვილის დარად ცნობილი არ იყო და მაღალ დონეზე შეუძლია თამაში.

**- ჩვენი ბოლო საუბრის შემდეგ, საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი შეეცვალა. გუნდს ახლა თქვენი თაობის ფეხბურთელი თემურ ქეცბაია თავკაცობს და გულშემატკივარსაც ახალი იმედი ჩაესახა. თემურზე როგორი წარმოდგენა გაქვთ?**

- ეროვნულ ნაკრებში 8 მატჩი ჩავატარე და მათ შორის, ქეცბაიასთან ერთადაც. თემური პიროვნულად მყარი, კეთილი, ჟინიანი, მებრძოლი სულის მქონე, სამართლიანი ადამიანია და პატრიოტული გრძნობაც უხვად აქვს. პიროვნული თვისებები ტყუილად არ მიხსენებია. ეს თვისებები მწვრთნელ ქეცბაიასაც აქვს. მან დიდი ფეხბურთი ითამაშა და ხანმოკლე სამწვრთნელო კარიერის მიუხედავად, მისმა გაწვრთნილმა გუნდებმა ჩემპიონთა ლიგაზე ბევრი გააოცეს წარმატებებით. თემურ ქეცბაია კი, როგორც ახალი თაობის გამორჩეული სპეციალისტი, ყველამ გაიცნო...

**- ისრაელში რას ამბობენ თემურ ქეცბაიაზე, ჩვენი ნაკრების შანსებსა და ქართველებთან მატჩებზე?**



გიორგი დარასელია

- ისრაელში იციან, რომ ჩვენი ნაკრების ახალი თავკაცი თემურ ქეცბაიაა და მის წარსულსაც კარგად იცნობენ. ყველა ამბობს, რომ ქეცბაიას ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები ბევრად უკეთეს შედეგებს აჩვენებს, ვიდრე წინა საკვალიფიკაციო ეტაპზე ჰქონდა... კახა კალაძის, ლევან კობიაშვილის, ალექსანდრე იაშვილის, ზურაბ ხიზანიშვილის გარდა, აქ იციან, რომ გვყავს კარგი ახალგაზრდა მოთამაშეები - ყენია, ანანიძე, მჭედლიძე... რა თქმა უნდა, იცნობენ დვალიშვილს, მენთეშაშვილს, ხმალაძეს... მეტიც, დვალიშვილი უკვე გამორჩეული ფიგურაა ისრაელის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში და საქართველოს ნაკრები რომ ჩამოვა, დარწმუნებული ვარ, აქ სრული ანშლაგი იქნება. ჩვენს ნაკრებთან მატჩებს აქ ყველა დიდი ინტერესით ელის.

**- დრორ კაშტანის წასვლის შემდეგ ისრაელის ეროვნულ გუნდს ახალი თავკაცი ჯერ არ ჰყავს. რა სიახლეა ამ მხრივ და რომელიმე კანდიდატურა ხომ არ გამოიკვეთა?**

- გასულ შესარჩევ ციკლში ისრაელის ნაკრების ასპარეზობით გულშემატკივარი კმაყოფილი ვერ იქნებოდა. ექვსგუნდიან ჯგუფში ისრაელმა მე-4 ადგილი დაიკავა. მხოლოდ ლუქსემბურგსა და მოლდოვას გავუსწარით, ლატვიელებმა მე-3 ადგილი ნაგვართვეს, აქაური ნაკრები ისრაელში დაამარცხეს, რიგაში კი მატჩი ფრედ დასრულდა. რა თქმა უნდა, ამას თავისი მიზეზი ექნება, მაგრამ მიზეზებსა და ფაქტორებზე ვერაფერს გეტყვით. ამჟამად ეროვნული გუნდი უმწვრთნელოდაა. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ამ საკითხზე მუშაობს და ალბათ გადაწყვეტილებასაც მალე მიიღებენ.

**- ლატვია და საბერძნეთი ისრაელთან ერთად იყვნენ ჯგუფში და მათზე რა წარმოდგენა შეგექმნათ?**

- ეს ნამდვილად არ არის ის ლატვია, რომელიც 10 წლის წინ იყო. გარდა იმისა, რომ ლატვიელებმა ისრაელში დაამარცხეს აქაური ნაკრები, შვეიცარიას ფრედ (2:2) ეთამაშნენ. ქულით გაგვისწრეს და მესამე ადგილზე გავიდნენ. ლატვიამ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა, ეს კი ყველა ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისთვის დიდი სტიმულია. ლატვიელები ამჯერადაც ევროპის ჩემპიონატზე გასვლისთვის იბრძოლებენ... რაც შეეხება საბერძნეთს, ბერძნებმა ისრაელში ნათამაშები ფრით 2 ქულა დაკარგეს, თორემ ჯგუფში შვეიცარიის ნაცვლად პირველ ადგილზე გავიდოდნენ. გასული საკვალიფიკაციოს დაწყებამდე, საბერძნეთი ლიად აცხადებდა, რომ პირველ ადგილზე უნდა გასულიყო, მაგრამ ქულა დააკლდა. ევროპის ყოფილი ჩემპიონები ჯგუფში ახლაც პირველობისთვის იბრძოლებენ.

**- ალბათ ისრაელის ნაკრები მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. თქვენს გუნდში ეროვნული ნაკრების რამდენი ფეხბურთელია?**

- ამიტომაც წავიდა დრორ კაშტანი - ებრაული ფეხბურთი პროგრესს განიცდის და აქ ვერავინ შეეგუება იმას, რომ ისრაელის ნაკრებმა ჯგუფიდან გასვლისთვის არ იბრძოლოს... გასულ შესარჩევში, ეროვნულ გუნდში ჩვენი გუნდის შვიდმა ფეხბურთელმა ითამაშა და ვნახოთ, რას გადაწყვეტს ნაკრების ახალი თავკაცი.

**- ისრაელის ნაკრებში მოასპარეზე კონტინგენტზე გარკვეული წარმოდგენა გაქვს. ჩვენს სანაკრებო კონტინგენტსაც იცნობთ. როგორ ფიქრობთ, ვინ მოიგებს მომდევნო ორ მატჩში?**

- ძნელი სათქმელია. ისრაელი შინ გამორჩეულად კარგად თამაშობს, მით უმეტეს, გულშემატკივრის დიდი მხარდაჭერა აქვს. ჩვენს ნაკრებსაც არ აკლია მხარდაჭერა და თემურ ქეცბაიას დიდი იმედი მაქვს... საქართველოსა და ისრაელის ნაკრებების მატჩებს ის გუნდი მოიგებს, რომელიც იმ კონკრეტული მომენტისთვის უკეთ იქნება მომზადებული.

**- ისრაელში ბევრია საქართველოდან წასული ებრაელი. ისინი რას ფიქრობენ ჩვენს მეტოქეობაზე?**

- საქართველოდან წასულ რამდენიმე ებრაელთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებს. ისინი დღემდე არ ივიწყებენ საქართველოს. ლაპარაკში ხშირად ამბობენ - ჩვენი გული ორადაა გაყოფილი, ნახევარი ისევ საქართველოსთვის ძგერსო. ისინი მოუთმენლად ელიან საქართველოს ნაკრების აქ ჩამოსვლას. ყველა ერთხმად ამბობს, სტადიონზე აუცილებლად მივალთო. ორიოდე დღის წინ, მათთან ჩვენს ჯგუფზე მქონდა საუბარი და იცით რა მითხრეს? - ჯგუფიდან ჩვენ და ისრაელი უნდა გავიდეთ, ღმერთმა გვისმინოს და ეს ნატვრა აგვიხდესო...

**- ახლა თქვენს გუნდზე, ჰაიფას „მაქაბიზე" ვისაუბროთ. ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან გამოთიშვის შემდეგ ორ ფრონტზე ბრძოლა აღარ გიწევთ და მეტ ყურადღებას მიაქცევთ ოქროს მედლებისთვის ბრძოლას...**

- ლიგის ჯგუფურ რაუნდში, სამწუხაროდ, ძალზე ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, თორემ უკეთ ასპარეზობაც შეიძლებოდა. თუმცა ეს უკვე წარსულია და ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს. მთავარია, „იუვენტუსთან", „ბაიერნთან" და „ბორდოსთან" თამაშებით, ჩვენი გუნდის ფეხბურთელებმა გამოცდილება შეიძინეს. ევროტურნირებზე წელს უკეთ უნდა წარმოვჩნდეთ... რაც შეეხება ჩემპიონატს, ორ ფრონტზე ბრძოლა რომ აღარ გვიწევს, დაგვეტყო კიდეც. ჩემპიონატს ვლიდერობთ და 12-ქულიანი ფორაც გვაქვს. ოქროს მედლებთან შორს აღარ ვართ, მაგრამ წინ კიდევ არაერთი ტურია და მოდუნების უფლება მაინც არ გვაქვს.

**- ლადოს გოლის ალღო არ ღალატობს. რა აზრისაა ჩვენს ჯგუფზე, ქეცბაიას გუნდში სათამაშოდ როგორ ემზადება?**

- დვალიშვილი ისრაელში ყველას უყვარს, სხვა გუნდების წარმომადგენლებმა ჰითხრეს, ეს ბრილიანტი სად და როგორ იპოვეთო... ლადო კარგ ფორმაშია, გოლიც ბევრი გააქვს, მაგრამ მიღწეულით არ კმაყოფილდება და გულმოდგინედ ემზადება, უფრო უკეთ უნდა ვითამაშოო.

**- ბოლო ხანს ისრაელის გუნდებში ქართველები საგრძნობლად მომრავლდნენ. რას გვეტყოდით მათზე?**

- ყველა აქაური კლუბის ხელმძღვანელს სურს, კარგი ფეხბურთელები ჰყავდეს. აქ გარჯას არავის დაუკარგავენ და თუ მაღალ დონეზე გინდა ითამაშო, ამისი საშუალებაც არის. ვნახულობ ხოლმე ქართველ ფეხბურთელებს, ყველა კარგადაა და კლუბებშიც პატივს სცემენ.

**- დაბოლოს, PRO-კატეგორიის სამწვრთნელო სერთიფიკატი უნდა აგელოთ. ამ მხრივ რა სიახლეა?**

- კარგად მიდის საქმე. ორ თვეში სწავლას დავამთავრებ, მერე გამოცდები მექნება და PRO კატეგორიის სერთიფიკატსაც მივიღებ.

**დავით ცაბაძე**

ვიტ ჯორჯია

# მომავალი სეზონიდან მცხეთაში

ბოლო თვეებში მცხეთის სტადიონზე ხელოვნურსაფრიანი მოედნის დაგების პროცესი შეჩერებული იყო, რამაც ქართულ საფეხბურთო სამყაროში გარკვეული კითხვები გააჩინა. გუშინ ამ საკითხზე „ვიტ ჯორჯიას" გენერალური დირექტორი **მალხაზ კაკაურიძე** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **რევაზ არველაძეს** შეხვდა, რის შემდეგაც კაკაურიძემ „ლელოს" უთხრა, რომ ყველაფერი რიგზეა და სტადიონზე სამუშაოები უახლოეს პერიოდში განახლდება...

- ყველაფერი რიგზეა, ფედერაცია ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ბოლომდე აპირებს. საგანგაშო არაფერია, სამუშაოები უამინდობის გამოა შეფერხებული და როგორც კი დათბება, ყველაფერი ჩვეულებრივად განახლდება. ხელოვნური საფრის დაბალ ტემპერატურაზე დაგება რეკომენდებული არაა, საამისოდ 15 გრადუსი სითბო მაინცაა საჭირო. ასე რომ, დათბობას დაველოდებით.

**- სამუშაოების განახლების შემდეგ რა პერიოდია საჭირო საფრის ბოლომდე დასაგებად?**

- დაახლოებით ერთი თვე. მოედნის შესაბამის კონდიციებამდე მიყვანის გარდა, დასასრულებელია ტრიბუნისა და გასახდელების რეკონსტრუქცია. საჩქარო არაფერი გვაქვს. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

**- „ვიტ ჯორჯია" საშინაო მატჩებს მცხეთაში როდიდან ჩაატარებს?**

- ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ამ სეზონს რუსთავის „ფოლადზე" ჩავამთავრებთ, მომავალი სეზონიდან კი მეტოქეებს უკვე მცხეთის განახლებულ სტადიონზე ვუმასპინძლებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ამბები

# ასათიანმა ლოკომოტივი გადაარჩინა

ესპანურ შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა" მორიგი საკონტროლო მატჩი პრაღის „სპარტას" წინააღმდეგ ჩაატარა და 1:0 გაიმარჯვა. რკინიგზელთა დაცვის ცენტრში შეუცვლელად ითამაშა **მალხაზ ასათიანმა**. მან ყვითელი ბარათიც მიიღო და რაც მთავარია, ერთ ეპიზოდში თავისი გუნდის კარი აშკარა გოლისგან იხსნა. ასათიანი ჩეხი ფეხბურთელის დარტყმას გადაეფარა და „ლოკომოტივის" კარი გადაარჩინა. დღეს მარბელაში მოსკოველთა მეტოქე დონეცკის „მეტალურგი" იქნება.

# სკანდალი მიუნხენში



მარცხნივ მათე ღვინიანიძე

გუშინ მეორე ბუნდესლიგის მატჩში „მიუნხენ 1860"-მა „ალენს" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. მიუნხენელთა შემადგენლობაში **მათე ღვინიანიძემ** შეუცვლელად ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო. როგორც ყოველთვის, იგი ამჯერადაც დაცვის ცენტრში გაამწესეს. „შპორტალმა" ღვინიანიძეს 3-იანი დაუწერა, რაც „მიუნხენის" რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობაა. ამ შეხვედრის მსვლელობისას მიუნხენელი გულშემატკივარი მოედანზე შეიჭრა და მსაჯს თავს დაესხა, რის გამოც მათეს გუნდს, ალბათ, ქულების დაკლება არ ასცდება. დღეისათვის „მიუნხენს" 26 ქულა აქვს და მეორე ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილზეა.

# გურულის ტაიმი

ლვოვის „კარპატიმ" ბულგარულ „სლავიასთან" ამხანაგური შეხვედრა ფრედ, 1:1 დაასრულა. უკრაინული გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყო **სანდრო გურული**, რომელიც პირველი ტაიმის დასრულებისთანავე შეცვალეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლა ლიგა. ტურის სიმბოლური ნაკრები

# ლეო და ახლები


ლეო მესი უბრალოდ საუკეთესოა

ესპანეთის ჩემპიონატის 21-ე ტურის სიმბოლურ ნაკრებში (goal.com) უმეტესწილად ისეთი ფეხბურთელები მოხვდნენ, რომლებიც სეზონის დიდი ნაწილის განმავლობაში სხვების (თუნდაც, თანაგუნდელების) ჩრდილში იყვნენ. სიმბოლური გუნდის ტაქტიკური სქემა ამჯერადაც კლასიკური, 4-4-2-ია. რჩეულთა შორის კვლავ რჩება ლიონელ მესი, რომელიც ანალოგიური ნომინაციების ლამის უცვლელი წევრია...

**დანი არანსუბია** (დეპორტივო): იმ დღეს „მალაგა“ ძალიან მონდომებული უტევდა „დეპორის“ კარს, მაგრამ კიდევ უფრო მონდომებული გალისიელთა გოლკიპერი იყო - არანსუბიამ მოიგერია ყველა ბურთი, რაც მას ანდალუსიელთა შემტევებმა დაურტყეს. ათამდე სეივი, ვფიქრობთ, ბრწყინვალე მონაგარია. „დეპორის“ ხელმძღვანელობა „ლა როსალედადან“ წამოღებულ ქულას არანსუბიას უნდა უმადლოდეს.

**სერხიო რამოსი** (რეალი): სერხიო რამოსი გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე ცენტრალურ მცველად „გადაკეთდა“, მაგრამ ახალ პოზიციაზე სულაც არ გასჭირვებია. რამოსი ბრწყინვალედ ხელმძღვანელობდა დაცვის ხაზს და ხშირად აზღვევდა მარცხენა მცველ მარსელინოს. ლამაზი თავურით ანგარიში გახსნა, რომ არა „ესპანიოლის“ მეკარე კარლოს კამენი, სერხიო დუბლსაც შეასრულებდა.

**გაბი მილიტო** (ბარსელონა): დიდი ხნის განშორების შემდეგ, რომელიც სერიოზული ტრავმით იყო გამოწვეული, არგენტინელი საკმაოდ სწრაფად უბრუნდება ჩვეულ ფორმას. „ხეტაფეს“ წინააღმდეგ მან ჩინებულად შეცვალა დისკვალიფიცირებული კარლეს პუიოლი. მან ისე უნაკლოდ ითამაშა, თითქოს, ერთი დღეც არ გაუცდენია დიდი ფეხბურთიდან. პიკეს გაძევების მიუხედავად, მილიტო ბოლომდე გაუვალი ზღუდე იყო მადრიდელთათვის.

**ნუნიესი** (მალიორკა): ბალეარელებმა შინაურ კედლებში 100%-იანი რეკორდი ნუნიესის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით შეინარჩუნეს. „ონოესტადიზე“ „მალიორკამ“ 10-დან 10 მოიგო და 3 გოლი გაუშვა, ეს კი დიდწილად 30 წლის ცენტრალური მცველის დამსახურებაა.

**ალვარო დიმინგესი** (ატლეტიკო): „ატლეტიკოს“ დაცვის ხაზის ყველაზე ახალგაზრდა წევრი (დომინგესი 20 წლისაა) ბრწყინვალედ თამაშობს. „რასინგთან“ მატჩში ის გუნდში ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი იყო. მან არც მომო ტჩიტე და არც სერხიო კანალესი გაახარა.

**პედრო მუნიტისი** (რასინგი): 34 წლის ვეტერანმა „ატლეტიკოსთან“ მატჩში ძველი დრო გაიხსენა. მან მარჯვენა ფლანგზე გაილაღა, თანაც სისწრაფეში აჯობა ბევრად ახალგაზრდა ოპონენტებს. მან რამდენიმე სოლო-გარღვევაც მიითვალა.

**ევერ ბანეგა** (ვალენსია): არგენტინელი ნახევარმცველი ყველანაირად ცდილობს დიეგო მარადონას ყურადღება დაიმსახუროს. „ვალიადოლიდთან“ მატჩში მან საკუთარ მოედანზე მოიპოვა ბურთი და ის მეტოქის კარში გაიტანა, მან გადააწოდა საგოლე პასი დავიდ ვილიას. შეტევაში ამხელა პოტენციალის პატრონი საყრდენი ნახევარმცველები მსოფლიოში იშვიათი ხილია.

**ესტებან გრანერო** (რეალი): მანუელ პელეგრინიმ სასტარტოში დააბრუნა გრანერო და მარჯვენაფლანგელმაც გაუმართლა მწვრთნელს. „ელ პირატამ“ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა „ესპანიოლის“ წინააღმდეგ. მისი ჩაწოდებები მუდამ ხიფათს უქმნიდნენ მეტოქეს, სწორედ მისი პასით გახსნა ანგარიში სერხიო რამოსმა.

**ხუან მატა** (ვალენსია): „რეალის“ ყოფილ ნახევარმცველს არასტაბილური სეზონი აქვს. შაბათს „ვალიადოლიდთან“ მატა შეუჩერებელი იყო. მას არ უჭირდა მოედანზე დავიდ სილვასთან და დავიდ ვილიასთან კომბინირება, თითქოს, ამ სამეულს ტელეპათიური კავშირი ჰქონოდათ. დაუღალავად ქმნიდა სახიფათო მომენტებს მეტოქის კართან.

**ლეო მესი** (ბარსელონა): „ელ მესიას“ უბრალოდ არა ჰყავს ტოლ-სწორი დღევანდელ ფეხბურთში. მხოლოდ მას შეუძლია არაფრისგან ყველაფრის შექმნა, ეს მან „ხეტაფესთან“ მატჩშიც დაგვანახა. ჯერ, საოცარია, როგორ მოახერხა ბურთი სტუმართა მცველთა ჯგუფისთვის აეცილებინა და გაეტანა, შემდეგ მესიმ სამი მცველი თან გაიყოლა და ჩავის გოლის გატანა გაუიოლა. ტურის ფეხბურთელია.

**ფერნანდო ლორენტე** (ბილბაო): ბასკები სამარცხვინო მარცხთან ძალიან ახლოს იყვნენ, თუმცა გუნდს მხსნელად ფერნანდო ლორენტე მოევლინა. გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა მეორე ტაიმში დუბლი შეასრულა და „ბილბაოს“ „ხერესთან“ 3:2 მოაგებინა.

სხვები, რომელთა აღნიშვნაც გვსურდა: **დუდუ ავატე (მალიორკა), მატეო კონტინი (სარაგოსა), მაქსველი (ბარსელონა), ტიაგუ მენდეში (ატლეტიკო), ჩავი (ბარსელონა), დავიდ სილვა (ვალენსია), რაული (რეალი).**

რეალი

# იგუაინის 2016 და მარსელოს 100

## რეალი კმაყოფილია: 50 ქულა და 50 გოლი

მიუხედავად იმისა, რომ „სამეფო კლუბმა“ ვერაფრით შეამცირა 5-ქულიანი ჩამორჩენა „ბარსელონასთან“, „რეალის“ ხელმძღვანელობას იმედს გუნდის კარგი თამაში და სტატისტიკა აძლევს. **კრიშტიანო რონალდოს** არყოფნა „ლოს მერენგესს“ არც „რიასორზე“ ეტყობოდა „დეპორის“ წინააღმდეგ და არც შინ „ესპანიოლთან“. ორივე შეხვედრა **მანუელ პელეგრინის** გუნდმა დამსახურებულად მოიგო, კატალონიელებთან - თამაშ-თამაშით. გუნდში ახალი საკლუბო რეკორდისთვის ემზადებიან, თუკი „რეალი“ 22-ე ტურშიც მოიგებს ეს კლუბის ისტორიაში ახალი მიღწევა იქნება - აქამდე „რეალს“ 22 ტურში 53 ქულა არასოდეს ჰქონია. ბოლო ოთხი ტურია **იკერ კასილიასი** „მშრალად“ გამოდის, ხოლო „თეთრებმა“ სეზონში უკვე 50 გოლი გაიტანეს. განსაკუთრებით კარგად გუნდი მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაშობს, სადაც ყველა (11) მატჩი მოიგო, აქედან 8 შეხვედრაში „რეალს“ გოლი არ გაუშვია. როგორც ხედავთ, ისეთი საკვანძო ფიგურის გამოკლებაც კი, როგორიც პორტუგალიელი **პეპეა**, „რეალის“ თამაშზე არ ასახულა.

პელეგრინი უკვე ამაყობს მის მიერ აწყობილი მექანიზმით: *„გუნდი მუშაობს მოედანზე ბრწყინვალედ, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ფეხბურთელი თამაშობს და რომელი სკამზეა. შეხედეთ, როგორ თამაშობს ცენტრალური მცველის პოზიციაზე სერხიო რამოსი, როგორ იბრძოდა შეტევაში რაული, როგორ ბრწყინვალედ დაბრუნდა იგუაინი“*, - უთხრა „მარკას“ ჩილელმა სპეციალისტმა. პელეგრინის „მარკაც“ ეთანხმება:

*„ეს „რეალი“ მაღალი დონის ფეხბურთს თამაშობს“*, - ვკითხულობთ გაზეთში. „სამეფო კლუბის“ მომდევნო შეხვედრა შაბათს ანდალუსიაში მოკრძალებული „ხერესის“ წინააღმდეგ არის. „რეალი“ პირველად ეწვევა ჩემპიონატში ხერეს დელა ფორტერას - აქამდე „ხერესს“ არ უთამაშია ლა ლიგაში, ხოლო „რეალი“ არ გავარდნილა.

გასულ კვირაში ბრაზილიელმა მარსელომ 2015 წლამდე გაახანგრძლივა „რეალთან“ კონტრაქტი, „მარკას“ ინფორმაციით, რამდენიმე დღეში ასევე მოიქცევა „რეალის“ არგენტინელი ფორვარდი **გონსალო იგუაინი**, რომელიც ნამდვილ გმირად იქცა „სანტიაგო ბერნაბეუზე“. იგუაინის ახალი კონტრაქტი 2016 წლის ივნისამდე იქნება. დღეისათვის „ელ პიპიტა“ „რეალის“ ერთ-ერთი ყველაზე დაბალანაზღაურებადი ფეხბურთელია. სწორედ ამ გარემოებამ ევროპის ბევრ გუნდს გაუჩინა მადა არგენტინის ნაკრების ახალი დამრტყმელი ძალის ხელში ჩასაგდებად. მათგან ცნობილია „იუვენტუსისა“ და „არსენალის“ დაინტერესების შესახებ. ალბათ, ამან აიძულა „რეალი“ გადახედოს იგუაინთან დადებულ ძველ კონტრაქტს. ახალი კონტრაქტით კი გონსალო იგუაინის ხელფასი გაცილებით მაღალი იქნება, ისეთი, როგორსაც ვარსკვლავი იმსახურებს. იგუაინი „რივერ პლეიტიდან“ **ფაბიო კაპელოს** პერიოდში გადმოვიდა „სამეფო კლუბში“, მას წლეულს კარიერაში საუკეთესო სეზონი აქვს.

*„მოხარული ვარ, რომ გულშემატკივრები ჩემს სასტარტოში გამოჩენას ითხოვენ. ასეთ კლუბში მოდუნება ყველაფრის დაკარგვის ტოლფასია. უკან დახევას ნამდვილად არ ვაპირებ, დავბრუნდი და გოლიც გავიტანე, ჩემთვის ეს არის მთავარი. მივიჩნევ, რომ მომატება კიდევ შემიძლია, მაქსიმუმისთვის არ მიმიღწევია. ძალიან ძნელი იყო აქამდე მოღწევა, მაგრამ ახლა ბედნიერი ვარ, „რეალში“ და ეროვნულ ნაკრებში დავმკვიდრდი, მაგრამ შრომას ერთი წუთითაც არ შევაჩერებ. ჩემი აგენტი „რეალთან“ კონტრაქტის გახანგრძლივების დეტალებს ათანხმებს, მაგრამ ეს უკვე ჩემი საქმე არ არის - თავად „ხერესთან“ მატჩზე ვფიქრობ, რომელიც გუნდისთვის ძალზე მნიშვნელოვანი თამაშია. ქარიმი და მე ერთმანეთს კარგად ვუგებთ. რა თქმა უნდა, ჩვენ კონკურენტები ვართ და არავის უყვარს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ერთად ვერ ვითამაშებთ, ან ერთმანეთს პასებს არ გადავაწოდებთ. თამაში და გოლების გატანა თვითრწმენას მიძლიერებს, ახლა გაცილებით უკეთესი ფეხბურთელი ვარ, ვიდრე ადრე“*, - განუცხადა გონსალო იგუაინმა „რეალის“ ოფიციალურ საიტს.

ბრაზილიელმა **კაკამ** სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა თავის ტრავმას, სადაც უარყო ხმები, თითქოს, მას კიდევ აწუხებს სპორტული თიაქარი ანუ საზარდულის ტრავმა. კაკამ განაცხადა, რომ მან ბოლომდე მოირჩინა ტრავმა და სრული დატვირთვით თამაში და ვარჯიში შეუძლია.

„ხერესთან“ თამაშიც გამორჩეული იქნება მარსელოსთვის. წინა ტურში ის პირველად თამაშობდა კონტრაქტის გახანგრძლივების შემდეგ, ახლა კი ბრაზილიელს იუბილე ელის - შაბათს ის მეასედ მოირგებს „რეალის“ თეთრ მაისურას. არადა მარსელო ვიეირა სულ რაღაც 21 წლისაა. კასილიასს თუ არ ჩავთვლით, მარსელომ ამ სეზონში ყველაზე მეტი წუთი გაატარა მინდორზე. მან 21 მატჩიდან 19 სასტარტოში დაიწყო. ლა ლიგაში, „კოპა დელ რეიზე“ და ჩემპიონთა ლიგაში 2007 წლის იანვრიდან მოყოლებული მარცხენაფლანგელს „რეალში“ 99 თამაში დაუგროვდა, მან 6 გოლი გაიტანა.

გუშინ ტრავმირებულ **ქარიმ ბენზემას** MRI სკანირება ჩაუტარდა, რომელმაც მარცხენა ფეხზე კუნთის დაზიანება აღმოაჩინა. ფრანგისთვის საბედნიეროდ, ტრავმა არ არის სერიოზული, თუმცა ის ყველა შემთხვევაში გამოტოვებს „ხერესთან“ რანდევუს, ხოლო ყოფილ კლუბ „ლიონთან“ მისი გამოჩენა ძალზე საეჭვოა და დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწრაფად წარიმართება რეაბილიტაციის კურსი.


პელეგრინიმ დაცვას მიხედა

გუშინ გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა **ეზეკიელ გარაიმ**, არგენტინელმა ბოლომდე მოირჩინა ტრავმა მარცხენა ფეხზე და „ხერესთან“ თამაშს შეძლებს. ამით **სერხიო რამოსის** ექსპერიმენტი დასრულდება, ის ალბათ ჩვეულ ფლანგს დაუბრუნდება, ხოლო ცენტრში გარაისა და **ალბიოლის** წყვილს ვიხილავთ, მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლებს **არბელოა**, მარსელო კი წინ წაიწევს. ბენზემამ, **მეტცელდერმა** ტრენაჟორების დარბაზში ივარჯიშეს მსუბუქად, ხოლო პეპემ ჩვეული პროცედურები გაიარა.

ინგლისი. პრემიერლიგა XXVI ტური

**მანჩესტ. სიტი–ბოლტონი 2:0**

**სიტი:** გივენი, კომპანი, კოლო ტურე (55. ლესკოტი), ბრიჯი (68. რაიტ-ფილიპსი), საბალეტა, ვიეირა, ბერი, დე იონგი, ა. ჯონსონი (85. სილვინიო), ტევესი, ადებაიორი.

**ბოლტონი:** იასკელაინენი, რიკეტსი, ნაითი, რობინსონი, სტეინსონი, მუამბა, უილშირი (78. ტეილორი), კოენი (74. მ. დევისი), ლი, ელმანდერი, კ. დევისი.

**გოლები:** 1:0 ტევესი (31-პენ), 2:0 ადებაიორი (73)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 10-13 (3-4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 42 016

**პორტსმუთი–სანდერლენდი 1:1**

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, უილსონი, ბენ-ჰაიმი, როჩა, ფინენი (90. უებერი), ო'ჰარა, დიოპი (76. კანუ), იებდა (78. ბელჰაჯი), ბასინასი, დინდანი, პიკიონი.

**სანდერლენდი:** გორდონი, კილგალონი, ტერნერი, მაკარტი, ჰატონი, კატერმოლი, კანა, რეიდი (85. მეიერი), მალბრანკი (46. ზენდენი), ჯონსი, ბენტი (90. ბერდსლი).

**გოლები:** 0:1 ბენტი (12-პენ), 1:1 დინდანი (90)

**გაძევება:** როჩა (9. პორტსმუთი), კატერმოლი (55. სანდერლენდი), მეიერი (87. სანდერლენდი)

**გაფრთხილება:** 3-0; **კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 10-17; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 19-11 (5-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 16 242

**უიგანი–სტოკ სიტი 1:1**

**უიგანი:** კირკლენდი, ბრემბლი, კოლდუელი, ფიგეროა, ბოისი, შარნერი, დიამი (81. მორენო), სკოტლენდი (60. გომესი), მაკარტი (55. თომასი), როდალეგა, ნზოგბია.

**სტოკი:** სორენსენი, შოუქროსი, ჰუთი, ჰიგინბოთემი, უილკინსონი, უელანი, დელაპი (60. ფულერი), ეზერინგტონი, უაითჰედი, სიდიბე (88. ბიტი), თუნჯაი (88. ლოურენსი).

**გოლები:** 1:0 შარნერი (14), 1:1 თუნჯაი (74)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 11-8; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 16-12 (2-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 16 033

**ფულჰემი–ბარნლი 3:0**

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, ა. ჰიუზი, შ`რი, ბეირდი, ეტუჰუ, მერფი, ს. დევისი (62. გრინინგი), დაფი (77. რიისე), ელმი, სამორა (71. ოკაკა-ჩუკა).

**ბარნლი:** იენსენი, კორტი (31. იგლზი), კარლაისლი, ედგარი, მერსი, მაკდონალდი, ბიკეი, ფოქსი, ელიოტი (56. კორკი), ფლეტჩერი, ნაჯენტი (76. პეტერსონი).

**გოლები:** 1:0 მერფი (23), 2:0 ელმი (31), 3:0 სამორა (54)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 17-11 (8-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 23 005


ერიკ აბიდალი საეჭვოა

ბარსელონა

# ვინ მიხედავს დაცვას კალდერონზე

„ბარსელონაში“ დაცვის კრიზისია, **პეპ გვარდიოლას** გუნდს ძალზე მნიშვნელოვანი გასვლითი მატჩი ელის ჩემპიონთა ლიგის განახლებამდე, მადრიდში „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ და მწვრთნელს თითქმის ყველა გამორჩეული მცველი აკლია. გუშინ, ვარჯიშზე (რომელსაც წვიმაში 3,5 ათასი ადამიანი დაესწრო) ტრავმა მიიღო ახლახან გამოჯანმრთელებულმა ფრანგმა **ერიკ აბიდალმა**, მან ახლა მარცხენა ფეხის კუნთი დაიზიანა. თუკი აბიდალის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდება (პასუხს დღეს შევიტყობთ), გვარდიოლას „ვისენტე კალდერონზე“ შესუსტებული დაცვით მოუწევს თამაში. „ხეტაფესთან“ მატჩში წითელი ბარათები მიიღეს **რაფა მარკესმა** და **ჟერარდ პიკემ**, მადრიდში არ იქნება არც **იაია ტურე**, რომელმაც პიკეს ადგილი დაიკავა დაცვის ცენტრში, აფრიკელი ორი კვირით დააკლდა გუნდს, ასევე ტრავმირებულია (3 კვირით) **დანი ალვეშიც**. კვლავ აწუხებს ტრავმა კაპიტან **კარლეს პუიოლს**, რომელმაც გუნდთან ერთად ვერ ივარჯიშა. გვარდიოლამ „ბარსელონა ატლეტიკიდან“ ორი ცენტრალური მცველი დაიმატა, **ბარტრა** და **ფონტასი**. მოკლედ, თუ აბიდალი და პუიოლი ვერ შეძლებენ კვირას თამაშს, გვარდიოლა **ჩიგრინსკის, მაქსველისა** და **მილიტოს** იმედად უნდა იყოს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვესტ ჰემი



ჯანფრანკო ძოლას თავსატეხი არ ელევა

# ყველას, ყველას, ყველას: დაუქვითეთ ხელფასი!

**ჯანფრანკო ძოლასა** და მის ფეხბურთელებს ხელფასებს 25 პროცენტით შეუმცირებენ! „ვესტ ჰემის" ახალ მეპატრონეებს, **დევიდ გოლდსა** და **დევიდ სალივანს** 60 მილიონი ფუნტის ტოლფასი სახელფასო ფონდის „გაკრეჭა" აქვთ გადაწყვეტილი. ლონდონელთა გუნდმა პრემიერლიგაში დარჩენა რომც მოახერხოს, მწვრთნელისა და მოთამაშეების ჯამაგირებს „მაკრატელი" მაინც არ ასცდება. სალივანმა ჟურნალისტებს განუცხადა: *„მომავალ ზაფხულს ყველას ვთხოვთ, გასამრჯელოს შეკვეცას შეეგუოს".*

სალივანსა და გოლდს „ჩაქუჩებმა" 110 მილიონი ფუნტი ვალად დაახვედრეს - როგორც ინგლისელი ჟურნალისტები წერენ, „აპტონ პარკზე" „ქონიანი კატის" ცხოვრებას იყვნენ მიჩვეულნი. მაგალითად, ნახევარმცველი **სკოტ პარკერი** კვირაში 65 ათას ფუნტს იღებს და ასეთივე ხელფასი აქვს **კირონ დაიერსაც**. 60 ათასი ფუნტი - აქვს მცველ **მეტიუ აპსონს**. განაპირა ნახევარმცველს **მანუელ და კოსტასაც** კი დიდი გასამრჯელო აქვს - 20 ათასი ფუნტი კვირაში.

ცნობილი გახდა, რომ ხელფასის შემცირებაზე თანხმობა უკვე განაცხადა კლუბის თხუთმეტმა თანამშრომელმა. ფეხბურთელებთან კავშირზე პასუხისმგებელი ოფიცერი - ასე ჰქვია, თურმე, მძღოლს - რომელსაც წელიწადში 50 ათასი ჰქონდა, აშკარაა, საშინელ დარტყმას მიიღებს - მას გაუშვებენ. ეს კაცი „ვესტ ჰემის" ყოფილი მეპატრონის ოჯახის მეგობარი ყოფილა.

სამსახურს დაკარგავს ფიზიკური მომზადების მწვრთნელი, რომელსაც წელიწადში 200-ათასიანი ხელფასი აქვს და ორი ექიმიდან ერთი. გასაგდებთა სიაშია ტექნიკური დირექტორი **ჯანლუკა ნანიც**. სალივანმა დასძინა: *„ათი-თხუთმეტი თანამდებობა უკვე გავაუქმეთ. კლუბში საშინელი დომხალია. თუ საქმის გამოსწორება გვინდა, ყველანი ერთ მუშტად უნდა შევიკრათ".*

და რომ იცოდეთ, არც ჯანფრანკო ძოლას საქმეა მაინცდამაინც კარგად. სალივანმა თავის მწვრთნელზე ასე თქვა: *„მწვრთნელთა შორის, ვისაც კი ცხოვრებაში შევხვედრივარ, ძოლა ყველაზე კეთილი ადამიანია, მაგრამ სწორედ მაგის მეშინია: მეტისმეტად კეთილი ხომ არ არის? ოზი არდილესიც ძალიან კარგი კაცია, მაგრამ გახსოვთ, „ტოტენჰემ ჰოთსპური" რა დღეში ჩააგდო? ყველა კითხვაზე დრო გაგვცემს პასუხს. უახლოეს რამდენიმე შეხვედრაში ძოლა თავის ოსტატობას დაგვიმტკიცებს. „ვესტ ჰემის" შეძენას ჯერჯერობით არ ვნანობ, მაგრამ თუ პრემიერლიგიდან გავვარდებით, ნამდვილად ვინანებ. ნახევარი გუნდის გაყიდვა მოგვიწევს, რადგან ამ კლუბში სპეციფიკური მდგომარეობაა. ჩვეულებრივ საქმეს ხელს რომ ჰკიდებ, ასეთი ვალები არ უნდა დაგხვდეს. გავვარდებით თუ ვერა? საერთოდ, ალლოს არ ვუჩივი. „ბირმინგემში" რომ ვიყავი, ათი შეხვედრის შემდეგ ვთქვი, ჩვენი გუნდი ვარდება-მეთქი. ახლა ამგვარი განცდა არ მაქვს. თუმცა, შეიძლება ახლა ჩემში „ვესტ ჰემის" ფანი ალაპარაკდა და რეალიზმის გრძნობა დამაკარგვინა".*

ოკეანის გაღმა-გამოღმა

# რას აპირებს რობინიო?



რობინიო ხელს მანჩინისკენ იშვერს

**რობინიო** ამბობს, რომ მისი „მანჩესტერ სიტიდან" წასვლის მიზეზი **რობერტო მანჩინის** ტაქტიკა იყო. ბრაზილიელი, რომელმაც ისტლენდელთა სასტარტო შემადგენლობაში ადგილი ჯერ კიდევ წინა მწვრთნელის **მარკ ჰიუზის** დროს დაკარგა, იმედოვნებდა, რომ უელსელის ნაცვლად იტალიელის მოსვლით დაკარგულ პოზიციებს დაიბრუნებდა, მაგრამ უარესი მოხდა - რობინიო კვლავ სათადარიგოთა სკამზე აგრძელებდა ჯდომას და საბოლოოდ, ყოფილ გუნდში, „სანტოსში" გააქირავეს.

კაცმა რომ თქვას, „სანტოსის" ვარიანტს „რეალის" ყოფილი თავდამსხმელი სიხარულით ჩაებღაუჭა და გასულ კვირას, სადებიუტო მატჩში „სან პაულუს" კარში გოლიც შეაგდო.

*„მანჩინის სრულიად განსხვავებული მენტალიტეტი და დამოკიდებულება ჰქონდა, - უთხრა რობინიომ ჟურნალისტებს, - ბრაზილიაში მწვრთნელები ფეხბურთელების მონაცემებს პატივს სცემენ, ევროპაში კი ორ ოთხკაციან ხაზს გაამწკრივებენ და საერთოდ არ აინტერესებთ რა შეგიძლია და რა არა. იქ, თავდამსხმელები უბრალო სირბილისთვის სჭირდებათ. უნდა გაიქცე და სულ ეს არის".*

ხელშეკრულების თანახმად, რობინიო „სიტიში" მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უნდა დაბრუნდეს, თუმცა, თავად თავდამსხმელი იმედოვნებს, რომ სამხრეთ აფრიკის შემდეგ მას რომელიმე სხვა გუნდი იყიდის. ბრიტანული ტრანსფერების რეკორდის მფლობელმა (ისტლენდელებმა „რეალისგან" 32,5 მილიონ ფუნტად იყიდეს) თქვა:

*„მე მენტალურად და ფიზიკურად მზად ვარ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი რომ გავხდე. ასაკიც შესაფერისი მაქვს. წესით უნდა ვიფრინო".*

არსენალი

# სასწაულმოქმედი ვენგერი

**არსენ ვენგერმა** კაპიტულაცია გამოაცხადა. ფრანგი მწვრთნელი აღიარებს, რომ მისი ფეხბურთელების გამოუცდელობამ მიმდინარე ჩემპიონატში ტიტული უკვე მიუწვდომელი გახადა. მან „მეთოფეთა" ახალგაზრდულ გულს „მწვანე" უწოდა და თქვა, რომ ბრძოლისუნარიან, დაგეშილ „ჩელსისთან" იგი ვერაფერს გახდა - შეგახსენებთ, რომ დასავლეთ და ჩრდილოლონდონელთა დაპირისპირება კვირას „ჩელსის" გამარჯვებით, 2:0 დასრულდა. ვენგერმა ბრძანა:

*„ჩვენი გუნდის საშუალო ასაკი 23 წელია, „ჩელსისა" კი 29. ვფიქრობ, მოედანზე ყველაფერი სწორედ ამან გადაწყვიტა. პირველი კუთხურის დროს ძალიან ბავშვურად მოვიქეცით, შემდეგ კი მეტოქეს თავი კონტრშეტევაზე გამოვაჭერინეთ. მაგრამ, ასეა თუ ისე, ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩემპიონატის ბოლო წუთამდე ვიბრძოლოთ. საყვედურს ვერავის ვეტყვით. რას იზამ, თუკი „ჩელსი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" გვჯობია, ჩემპიონიც რომელიმე მათგანი გახდება და ჩვენ ისლა დაგვრჩება, მოვულოცოთ, თუმცა ვიმეორებ, ყურების ჩამოყრა არაფრით შეიძლება. ჩვენმა გუნდმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა აჩვენოს, რომ სიამაყე და თავმოყვარეობა არ აკლია".*

მოგეხსენებათ, დღეს „მეთოფეები" „ლივერპულს" ხვდებიან და მერსისაიდელთა გამარჯვების შემთხვევაში მათ შორის სხვაობა ორ ქულამდე შემცირდება. „არსენალის" ლეგენდა **იან რაიტი** კი თავის საგაზეთო სვეტში ასე წერს:

„მას მერე, რაც ბოლო სამ შეხვედრაში, ცხრა შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა, „არსენალი" ჩემპიონობისთვის ბრძოლას ჩამოშორდა, მაგრამ მე უფრო შორს მივდივარ და ვხედავ, რომ სულ რამდენიმე კვირაში ვენგერის გუნდს შეიძლება მიზანიც კი აღარ დარჩეს: 17 თებერვალსა და 9 მარტს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, ლონდონელები „პორტუს" ეთამაშებიან. პირველი შეხვედრა პორტუგალიაშია, მეორე კი ინგლისში. და რას გამოიწვევს ევროპული შეჯიბრებიდან გამოვარდნა? ეს, რასაკვირველია დიდი წნეხი იქნება თავად ვენგერისთვის, მაგრამ მის გარდა დიდ ტვირთად დააწვება კლუბის მეპატრონეებსაც, რომელთაც ახალი ფეხბურთელების შესაძენად დიდძალი ფულის ხარჯვა აშკარად არ სურთ. დარწმუნებული ვარ, „პორტუს" სკაუტებმა „არსენალის" ბოლო თამაშები ნახეს და აშკარად გრძნობენ, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვთ.

ლონდონელების ჩავარდნა ფეხბურთის ასოციაციის თასზე „სტოკთან" 3:1 წაგებით დაიწყო. ამ შეხვედრაში ვენგერმა მეორე შემადგენლობა ათამაშა, მაგრამ „მეთოფეების" გუნდი არ არის იმდენად ძლიერი, რომ პრემიერლიგის სხვა წარმომადგენლების მსგავსად თავს შედარებით სუსტ მოწინააღმდეგეებთან მეორე შემადგენლობით თამაშის ნება მისცეს. „სტოკთან" წარუმატებლობას მოჰყვა ფრე „ასტონ ვილასთან" და ორი მარცხი „მანჩესტერ იუნაიტედთან" და „ჩელსისთან". სურათი ასეთია: „არსენალმა" ამ სეზონში პრემიერლიგის ორ უძლიერეს გუნდთან უკვე ოთხივე შეხვედრა ითამაშა და ყველა წააგო - გაიტანა ორი და გაუშვა ათი! მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მაქვს იმედი, რომ „მეთოფეები" ჩემპიონთა ლიგას ასე იოლად არ გამოეთიშებიან.

მაგრამ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, „არსენალს" რაღაც ჭირს და ამის დასანახავად გენიალური ტაქტიკოსობა სულაც არ არის საჭირო. თვალში საცემია, რომ ფეხბურთელთა შორის გამოცდილი და ბრძოლისუნარიანი სულ ერთი-ორია. ვენგერს არც მეტი, არც ნაკლები, გუნდის ხერხემალი აქვს გასაძლიერებელი. მას სჭირდება ახალი მეკარე, თავდამსხმელი, ცენტრალური ნახევარმცველი და მცველი. რასაკვირველია, სოლ კემპბელის გუნდში დაბრუნება ძალიან კარგი იყო, მაგრამ მე ვისურვებდი იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დროს „არსენალში" სოლის ახალგაზრდა ვარიანტი მიეყვანათ. ის დრო, როდესაც „მეთოფეებს" ვერავინ ერეოდა დიდი ხნის გასულია და კვირას, ვენგერის გუნდისთვის დიდიე დროგბას გაჩერება უბრალოდ შეუძლებელი გამოდგა. „ჩელსის" პირველმა გოლმა ნათლად გამოაჩინა, რომ „არსენალის" ფეხბურთელები ღონივრად ვერ თამაშობენ, ხოლო მეორე გოლის დროს დაცვა მარტივად გაიხსნა. თამაშის წინ, „სტემფორდ ბრიჯის" ტრიბუნაზე მეტოქეების შემადგენლობებს ვადარებდი და ვხვდებოდი, რომ უპირატესობა ჩრდილოლონდონელების მხარეს აშკარად არ იყო. აქ აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ თავისი როლი ითამაშა უიღბლობამაც: რობინ ვან პერსი რომ არ



არსენ ვენგერი იძულებულია, რეალობას შეეგუოს

დაშავებულიყო და „ჩელსის" წინააღმდეგ ვენგერს მოედანზე ჰყოლოდა, თამაშის სურათი აშკარად სხვა იქნებოდა. ანდრეი არშავინმა ჩინებული შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, მაგრამ რომც გაეტანა, ვფიქრობ, იმ შეხვედრას მაინც „ლურჯები" მოიგებდნენ. დროგბას „არსენალთან" მართლაც საოცარი შედეგი აქვს, „მანჩესტერ იუნაიტედთან" კი იმდენი გოლი ვერ გააქვს და ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის ბრალია, რომ მანჩესტერელებს უფრო ძლიერი დაცვა ჰყავთ.

მთელ ამ ისტორიაში მთავარი ის არის, რომ ვენგერს მოთამაშეების საყიდლად ბევრ ფულს არ აძლევენ. დირექტორატი სულ იმეორებს, რომ ახალი ფეხბურთელების საყიდლად ფული აქვთ, მაგრამ რამდენია ეს თანხა, არავინ აზუსტებს. ერთი მხრივ დირექტორატის სიძუნწე გასაგებია: „არსენალს" არ სურს „პორტსმუთის" ან, თუნდაც იმავე „მანჩესტერ იუნაიტედის" დღეში ჩავარდეს, მაგრამ მეორე მხრივ, ასე „მეთოფეები" პრემიერლიგის ტიტულისთვის ვერ იბრძვიან. ალბათ, ასეთ სიტუაციაში ყველაფერს პატიოსნება სჯობს. ვფიქრობ, დირექტორატმა ფანებს (რომლებიც ბილეთებში დიდძალ ფულს იხდიან) პირდაპირ უნდა განუცხადონ, რომ მათი ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა: გულშემატკივარს ტიტულების მოგება სურს, ხოლო მათ ფინანსური კეთილდღეობა. ჯერჯერობით, ყველაფერი ვენგერის სავაჭრო ნიჭზეა აგებული: - შეძლებს თუ არა ფრანგი ცოტა ფულით კარგი ფეხბურთელების ყიდვას. და ასეთ სიტუაციაში ეს კაცი სასწაულებს სჩადის: ასე თუ ისე კონკურენციას უწევს კლუბებს, რომელთა მეპატრონეები მილიონებს არ იშურებენ".

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



შტეფან ეფენბერგი და მისი მეუღლე

ინტერვიუ. შტეფან ეფენბერგი

# ბაიერნი ვალდებულია, ფიორენტინა გააგდოს!

## ეფე ბირჰოფის შემდეგ ლიოვსაც აკრიტიკებს. კურანისა და ფრინგსის მოკვეთა შეცდომა იყო, კლოზეზე მეტად ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშს შტეფან კისლინგი იმსახურებსო...

**ოლივერ ბირჰოფთან დაპირისპირების შემდეგ შტეფან ეფენბერგმა „ბილდს" ინტერვიუ მისცა, მაგრამ გერმანიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბისა და საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის დაპირისპირებაზე კრინტიც არ დაუძრავს, ჟურნალისტს სთხოვა, ამ თემაზე არ ვისაუბროთო. სამაგიეროდ, ეფემ გულახდილად ილაპარაკა „ბაიერნზე" და გერმანიის ნაკრებზე. ვფიქრობთ, რეკორდმაისტერისა და ბუნდესგუნდის გულშემატკივრებს მისი ინტერვიუ ძალიან დააინტერესებთ. ხომ იცით, ეფეს სიტყვა „ბაიერნისა" და ბუნდესგუნდის ფანებისთვის კანონია...**

**- ჰერ ეფენბერგ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ისე მოხდა, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ ფრანკ რიბერი „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება. მართალია, საუკეთესო ფორმაში ჯერ არ არის, მაგრამ მაინც: ლუის ვან გაალს მისი ინტეგრირება უჭირს. შესაბამისად, უკვე ბევრი ექსპერტი საუბრობს იმის შესახებ, რომ რიბერი „ბაიერნისთვის" შეუცვლელი ფიგურა არ არის და თუ ფრანგი ნახევარმცველი ზაფხულში რეკორდმაისტერს დატოვებს, ეს მიუნხენური კლუბისთვის არ იქნება ისეთი მტკივნეული, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. საინტერესოა, თქვენ რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?**

- რაკი „ბაიერნმა" რიბერის გარეშე რამდენიმე თამაშის მოგება შეძლო, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მიუნხენურ კლუბს თამამად და თავისუფლად შეუძლია მასზე უარის თქმა. „მაინცთან" და „ვოლფსბურგთან" მატჩებში „ბაიერნი" რიბერის გარეშეც საკმარისად ძლიერია და მოგებას ახერხებს. სამაგიეროდ, ჩემპიონთა ლიგის მნიშვნელოვან შეხვედრებში რეკორდმაისტერს რიბერი ძალიან სჭირდება. თუ მიუნხენელებს ევროპაში დაქუხება სურთ, რიბერის გარეშე ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდებათ. მოკლედ, „ბაიერნს" ფრანკი სჭირდება, მასთან ერთად „ბაიერნი" სულ სხვა „ბაიერნია".

**- როგორ ფიქრობთ, დარჩება რიბერი მიუნხენში?**

- საერთო ჯამში, რა თქმა უნდა, მინდა, რომ დარჩეს, რადგან „ბაიერნისთვის" ასე აჯობებს. მაგრამ ერთადერთი, რასაც ვისურვებდი, არის ის, რომ რიბერი გულახდილი იყოს. თუ მას მიუნხენიდან წასვლა უნდა, გულახდილად უნდა აღიაროს და ასეთ შემთხვევაში მას კალთებს არავინ დაახევს, რადგან „ბაიერნს" არ სჩვევია ისეთი ფეხბურთელების ძალით შენარჩუნება, რომლებსაც სხვაგან გადასვლა სურთ. თუ რიბერის წასვლა უნდა, თქვას და „ბაიერნი" მის სანაცვლოდ საკმაოდ დიდ თანხას აიღებს. შეუცვლელი კი არავინაა – „ბაიერნი" რიბერით არ დაწყებულა და არც დამთავრდება. მე მის ადგილზე უბრალოდ გულახდილი ვიქნებოდი. სიმართლე გითხრათ, გული მიგრძნობს, რომ წასვლა უნდა და ამას ვერ ამბობს. მე ვფიქრობ, რომ ზაფხულში რიბერი მიუნხენს დატოვებს.

**- თუ რიბერი წავა, სამაგიეროდ მიუნხენელები ტონი კროოსს იბრუნებენ და როგორ ფიქრობთ, „ბაიერნშიც" გაიბრწყინებს ეს უკანასკნელი?**

- ამაში დარწმუნებული ვარ! მაგრამ კროოსი მიუნხენში მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს ძალიან კარგად, თუ მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ათამაშებენ. მოკლედ, თუ ბავარიელები რიბერის შემცვლელის ყიდვაზე ფიქრობენ, მაშინ უმჯობესია, კროოსი „ლევერკუზენში" კიდევ ერთი სეზონი დატოვონ, რათა კიდევ უფრო მომწიფდეს. კროოსი ისეთ ასაკშია, რომ ახლა მისთვის ყველაზე მთავარი სათამაშო პრაქტიკაა. თუ „ბაიერნში" დაბრუნდება და სათადარიგოთა სკამზე დასვამენ, ზუსტად იგივე დაემართება, რაც ლუკას პოდოლსკის და მიხაელ რენზინგს დაემართათ. ასე რომ, მე „ბაიერნის" ხელმძღვანელების ან თვითონ კროოსის ადგილზე რომ ვიყო, კარგად დავფიქრდებოდი.

**- ვან გაალი „ვოლფსბურგთან" 3:1-ზე მოგებული მატჩის შემდეგ ძალიან გაბრაზებული იყო და თავის შეგირდებს აროგანტები უწოდა. როგორ ფიქრობთ, ეს გულახდილი განრისხება იყო თუ უბრალოდ ფსიქოლოგიური ტრიუკი, რომლითაც ჰოლანდიელ სპეციალისტს ფეხბურთელების მობილიზება სურს?**

- ალბათ უფრო ფსიქოლოგიური ტრიუკი იყო. ახლა „ბაიერნს" უმნიშვნელოვანესი კვირები ელის და ჰოლანდიელს უნდა, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალს იდეალურად მომზადებული შეხვდეს – პირველ რიგში ფსიქოლოგიურ და მენტალურ მზადყოფნას ვგულისხმობ. „ბაიერნი" ახლა ძალიან კარგ ფორმაშია და რეკორდმაისტერის თამაშის ყურება დიდი სიამოვნებაა, რამაც შეიძლება, ფეხბურთელების კონცენტრაციის დაკარგვა გამოიწვიოს. თუმცა გუნდი მენტალური თვალსაზრისითაც კარგად გამოიყურება და რაც მთავარია, ფეხბურთელები ვან გაალს უგებენ. „იუვენტუსთან" გამარჯვებამ „ბაიერნში" ყველაფერი შეცვალა. ამ მოგების შემდეგ „ბაიერნი" უმძიმესი წნეხისგან გათავისუფლდა. სწორედ ამიტომ, მგონია, რომ სეზონის დარჩენილ ნაწილს მიუნხენელები ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარებენ.

**- „ფიორენტინას" ბარიერს გადალახავენ?**

- ეს აუცილებელია. „იუვენტუსთან" მოგების შემდეგ „ბაიერნი" უბრალოდ ვალდებულია, „ფიორენტინაც" გააგდოს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფლორენციულ კლუბს აგდებით უნდა შევხედოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ვან გაალი შეძლებს და გუნდს „ფიორენტინასთან" მატჩისთვის ისე მოამზადებს, რომ ფეხბურთელებს არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ.

**- მერე კი, შეიძლება, „ბაიერნი" „ჩელსის", „ბარსას" ან „რეალს" გადაეყაროს...**

- ვაღიაროთ, რომ ეს გუნდები „ბაიერნზე" წინ დგანან, მაგრამ მე თუ მკითხავთ, რეკორდმაისტერს ნებისმიერი გრანდის დამარცხება შეუძლია.

**- ხშირია დისკუსიები ბასტიან შვაინშტაიგერის ამპლუის შესახებ. შვაინი „ბაიერნში" ნახევარდაცვის ცენტრში თამაშობს, გერმანიის ნაკრებში კი მარჯვენა ფლანგზე. თქვენ სად ხედავთ შვაინშტაიგერის ადგილს, ფეხბურთელისა, რომელსაც ერთ დროს თქვენს ღირსეულ შემცვლელად ასახელებდნენ?**

- ჩემი აზრით, შვაინშტაიგერის ადგილი ნახევარდაცვის ცენტრშია. მიმაჩნია, რომ მას მერე, რაც ვან გაალმა ცენტრში გადასწია და ვან ბომელის გვერდით დააყენა, შვაინშტაიგერი ძალიან კარგად ათამაშდა – პასებს ანაწილებს, თამაშს კითხულობს, შეტევებს დირიჟორობს. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მის გვერდით ვან ბომელი დგას. ასეთ მეწყვილესთან ერთად შვაინი დღითიდღე პროგრესირებს. მოკლედ, ამ მხრივ დაახლოებით ისეთივე სიტუაციაა, როგორც ჩემს დროს იყო, როცა ჩემს მხარდამხარ, შუა ხაზში ახალგაზრდა ოუენ ჰარგრივზი თამაშობდა. ვფიქრობ, იოახიმ ლიოვმა ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო, როცა შვაინის მარჯვენივ მიუჩინა ადგილი.

**- გულშემატკივრების საკმაოდ დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ბუნდესმწვრთნელმა შეცდომა დაუშვა, როცა კევინ კურანის საბოლოოდ მიუხურა გერმანიის ნაკრების კარი...**

- ფანების ამ ნაწილს ვეთანხმები. ცხადია, კურანი უნდა დასჯილიყო იმის გამო, რაც თითქმის წელიწადნახევრის წინ გააკეთა, მაგრამ გერმანიის ნაკრებიდან მოკვეთა ნამეტანი იყო. ასეთ დროს მწვრთნელმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს ის, რომ შეიძლება დადგეს მომენტი, როცა გადაწყვეტილებას ინანებს. მით უმეტეს, რომ კურანი არ არის ვეტერანი და კიდევ დიდხანს შეუძლია ფეხბურთის თამაში. კევინმა წელს 25 გოლი რომ გაიტანოს, ხომ ინანებს? თანაც, კურანი ნამდვილად არ არის ისეთი ტიპი, რომ ვერ აპატიო...

**- რაც შეეხება ტორსტენ ფრინგსს?**

- მიმაჩნია, რომ ფრინგსის გამოყენება კიდევ შეიძლებოდა... ყოველ შემთხვევაში, მე რომ ლიოვის ადგილზე ვიყო, ტორსტენზე უარს არ ვიტყოდი...

**- სასაცილოდ არ გეჩვენებათ ის ფაქტი, რომ მიროსლავ კლოზე „ბაიერნში" სათადარიგოთა სკამს ხეხავს, გერმანიის ნაკრებში კი ძირითადი შემადგენლობის წევრია?**

- ზოგადად კლოზეს საწინააღმდეგო, რა თქმა უნდა, არაფერი მაქვს. პირიქით, მირო ძალიან მიყვარს და ძალიან ვაფასებ. მაგრამ მე არასდროს მომწონს, როცა ფეხბურთელს მხოლოდ ძველი დამსახურებების გამო ათამაშებენ. ჩემი აზრით, გერმანიის ნაკრების ნებისმიერი ფეხბურთელი ყოველ კვირას, ბუნდესლიგის ყოველ ტურში უნდა ამტკიცებდეს თავის შესაძლებლობებს. მით უმეტეს, თუ ის ბუნდესგუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრია. ფაქტია, რომ კლოზე ბუნდესლიგაში ცოტას თამაშობს, რის გამოც რიტმი ფაქტობრივად დაკარგული აქვს და არ ვიცი, რისი იმედი უნდა გვქონდეს მუნდიალზე მიროსგან. ამას წინათ კლოზეს ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ამბობს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ექვსი გოლის გატანაზე და რონალდოს რეკორდის დამხობაზე ვფიქრობო. და ამ დროს, ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი. რა ვიცი, რა ვიცი... უმჯობესია, იმაზე იფიქროს, რომ „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდროს ადგილი. ცხადია, რონალდოს რეკორდის დამხობას ვუსურვებ და ძალიან მინდა, რომ ამ მიზანს მიაღწიოს, მაგრამ... საქმე იმაშია, რომ მაგალითად, „ლევერკუზენის" ფორვარდი შტეფან კისლინგი კვირიდან კვირამდე ამტკიცებს, რომ გერმანიის ნაკრებში თამაშის ღირსია და ჩემი აზრით, დღესდღეობით ის კლოზეზე გაცილებით მეტად იმსახურებს ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშს.

**- თომას მიულერი?**

- მიულერიც. თომასი „ბაიერნის" სასტარტოში ასპარეზობს და ძალიან კარგად გამოიყურება, მაგრამ მისთვის გერმანიის ნაკრების ძირითადში თამაში ჯერ მაინც ადრეა. თუმცა მისი დიდი პლუსია ისიც, რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილებაც აქვს. იგივე ეხება ჰოლგერ ბადშტუბერსაც. სწორედ ბადშტუბერისა და მიულერის მაგალითზე ჩანს, რომ ლუის ვან გაალი დიდი მწვრთნელია.

გოტფრიდ ლენცი

დაპირისპირება

# ვითომ შერიგდნენ?

## ოლივერ ბირჰოფმა ბოდიში მოიხადა...

გერმანიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბსა და საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის დაპირისპირება გუშინ დასრულებულად გამოცხადდა, მხარეები პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ და მათ „დიდი შერიგების" შესახებ ამცნეს. შეცვლით კი არაფერი შეცვლილა: მწვრთნელი **იოახიმ ლიოვის**, მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფისა** და სხვათა კონტრაქტების გაგრძელების საკითხი მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ განიხილება.

პრესკონფერენციამდე ლიოვს, ბირჰოფსა და პრეზიდენტ **თეო ცვანციგერს** ორსაათიანი საუბარი ჰქონდათ, რომლის შემდეგაც, თითოეულმა მათგანმა აღიარა გარკვეული შეცდომები. ეს განსაკუთრებით ბირჰოფს ეხება, რომელმაც პრესკონფერენციაზე სამჯერ მოიხადა ბოდიში იმ „გაუგებრობებისთვის", რაც ამ დღეებში მთელი საფეხბურთო გერმანიის სალაპარაკო [illegible]ემა იყო (ამ თემაზე გუშინაც ვწერდით და ამიტომ აღარ დავწვრილმანდებით). სამივე მათგანმა განაცხადა, რომ ახლა ყველაზე მთავარი მუნდიალისთვის მზადების პროცესი და მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით ასპარეზობაა.

*„დარწმუნებული იყავით, რომ ეს ამბავი გერმანიის ნაკრების მზადებას ხელს არ შეუშლის და გუნდზე არ იმოქმედებს. ახლა ყველანი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვართ კონცენტრირებულები. ჩვენ ყველას უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია და წარმოვადგენთ არა მარტო გერმანიის საფეხბურთო კავშირს, არამედ მთელ გერმანიას. ჩვენს უკან მილიონობით ფანი დგას. მე დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის ნაკრები მუნდიალზე ძალიან კარგად იასპარეზებს,"* - განაცხადა ლიოვმა.

*„მინდა ბოდიში მოვიხადო შექმნილი სიტუაციისთვის, რომელშიც განსაკუთრებით მე მიმიძღვის ბრალი. ამ ყველაფრის გამო ძალიან ვწუხვარ,"* - ეს ბირჰოფის სიტყვებია. შეგახსენებთ, რომ მან ცვანციგერს გერმანიის ნაკრების მწვრთნელის დანიშვნასა და გათავისუფლებაზე ვეტოს დადების უფლება მოსთხოვა, რის გამოც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს.

გოტფრიდ ლენცი




ბირჰოფმა და ცვანციგერმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი


ედუარდო რეია

ლაციო

# ბალარდინის რეია შეცვლის

### ნაპოლის ყოფილი თავკაცი: გონება ლაციოს მეუბნება, გული ჰაიდუკს...

იტალიური სპორტული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **დავიდე ბალარდინი** „ლაციოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტს უახლოეს პერიოდში დატოვებს. ამის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და მხოლოდ ფორმალობებია მოსაგვარებელი. ბალარდინის ხელში რომაულმა გუნდმა გასავარდნ ზონაში ამოყო თავი და რა გასაკვირია, რომ მწვრთნელს კარისკენ მიუთითეს.

აპენინელმა ჟურნალისტებმა გუშინვე გვაუწყეს, რომ დავიდეს „ნაპოლის“ ყოფილი დამრიგებელი **ედუარდო რეია** შეცვლის. გამოცდილმა სპეციალისტმა უკვე გაწყვიტა ხელშეკრულება ხორვატულ „ჰაიდუკთან“, უახლოეს დღეებში რომში ჩაფრინდება და „ბიანკოჩელესტესთან“ კონტრაქტს გააფორმებს. გუშინ რეიამ მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

*„ჯერ არ ვიცი, დავთანხმდები თუ არა „ლაციოში“ მუშობას. გონება მეუბნება, რომ „ლაციოში“ უნდა წავიდე, გული კი მკარნახობს, „ჰაიდუკი“ არ დატოვოო“*, - აი, ასე ორ ცეცხლშუაა სინიორ რეია.

იტალიის ნაკრები

# მომავლის სკუადრა აძურა

**კვირას**, ვარშავაში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა შედგა, რომელმაც იტალიელ ჟურნალისტებშიც საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. ბუნებრივია, აპენინელთა ყურადღება დღეს მუნდიალისკენ გახლავთ მიმართული, მაგრამ პოლონეთში გამართულმა კენჭისყრამ, ჟურნალისტთა მზერა მომავლისკენაც მიაპყრო. „კალჩო 2000-მა“ გარკვეული ანალიზი ჩაატარა და სავარაუდო შემადგენლობა გამოავლინა, რომელსაც „სკუადრა აძურას“ მთავარი მწვრთნელი მუნდიალის შემდეგ, შესარჩევ ეტაპზე დაეყრდნობა. დღეს ისიც გაურკვეველია, თუ ვინ ჩაიბარებს ნაკრებს მარჩელო ლიპის შემდეგ და ჩვენც სწორედ ამ თემით დავიწყოთ.

### მწვრთნელი

**მარჩელო ლიპის** შესაძლო მემკვიდრედ რამდენიმე სპეციალისტის გვარს ასახელებენ, თუმცა ყველაზე რეალურ კანდიდატად **ჩეზარე პრანდელი** მოჩანს. ამ მართლაც ნიჭიერმა სპეციალისტმა „ფიორენტინა“ განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანა და გუნდი სერია A-ს ლიდერთა შორის დააბრუნა. ამასთან, მიმდინარე სეზონში საერთაშორისო სარბიელზეც გამოიჩინა თავი, „ვიოლამ“ ჩემპიონთა ლიგაში ურთულესი ჯგუფი დაძლია და მერვედფინალში გაალწია. თუმცა ყველაფერს აქვს დასასრული და პრანდელისაც მოუწევს „ვიოლასთან“ გამოთხოვება. შესაძლოა, ეს მიმდინარე სეზონის ბოლოს მოხდეს და მუნდიალის შემდეგ ჩეზარემ „სკუადრა აძურა“ ჩაიბაროს. ამაში გასაკვირი არაფერი იქნება, რადგან პრანდელის კანდიდატურას საფეხბურთო იტალია მხარს უჭერს. არიან გამონაკლისები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩეზარეს ადგილი „აძურაში“ არ არის, ერთ-ერთი მათგანი **არიგო საკი** გახლავთ, რომელიც თავის პოზიციას შემდეგი სიტყვებით ამყარებს:

*„პრანდელის ახლოს ვიცნობ, ის ჩემი მეგობარია და ვიცი, რომ არ ეწყინება ის, რასაც ახლა ვიტყვი. შესანიშნავი სპეციალისტია, ძალიან კარგი ტაქტიკოსი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის საკლუბო მწვრთნელია. მას ყოველდღიური მუშაობა სჭირდება ფეხბურთელებთან, რომ ამოცანას თავი წარმატებულად გაართვას. „ვიოლა“ პრანდელის გუნდია, ბრწყინვალედ შეეწყო ფლორენციულ გარემოს, თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს და შედეგებსაც აღწევს. თუმცა, სანაკრებო სპეციფიკა საკლუბოსგან რადიკალურად განსხვავდება, მას ორ თვეში ერთხელ მოუწევს შეგირდებთან მუშაობა და მეეჭვება, რომ საამისოდ მზად იყოს. პრანდელის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩემი აზრით, მისი გუნდი „ფიორენტინაა“ და არა ეროვნული ნაკრები“.*

მიუხედავად იმისა, რომ საკის მოსაზრებას კიდევ რამდენიმე საფეხბურთო ჩინოსანი იზიარებს, „აძურას“ ჩაბარების ყველაზე მეტი შანსი მაინც სინიორ ჩეზარეს აქვს. მის კონკურენტებად შეგვიძლია **კარლო ანჩელოტი, ჯანპიერო გასპერინი, რობერტო მანჩინი** და **მასიმილიანო ალეგრი** მივიჩნიოთ. ამ უკანასკნელზე მას შემდეგ დაიწყეს საუბარი, რაც რამდენიმე იტალიურმა სპორტულმა გამოცემამ 2009 წლის საუკეთესო სპეციალისტად აღიარა.

### მეკარე

შემადგენლობა ოთხ ნაწილად უნდა დავყოთ: მეკარე, დაცვა, ნახევარდაცვა და თავდასხმა. კიპერზე აქვე ვთქვათ, დანარჩენი რგოლები კი უფრო ვრცლად, სათითაოდ გავარჩიოთ. **ჯანლუიჯი ბუფონი** მუნდიალის შემდეგ კარიერის დასრულებას არ აპირებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევრო 2012-ის შესარჩევ ეტაპზე კარში სწორედ ჯიჯი იდგება. შეიძლება კითხვა გაგიჩნდეთ, მართალია კარიერას არ ამთავრებს, მაგრამ იქნებ ეროვნულ ნაკრებს გამოეთხოვოს? - ამაზე თავად ბუფონი გიპასუხებთ:

*„ფეხბურთის თამაშს სწორედ მაშინ დავამთავრებ, როდესაც ეროვნულ ნაკრებში აღარ გამომიძახებენ. სიმართლე გითხრათ, ვერც კი წარმომიდგენია როგორ უნდა ვთქვა უარი ნაკრების მაისურის მორგებაზე, ეს ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რაც კი მოთამაშემ შეიძლება განიცადოს. ასე რომ, „აძურას“ მხოლოდ ფეხბურთთან ერთად გამოვეთხოვები“.*

რაც შეეხება სარეზერვო კიპერებს, **ფედერიკო მარკეტის** და **მარკო ამელიას** გამორჩევა შეიძლება. თუმცა, კიდევ არიან საინტერესო ახალგაზრდა კარის დარაჯები. რეზერვი რეზერვად, მაგრამ იმაზე უნდა შევთანხმდეთ, რომ ბუფონი კიდევ მინიმუმ ორი წლით, უალტერნატივოა.

### დაცვა

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ეროვნულ ნაკრებს არაერთი ფეხბურთელი გამოეთხოვება. სავარაუდოდ, მათ შორის იქნებიან **ფაბიო კანავარო, ფაბიო გროსო** და **ჯანლუკა ძამბროტა**. მართალია, ამის შესახებ განცხადება ჯერ არ გაუკეთებიათ, მაგრამ დიდი ალბათობით, ეს ასე მოხდება. ძნელად წარმოსადგენია, რომ 36 წლის კანავარომ ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობისთვის იბრძოლოს და ახალგაზრდა მცველებს გაუწიოს კონკურენცია. ფაბიოზე ოთხი წლით უმცროსია ძამბროტა, მაგრამ თამაში აღარ გამოსდის ძველებურად და აშკარად თმობს პოზიციებს. ბოლო დროს, ჯანლუკა „მილანის“ ძირითად შემადგენლობაშიც ვეღარ ხვდება, სადაც **ინაციო აბატე** იმკვიდრებს ადგილს. იგივე შეიძლება ითქვას გროსოზეც - მართალია, „იუვეს“ ძირითადში ჯერ მყარად დგას, მაგრამ გადახედეთ ტურინელთა შედეგებს და თავადაც მიხვდებით, რამდენად კარგად ართმევენ თავს „იუვეს“ ფეხბურთელები თავთავიანთ მოვალეობებს. სხვათა შორის, ეს გროსოსთან ერთად, კანავაროსაც ეხება.

წამსვლელებს შემცვლელები სჭირდებათ და სწორედ ამ მიმართულებით განვავრცოთ თემა. **ჯორჯო კიელინი** ჯერ მხოლოდ 25 წლის არის და ბუნებრივია, კიდევ დიდ ხანს იასპარეზებს ეროვნულ ნაკრებში. დაცვის ცენტრში ერთი ადგილი სწორედ მას აქვს დაჯავშნული და მთავარი კითხვა იმაში მდგომარეობს, ვინ იქნება მისი მეწყვილე? - იტალიელ ჟურნალისტთა უმერტესობა მიიჩნევს, რომ ამ ადგილს **ანდრეა რანოკია** დაეპატრონება. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა უკანახაზელს დღეს საერთოდ არ იძახებენ ეროვნულში, სწორედ მისი შანსები ფასობს ყველაზე ძვირად. რანოკია 21 წლის გახლავთ, „ბარის“ ღირსებას იცავს და მიმდინარე სეზონში მართლაც ბრწყინვალედ ასპარეზობს. ანდრეას მეწყვილე **ლეონარდო ბონუჩი** გახლავთ, რომელიც ასევე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეროვნული ნაკრების კანდიდატი.

მარჯვენა ფლანგი დღეს ძამბროტას აბარია, მუნდიალის შემდეგ კი წესით **მარკო მოტას** ჯერი უნდა დადგეს. „რომას“ უკანახაზელი ბოლო ორი წელია, რაც გამოჩნდა საფეხბურთო ავანსცენაზე და თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა. მოტა ძალიან სწრაფია და დაცვითი ფუნქციების შესრულების გარდა, შეტევაშიც კარგად შეუძლია ჩართვა. შეგვიძლია **ფაბიანო სანტაკროჩე** გავიხსენოთ, რომელიც „ნაპოლიში“ ასპარეზობს, თუმცა ვფიქრობთ, მოტას გაცილებით დიდი პერსპექტივა აქვს.

რაც შეეხება მარცხენა ფრთას, აქ აშკარა ფავორიტად **დავიდე სანტონი** მოჩანს. ახალგაზრდა მცველი გასულ სეზონში მარჯვენა ფლანგზე ასპარეზობდა, თუმცა შემდეგ საპირისპირო ფლანგზე გადაინაცვლა და იქაც კარგად წარმოჩინდა. სანტონი აშკარად ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი უკანახაზელია იტალიაში და წესით, „აძურაში“ ადგილის დამკვიდრება არ უნდა გაუჭირდეს. ალტერნატიული ვარიანტი? - **დომენიკო კრიშიტო**.

### ნახევარდაცვა

**ანდრეა პირლო** 30 წლის არის და სანაკრებო კარიერის დასრულებას ჯერჯერობით არ აპირებს. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ასეთი კლასის ფეხბურთელი არა თუ იტალიაში, მსოფლიოშიც კი თითზე ჩამოსათვლელია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მუნდიალის შემდეგაც „აძურას“ ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი იქნება. იგივე შეიძლება ითქვას **დანიელე დე როსიზე**, მით უმეტეს, პირლოსგან განსხვავებით, „რომანისტას“ ვეტერან ფეხბურთელად ვერ მოვნათლავთ, ის მხოლოდ 26 წლის გახლავთ. ერთი სიტყვით, ცენტრი ისეთივე იქნება, როგორც მუნდიალზე. ლიპი არ მალავს, რომ სამხრეთ აფრიკაში მოედნის შუაგულს სწორედ პირლო და დე როსი გაამაგრებენ.

კიდევ ორი ნახევარმცველი უნდა გამოვარჩიოთ, რომლებსაც დღევანდელი გადასახედიდან მეტი შანსი აქვთ დაიმკვიდრონ ადგილი ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში. ერთ-ერთი **კლაუდიო მარკიზიო** გახლავთ, რომელმაც მიმდინარე სეზონში დიდი ნახტომი გააკეთა წინ. ტურინის „იუვენტუსის“ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა და მარჩელო ლიპის ყურადღებაც მიიქცია. მარკიზიო უფრო ხშირად მარცხენა ფრთაზე ასპარეზობს, თუმცა ცენტრშიც შეუძლია თამაში და მარჯვნივაც. ერთი სიტყვით, კლაუდიო უნივერსალია. კიდევ ერთი ნახევარმცველი, რომელზეც იტალიაში დიდ იმედებს ამყარებენ, **ანტონიო კანდრევა** გახლავთ. საგულისხმოა, რომ საუბარი კიდევ ერთ „იუვენტინოზე“ გვაქვს. კანდრევა შემოქმედი ნახევარმცველია და გამთამაშებლადაც შეუძლია თამაში. ვნახოთ, გაამართლებს თუ არა ანტონიო მასზე გაცემულ ავანსებს.

კიდევ შეიძლება არაერთი ნახევარმცველის გახსენება, რომლებსაც აქვთ შანსი ეროვნულ ნაკრებში იასპარეზონ. თუნდაც **ალბერტო აკვილანი** ავიღოთ, რომელიც როგორც იქნა ტრავმისგან გამოჯანმრთელდა და „ლივერპულის“ შემადგენლობასაც გაუშინაურდა. პერსპექტიულია **გაეტანო დაგოსტინო**, ისევე როგორც **ლუკა ჩიგარინი**. წესით, **რიკარდო მონტოლივოსაც** უნდა გაეხსნას გზა, რომელიც ვერაფრით დამკვიდრდა ეროვნულ ნაკრებში.

### თავდასხმა

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, **ლუკა ტონი** ალბათ საბოლოოდ გამოეთხოვება ეროვნულ ნაკრებს. თუმცა, ისიც საკითხავია, მოხვდება თუ არა „რომანისტა“ მარჩელო ლიპის სამუნდიალო სიაში. სანაკრებო კარიერას გააგრძელებს **ანტონიო დი ნატალე**, ისევე როგორც **ვინჩენცო იაკვინტა**, თუმცა ნაკლებსავარაუდოა, რომ მათ ახალგაზრდების კონკურენცია დაძლიონ. **ალბერტო ჯილარდინო** ჯერ ძალიან ახალგაზრდაა იმისთვის, რომ ნაკრებში თამაშზე უარი თქვას, იმავეს თქმა შეიძლება **ჯუზეპე როსისა** და **ფაბიო კვალიარელაზეც**. თუმცა, ექსპერტები მაინც სხვა შემტევებს ანიჭებენ უპირატესობას. ერთ-ერთი მათგანი **ანტონიო კასანოა**, რომელიც ლიპიმ კი აითვალწუნა, მაგრამ მისმა მემკვიდრემ წესით უნდა გამოიძახოს. კასანოს დარი ფანტაზისტა „აძურას“ აშკარად აკლია და რაც დრო გადის, ამ მხრივ, ვითარება კიდევ უფრო მძიმდება.


ანტონიო კასანო


მარიო ბალოტელი

თავდამსხმელის მეორე ვაკანტურ ადგილზე **მარიო ბალოტელი** აცხადებს პრეტენზიას, რომელიც ჯიუტად არ თანხმდება განელთა შეთავაზებას და მაინცდამაინც „სკუადრა აძურაში“ უნდა ასპარეზობა. ბალოტელის შანსები საკმაოდ ძვირად ფასობს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ინტერის“ ფეხბურთელია და თავისი არც თუ მოკრძალებული წვლილი შეაქვს მილანური გრანდის წარმატებებში. აქვე, ჩამოთვალოთ ის თავდამსხმელები, რომლებსაც ასევე აქვთ შანსი მუნდიალის შემდეგ, „აძურაში“ დაიმკვიდრონ ადგილი: **სებასტიან ჯოვინკო, ალესანდრო მატრი, ჯამპაოლო პაცინი, მარკო ბორიელო.**

შევაჯამოთ იტალიელი ჟურნალისტების ანალიზი და საბოლოო სახე მივცეთ მომავლის „სკუადრა აძურას“: **ბუფონი - მოტა, კიელინი, რანოკია, სანტონი - პირლო, დე როსი, მარკიზიო, კანდრევა - კასანო, ბალოტელი.**

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

exclusive

# მე და კარამბუ

ამათიოდე წლის წინ ჩემს ძმაკაც **გია გორგოძეს** კარგა ხანს უკამათია საკუთარ ვაჟთან, რომელსაც **დათო ყიფიანის** თამაში ცოცხლად არ ენახა და უმტკიცებდა - თუ მაგარი იყო, ცოტა ტიტული რატომ ჰქონდაო. ჰოდა, გაბრაზებულ გიას უთქვამს ფრთიანი ფრაზა - ტიტულები თუ გნებავს, კარემბუს მოჰკითხეთო... მართლაც, **კრისტიან კარემბუ,** მე მგონი, ისე გახდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ძირითადში ერთხელაც არ უთამაშია და შეცვლებზეც იშვიათად გამოჰყავდათ...

ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა მომივიდოდა, როცა ბუდაპეშტში ფუტზალის ევროპის ჩემპიონატზე ჩასულს ლიფტში სწორედ კარემბუ შემეჩეხა. მაშინვე გია გორგოძე გამახსენდა და ხარხარი ავტეხე... თუმცა ერთი შეხედვით ჯმუხი და პირქუში კარემბუ ძალიან ზრდილობიანი, კეთილი და უბრალო ბიჭი აღმოჩნდა. ჯერ იყო და, თავი გაიგიჟა - ლიფტში პირველი თქვენ შებრძანდითო, მერე კარგა ხანს მართმევდა ხელს, როცა გაიგო რომ უეფადან ვიყავი, რამდენიმე წუთში კი, უკვე სადილზე რომ შევხვდით, ისე მორიდებულად მკითხა - თქვენს გვერდით ცარიელ ადგილზე დაჯდომა თუ შეიძლებაო, დიდი სიმპათიაც გამიჩნდა. მერე უკვე მე გამოვიდე თავი, ჩამჩით წვნიანი გადავუღე და მოკლედ, ისე დავძმაკაცდით, სალამოს, მდინარე დუნაიზე მოტივტივე გემ-რესტორან „სფუნში" (კოვზი) ოფიციალურ ვახშამზე თითო ჭიქაც კი გადავკარით...




ასრულებენ მამუკა კვარაცხელია და კრისტიან კარამბუ!

მეორე დილას კარემბუ ისევ საუზმეზე ვნახე და დაიჩივლა - თავი მტკივაო... არადა, იმ ერთი ჭიქის მეტი არ დაულევია. ერთმა ჭიქამ როგორ დაგათრო ლომივით კაცი-მეთქი, რომ ვკითხე, მითხრა - სასმელს არასოდეს ვეტანებოდი და ეტყობა, ამის ბრალიაო.

...მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის ორგზის, ესპანეთის სუპერთასის და პრიმერა დივიზიონის სამგზის, ევროპის სუპერთასის, კონფედერაციისა და საკონტინენტთაშორისო თასების გამარჯვებული, საფრანგეთისა და საბერძნეთის (ორგზის) ჩემპიონი, ოკეანიის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი (რას ერჩი გორგოძეს, მართალია კაცი!) კრისტიან კარემბუ უეფამ საკუთარ ელჩად მოავლინა უნგრეთში - ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის და მანაც კეთილსინდისიერად შეასრულა მოვალეობები - ორივე ქალაქში, ბუდაპეშტშიც და დებრეცენშიც, რამდენიმე საათს არიგა ავტოგრაფები, „ფეხბურთის პოპულარიზაციის" მიზნით კარგა ხანს კენწლა ბურთი ბუდაპეშტის გადაჭედილ „პაპ ლასლო" არენაზე თუ დებრეცენის „ფონიქს ჰოლში", უამრავი სატელევიზიო თუ საგაზეთო ინტერვიუც მისცა და ჩვენი მეგობრობაც უფრო გამყარდა. იმდენად კარგი ადამიანი აღმოჩნდა, მიკვირდა - მინდორზე ასე რა აგიჟებს-მეთქი. ნაკრებში სულ ერთი გოლი აქვს გატანილი, წითელ-ყვითელ ბარათებს კი ვინ დათვლის?! ერთხელ, როცა ცოლს - მსოფლიოს რეკორდსმენ ადრიანას (ოფიციალურად, მოდელებს შორის ყველაზე გრძელი ფეხები აქვს!!!) ისე მოსცხო კოჭებში, უმალ თავად გაუხდა საავადმყოფოში წასაყვანი.

ძალიან დაკავებული კი იყო, მაგრამ როცა ოდნავ მოიცალა და თავისუფალი დრო გამოვიჩნდა, „ლელოსთვის" მცირე ინტერვიუ ვთხოვე და გია გორგოძის ხათრით პირველად ეს ვკითხე - დავით ყიფიანსა და საქართველოზე თუ გსმენია რამე-მეთქი.

- ყიფიანი არა და, საქართველო კი გამიგონია, რამდენიმე კარგი მოთამაშე გყავთ, მაგრამ ახლა დაღლილი ვარ და ვერ ვიხსენებ, თანაც ამ ბოლო დროს იმდენი ახალი ქვეყანა გაჩნდა, ძნელია დამახსოვრება, გეოგრაფიაში კი არც ისეთი პროფესიონალი ვარ...

**- ფეხბურთის შემდეგ რა საქმიანობას ეწევით?**

- კომენტატორობას. ფეხბურთის ანალიზს ვაკეთებ, ასევე, სხვადასხვა გადაცემაში ვმონაწილეობ...

**- თქვენი მეუღლე, სლოვაკი სუპერმოდელი ადრიანა სკლენარიკოვა რას საქმიანობს?**

- ამ ბოლო დროს სამოდელო საქმიანობა მიატოვა და სხვადასხვა ფილმსა თუ სარეკლამო რგოლში მონაწილეობს... ჩვენ ხან პარიზში ვცხოვრობთ, ხან კიდევ ადრიანას მშობლიურ ბრატისლავაში.

**- ახალ კარემბუს თუ ზრდით?**

- ერთი გოგონა გვყავს, 14 წლისაა და ფეხბურთი არ აინტერესებს.

**- სამშობლოში თუ ჩადიხართ?**

- კი, ძალიან ხშირად, მე ხომ ფრანგული პოლინეზიიდან ვარ და სამშობლოში, ახალ კალედონიაში, საფეხბურთო სკოლა დავაფუძნე. მიხარია, რომ უამრავი ბავშვი დავაყენე სწორ გზაზე. ახლა მალე მიწევს გამგზავრება, არადა, ზიდანმა შემომთავაზა - შიდსის საწინააღმდეგოდ საქველმოქმედო მატჩში მონაწილეობა და რაკილა სამშობლოში ჩასვლა დაგეგმილი მქონდა, სამწუხაროდ, ზინედინს უარი ვუთხარი...

**- უეფამ უნგრეთში ფუტზალის ელჩად მოგავლინათ. თავად თუ გითამაშიათ ფუტზალი?**

- თამაშით არა, მაგრამ ჩვენი მწვრთნელები წინასასეზონო პერიოდში ხშირად გვავარჯიშებდნენ ფუტზალში. ამას კი იმით ხსნიდნენ, რომ ფუტზალში ხშირი და ახლო კონტაქტია და დაცვითი ელემენტების დახვეწა კარგად შეიძლება.

**- ისე, როგორ ფიქრობთ - ფუტზალი რომ გეთამაშათ, ასეთივე წარმატებებს მიაღწევდით, როგორსაც დიდ ფეხბურთში?**

- რა თქმა უნდა, ფუტზალშიც ძალიან მაგარი ვიქნებოდი...

**- თქვენი სახელი და გვარი ფრანგულად სწორად როგორ გამოითქმის?**

- ქლისთიენ ქალემბიუ.

... მოკლედ, „ქლისთიენ ქალემბიუს" კეთილ გულთან და კარგ ხასიათთან ერთად იუმორისა და მუსიკის ნიჭიც აღმოაჩნდა. ერთ-ერთი მორიგი პრესკონფერენციის შემდეგ შევთავაზე - მოდი, პუბლიკა გავაოცოთ და ერთად ვიმღეროთ-მეთქი. უარი არ უთქვამს და ამ ტურნირისთვის ჩემ მიერ დაწერილი სიმღერა, ანსამბლ „ივერიის" უკვდავი ბოშური მელოდიის თანხლებით, უცებ დავამღერეთ. ჟურნალისტებს კი ისე მოეწონათ, „ევროსპორტმა" Youtube-ში, უნგრულმა საიტმა www.webcsatorna.hu -მ კი თავის გვერდზე განათავსა...

**მამუკა კვარაცხელია**

**სპეციალურად ლელოსთვის**

მსოფლიოს ჩემპიონატების
გმირები სკარონედან კანავარომდე
## საფრანგეთი 1938

# სილვიოგოლი



სალამი დუჩეს!

1938 წლის მუნდიალი საფრანგეთში ჩატარდა. მოქმედი ჩემპიონის, იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვიტორიო პოცომ** (რომელიც „სკუადრა აძურას" ოთხი წლის წინანდელი ტრიუმფის დროსაც წვრთნიდა), 1934 წლის მუნდიალისგან განსხვავებით, მსოფლიოს ჩემპიონატზე შედარებით ახალგაზრდული გუნდი წაიყვანა. იტალიელთა ერთ-ერთი ლიდერი კი იმ დროისთვის 24 წლის თავდამსხმელი, **ბენიტო (დუჩე) მუსოლინის** უსაყვარლესი კლუბის, რომის „ლაციოს" ფეხბურთელი **სილვიო პიოლა** გახლდათ.

სანამ პიოლას ნაკრებში უხმობდა, პოცომ ბევრი იფიქრა და იყოყმანა. პიოლას იტალიის ნაკრებში დებიუტი 1935 წელს ჰქონდა და პირველივე შეხვედრაში ყველა გააოცა თავისი სისწრაფით, ძლიერი დარტყმითა და ბრძოლისუნარიანობით. ამ ყველაფერთან ერთად, სილვიო პიოლა ძალიან ელეგანტური ფეხბურთელი იყო, ცენტრფორვარდი, რომელსაც შესანიშნავი საგოლე ალღოც ჰქონდა.

ისტორიამ სხვადასხვა ჟურნალისტისა და ექსპერტის სტატიები შემოგვინახა, სადაც ვკითხულობთ, თუ სილვიო პიოლა ბურთს მიიღებდა, ვეღარ ართმევდნენო. მუნდიალის პირველ ეტაპზე პიოლამ თავი ნორვეგიასთან მატჩში გამოიჩინა, სადაც მან დამატებულ დროში გამარჯვების გოლი გაიტანა და მოქმედი ჩემპიონი იტალიის ნაკრები მომდევნო ეტაპზე გაიყვანა.

მეოთხედფინალში ფორტუნამ იტალიას მეტოქედ მასპინძელი საფრანგეთი არგუნა და ეს იყო მთელი ტურნირის ცენტრალური მატჩი, რადგან იტალიაც და საფრანგეთიც მსოფლიოს ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტებად მიიჩნეოდნენ. და ამ შეხვედრის ბედიც პიოლამ გადაწყვიტა, გაიტანა რა ორი გოლი საფრანგეთის ნაკრების კარში. იტალიელებმა კი 3:1 მოიგეს. ადგილობრივმა პრესამ კი „ლაციოს" გოლეადორს „ფრანგების ჯალათი" შეარქვა.

ნახევარფინალში იტალიელებს ბრაზილია ელოდათ. ბრაზილიელებს კი გენიალური თავდამსხმელი **ლეონიდას და სილვა** ჰყავდათ, რომელიც გახდა კიდეც ტურნირის საუკეთესო გოლეადორი. იტალიელები 55-ე წუთზე **კოლაუსიმ** დააწინაურა, მერე კი, **და გაიამ** საკუთარ საჯარიმოში პიოლასთან ორთაბრძოლაში წესები დაარღვია და პენალტი მეაცამ გაიტანა, რითაც მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყდა – იტალიელებმა საბოლოოდ 2:1 მოიგეს და ფინალში გავიდნენ, სადაც მათი მეტოქე უნგრეთი იყო.

ფინალი იტალიას პიოლამ და მისმა მეწყვილემ, კოლაუსიმ მოაგებინეს – ორივე მათგანმა დუბლი შეასრულა და „სკუადრა აძურა" ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი (4:2 უნგრეთთან). გარდა იმისა, რომ ორი გოლი გაიტანა, პიოლამ, რომელსაც სამშობლოში „სილვიო გოლს" ეძახდნენ, ბრწყინვალედ ითამაშა. საერთოდ კი, მთელ მუნდიალზე მან 5 გოლის გატანა შეძლო, რითაც იტალიელთა ჩემპიონობაში ლომის წილი შეიტანა.

სილვიო პიოლამ აქტიური სპორტული კარიერა 17 წლის ასაკში, 1930 წელს, პროვინციულ „ვერჩელიში" დაიწყო – ეს გუნდი კი იტალიის შვიდგზის ჩემპიონი გახლდათ. რომის „ლაციოში" „სილვიო გოლი" 1934 წელს გადავიდა. პიოლა 1913 წელს, რობიო ლომელინაში გახლდათ დაბადებული და მოგვიანებით ტურინის „იუვენტუსისა" და „ნოვარას" (კარიერის ბოლომდე) ღირსებასაც იცავდა. საერთო ჯამში მან სერია A-ში 290 გოლი გაიტანა და დღემდე ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. ფეხბურთის გარდა, პიოლას ძალიან უყვარდა ნადირობა. ბურთზე ნადირობა კი სილვიომ, რომელიც იტალიის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირებში მესამე ადგილზეა, 1952 წელს, 39 წლის ასაკში დაასრულა. იტალიის ნაკრებში ჩაატარა 34 მატჩი და გაიტანა 30 გოლი. პიოლა 1996 წლის 3 ოქტომბერს, 83 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**გოტფრიდ ლენცი**



უტევს სილვიო პიოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვანკუვერი 2010

# გაზრდილი ოლიმპიადა: გუნდიც, შანსებიც, ამბიციებიც

ვანკუვერის ზამთრის XXI ოლიმპიადის დაწყებამდე ორიოდ დღე დარჩა - პარასკევს გახსნის ცერემონიალია, შაბათს კი თამაშების პირველი დღეა. ამ თამაშებში საქართველოს დელეგაცია რვა სპორტსმენით წარდგება - ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი და ჩვენი გუნდის უმთავრესი იმედი ელენე გედევანიშვილი გამოვა, ოთარ ჯაფარიძე და მისი ამერიკელი მეწყვილე ელისონ ლი რიდი კი ყინულზე ცეკვაში იასპარეზებენ. საციგურაო სპორტში ერთეულთა პირველობაში ნოდარ ქუმარიტაშვილი და ლევან გურეშიძე გამოვლენ, სამთო-სათხილამურო სპორტში კი საქართველოს ღირსებას იასონ აბრამაშვილი, ჯაბა გელაშვილი და ნინო წიკლაური დაიცავენ. ამათგან, გედევანიშვილის და აბრამაშვილის გარდა, ყველა ოლიმპიადის დებიუტანტია.

1994 წელს ნორვეგიულ ლილეჰამერში გამართული ოლიმპიადის შემდეგ პირველად გვეყოლება ამდენი მონაწილე, თუმცა ამჯერად გაზრდილია არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ ამბიციაც, შანსიც და სახეობათა გეოგრაფიაც. ლილეჰამერის შემდეგ ოლიმპიური ლიცენზია პირველად მოვიპოვეთ საციგაო სპორტში. „თეთრ ოლიმპიადაზე" ასევე პირველად მივდივართ ტიტულოვანი სპორტსმენით - ერთი თვეც არაა, რაც გედევანიშვილმა ქართული საციგურაო სკოლის ისტორიაში პირველი მედალი მოიპოვა. ცხადია, ამჯერადაც ყველაზე მეტად ისევ მისი გვეიმედება, თუმცა ვანკუვერში ბევრად სერიოზული მეტოქეები ეყოლება და მედლისთვის ბრძოლაც შეუდარებლად რთული იქნება - იქ ხომ უძლიერესი აზიელი და ამერიკელი კონკურენტებიც დაემატებიან.

ჩვენი დელეგაცია ამ დილით გაფრინდა კანადაში თბილისი-მიუნხენი-ტორონტო-ვანკუვერის მარშრუტით, გუშინ კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს ოლიმპიადის მონაწილეთა მზადებასა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა. „წლევანდელი დელეგაცია ყველაზე მრავალრიცხოვანია - სპორტის სამ სახეობაში რვა სპორტსმენი მიდის. მისასალმებელია მონაწილეთა შორის მოციგავეთა გამოჩენა, რადგან საქართველოში სათანადო ტრასები არ არის, მაგრამ ოლიმპიურმა კომიტეტმა მათი საზღვარგარეთ მომზადება შეძლო. ამ სახეობაში ლიცენზიების მოპოვება უკვე წარმატებაა. კარგი ნაკრები მიდის სამთო-სათხილამურო სპორტშიც, რომელიც უფრო პერსპექტიული მიზნისთვის მომავალი ოლიმპიადის გათვალისწინებითაა შერჩეული, მაგრამ აქაც კარგ გამოცდილებას მიიღებენ. ცხადია, ჩვენი მთავარი ფავორიტი გედევანიშვილია, რომელმაც ევროპის პირველობაზე წარმატებით ისრიალა. თუმცა გვესმის, რომ ახლა მედლის მოპოვება გაცილებით გაძნელდება, ვინაიდან იქ ბევრი ძლიერი მეტოქე ემატება - იაპონია, კორეა, ჩინეთი, კანადა, აშშ. ამიტომ მათთან მეტოქეობა ძნელი იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის ღირსეულ შედეგს მიაღწევს და იმაზე უკეთ გამოვა, ვიდრე წინა ოლიმპიადაზე ტურინში, სადაც მეათეზე გავიდა. სხვებს წარმატების შედარებით ნაკლები შანსები აქვთ, მაგრამ მთავარია, ჩვენ ამ სამი სახეობის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის ყველაფერი გავაკეთეთ და სამომავლოდ კიდევ უფრო დიდი წარმატებების წინაპირობა შევქმენით" - განაცხადა ნაცვლიშვილმა.

ჩვენს დელეგაციას გია ნაცვლიშვილი უთავკაცებს, ოლიმპიურ სოფელში მისიის ხელმძღვანელი კი **ირაკლი ჯაფარიძეა**. ქართველთაგან ოლიმპიადაში პირველები მოციგავეები ჩაებმებიან - 13 თებერვალს, თამაშებს კი ჩვენგან აბრამაშვილი და გელაშვილი დახურავენ 27 თებერვალს. ვანკუვერში ჩვენი სპორტსმენების საქომაგოდ ჩასვლას ქვეყნის პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილიც** აპირებს.

**ირაკლი თავაძე**

### იასონ აბრამაშვილი



● სამთო-თხილამურობა

დაიბადა 26.04.88
15-ზე მეტი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული

### ოთარ ჯაფარიძე



● ფიგურული ციგურაობა

დაიბადა 23.12.87
თბილისის დინამო.
მწვრთნელი ევგენი პლატოვი.

### ნინო წიკლაური



● სამთო-თხილამურობა

დაიბადა 01.07.93
საერთაშორისო ტურნირების მონაწილე

### ელისონ რიდი



● ფიგურული ციგურაობა

დაიბადა 08.06.94
თბილისის დინამო.
მწვრთნელი ევგენი პლატოვი.

### ჯაბა გელაშვილი



● სამთო-თხილამურობა

დაიბადა 07.03.93
IV ადგილი მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე

### ლევან გურეშიძე



● საციგაო სპორტი

დაიბადა 21.10.88

### ელენე გედევანიშვილი



● ფიგურული ციგურაობა

დაიბადა 07.01.90
თბილისის დინამო. მწვრთნელი ელინე ზაიაკი. ევროპის ჩემპიონატის III პრიზიორი. ტურინის ოლიმპ. მონაწილე (X ადგილი).

### ნოდარ ქუმარიტაშვილი



● ფიგურული ციგურაობა

დაიბადა 25.11.88

### ჩვენების განრიგი

**13 თებერვალი**

ნოდარ ქუმარიტაშვილი, ლევან გურეშიძე - საციგაო სპორტი, ინდივიდუალური. 17:00, 20:35 (თბილისის დროით).

**14 თებერვალი**

ნოდარ ქუმარიტაშვილი, ლევან გურეშიძე - საციგაო სპორტი, ინდივიდუალური. 13:00, 16:50.

ოთარ ჯაფარიძე-ელისონ ლი რიდი - ფიგურული ციგურაობა, წყვილები, მოკლე პროგრამა. 16:30, 19:55.

**15 თებერვალი**

ოთარ ჯაფარიძე-ელისონ ლი რიდი - ფიგურული ციგურაობა, წყვილები, თავისუფალი პროგრამა. 16:30, 19:55.

**21 თებერვალი**

იასონ აბრამაშვილი - სამთო/სათხილამურო სპორტი (გიგანტური სლალომი). 10:00-11:45, 13:45-15:00.

ჯაბა გელაშვილი - სამთო/სათხილამურო სპორტი (გიგანტური სლალომი). 10:00-11:45, 13:45-15:00.

**23 თებერვალი**

ელენე გედევანიშვილი - ფიგურული ციგურაობა, მოკლე პროგრამა. 16:30-21:00.

**24 თებერვალი**

ნინო წიკლაური - სამთო-სათხილამურო სპორტი (გიგანტური სლალომი). 10:00-14:30.

**25 თებერვალი**

ელენე გედევანიშვილი - ფიგურული ციგურაობა, თავისუფალი პროგრამა. 17:00 - 20:55.

**26 თებერვალი**

ნინო წიკლაური - სამთო/სათხილამურო სპორტი (სლალომი). 10:00- 14:30.

**27 თებერვალი**

იასონ აბრამაშვილი - სამთო/სათხილამურო სპორტი (სლალომი). 10:00-11:45, 13:45-15:00.

ჯაბა გელაშვილი - სამთო/სათხილამურო სპორტი (სლალომი). 10:00- 11:45, 13:45-15:00.

## ქართული სპორტი

● ძალოსნობა

# კასაბიევის პოლონური მომავალი

« პირველი გვერდიდან

ერთი სიტყვით, კასაბიევის გარშემო წლინახევრის წინათ დაწყებული აურზაური, რომელიც ბოლო დროს მიჩუმათებული იყო, საბოლოოდ დასრულდა. პერსპექტიულმა სპორტსმენმა ნავსაყუდელი პოლონეთში ჰპოვა, მაგრამ საკითხავია - დიდი ხნით?!

ახლა კი შინაურ საქმეებზეც: საქართველოს ეროვნული ნაკრები მომდევნო შეჯიბრებებისთვის მონდომებით ემზადება. ძირითადი მიზანია 18-30 სექტემბერს ანტალიის პირველ სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე ქულების დაგროვება. თუმცა მანამდე ქვეყნის საუკეთესო ათლეტები 26-28 თებერვალს გლდანში საქართველოს ლიგის პირველ ტურში იბრძოლებენ საპრიზო ადგილებისთვის, შემდეგ კი ეროვნულ ჩემპიონატში მოსინჯავენ ძალებს.

აპრილის შუა რიცხვებში ქუთაისში ჭაბუკთა (17 წლამდე) საქართველოს პირველობა გაიმართება. მისი შედეგებით დაკომპლექტდება ქვეყნის ნაკრები, რომელიც ესპანეთში გაემგზავრება და ვალენსიაში 16-23 მაისს ევროპის სალიცენზიო პირველობაზე გამოვა. 3 სპორტსმენი მედლის რეალური კანდიდატია. ესენი არიან: **შოთა მიშველაძე** (56), ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი **ვილიამინ ალექსიძე** (94) და **ლაშა ტალახაძე** (მძიმე წონა), რომლებსაც სინგაპურის მსოფლიოს ახალგაზრდობის პირველი ოლიმპიური თამაშების საგზურების მოპოვებაც არ უნდა გაუჭირდეთ.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# საუკეთესო კლუბებს ფიდე დუბაიში იწვევს

გუშინ ფიდეს საიტზე გამოქვეყნდა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო საკლუბო თასების გათამაშების დებულება, რომლის მიხედვითაც შეჯიბრებაში იასპარეზებენ როგორც ვაჟები, ის ქალები. თითოეულ გუნდში ოთხი ძირითადი და ერთი სათადარიგო მოთამაშე იქნება. კლუბში გამოსვლის უფლებით ისარგებლებს ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციის წევრი, ასევე ის მოთამაშე, რომელიც კლუბის ღირსებას იცავდა ორი წლის განმავლობაში ან ამა თუ იმ სახელმწიფოში ბოლო ნახევარი წელიწადი ცხოვრობდა.

ქვეყანას, რომლის გუნდურ ჩემპიონატში 20 ან მეტი დიდოსტატი მონაწილეობს, უფლება აქვს, მსოფლიოს საკლუბო თასზე სამი გუნდი წარადგინოს, 20-ზე ნაკლები დიდოსტატის შემთხვევაში - ორი გუნდი, გუნდური ჩემპიონატი საერთოდ თუ არ ტარდება, მაშინ შეჯიბრებაზე მხოლოდ ერთი გუნდით წარდგება.

ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით 9 ტურად დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) წლეულს 11-19 ივლისს გაიმართება. ამავე ქვეყანას მიეცა უფლება, 2012 და 2014 წლებში მსოფლიო თასების რიგით მეორე და მესამე გათამაშებებსაც უმასპინძლოს.

იმედია, ფიდეს ინიციატივას აქტიურად გამოეხმაურებიან ქართველი მოჭადრაკეები, მით უმეტეს, რომ ქალთა გუნდი „სამაია" შარშანდელი ევროპის საკლუბო ჩემპიონატის მესამე პრიზიორია.

**ვაჟა დანელია**

● კრივი

# ოლიმპიადისთვის ქართველი ქალებიც იბრძოლებენ

წესით, საქართველოს ნაკრებს გაფართოებული შემადგენლობით შეკრება გლდანის კრივის კომპლექსში გუშინ უნდა დაეწყო, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი გუნდი ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე აღარ მიემგზავრება, შეკრება, რომელიც გლდანის ნაცვლად დუშეთში ჩატარდება, 23 თებერვლისთვის გადაიდო.

„ბულგარეთში საკმაოდ მაღალი დონის ტურნირი ტარდება, მაგრამ ორგანიზატორებმა თითო წონაში მხოლოდ რვა საუკეთესო მოკრივე დაუშვეს, საქართველოს კი სამი საგზური ერგებოდა. ფინანსური თვალსაზრისით შეჯიბრებაზე მხოლოდ სამი სპორტსმენით გამგზავრება მიზანშეწონილი არაა. ბულგარეთის მაგივრად ნაკრები ჩეხეთში წავა, სადაც ასევე სერიოზული ტურნირი იმართება", - გვითხრა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რამაზ ფალიანმა**.

ჩეხეთში საქართველოს ღირსებას ექვსი მოკრივე დაიცავს: **კობა ფხაკაძე** (60 კგ), **ლევან ლვამიჩავა** (64 კგ), **კახა ჟვანია** (69 კგ), **რევაზ ქარელიშვილი** (81 კგ), **დავით გოგიაშვილი** (91 კგ) და **ბექა ლობჟანიძე** (+91 კგ). მათ გარდა, მწვრთნელები ტურნირზე რამდენიმე გოგონას გამოცდასაც აპირებენ. რამაზ ფალიანთან ერთად ჩეხეთში გუნდს მეორე მწვრთნელი **ზაალ ჯავახაძეც** გაჰყვება.

შეგახსენებთ, მომავალ ოლიმპიადაზე ტურნირი ქალთა კრივშიც ჩატარდება. შეჯიბრება სამ წონით კატეგორიაში (51, 60, 75) გაიმართება. ფალიანის აზრით, ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების შანსი ჩვენს გოგონებსაც აქვთ: „ძალიან მონდომებულები არიან, ნიჭიც აქვთ და თუ შრომა განაგრძეს, საერთაშორისო წარმატებებსაც მიაღწევენ. მათ ყველანაირად ხელს შევუწყობ და იმედი მაქვს, ჩვენი მონდომება შედეგს გამოიღებს. ბუნებრივია, პირველ ეტაპზე უცხოურ ტურნირებზე მათგან განსაკუთრებულ შედეგებს არ ველი, მაგრამ მალე გამოცდილებას შეიძენენ და მათი პროგრესი თვალსაჩინო გახდება".

დუშეთის შეკრებას რაც შეეხება, ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობასთან ერთად იქ მოკრივე გოგონებიც გაემგზავრებიან. ისინი დუშეთშიც და შემდგომშიც რამაზ ფალიანის მეთვალყურეობით ივარჯიშებენ, მაგრამ ცალკე მწვრთნელიც ეყოლებათ - **ლევან გაგნიძე**.

ჩეხეთის ტურნირის შემდეგ ქართველი მოკრივეები ირლანდიასა და თურქეთში მოსინჯავენ ძალებს. შეგახსენებთ, ირლანდიის ნაკრების უფროსი მწვრთნელია ჩვენი თანამემამულე **ზაურ ანთია**, თურქულ საკრივო სამყაროსთან კი რამაზ ფალიანს მჭიდრო კონტაქტები აქვს.

პრობლემური იყო **ლევან ლვამიჩავას** წონის საკითხი. იგი 69 კილოგრამში ანაცვლებას და სანაკრებო ადგილისთვის **კახა ჟვანიასთან** ბრძოლას აპირებდა, მაგრამ საბოლოოდ დაკლება და 64-ში დარჩენა გადაწყვიტა. მისი კონკურენტი საქართველოს ჩემპიონი **ზაალ კვაჭატაძეა**, რომელიც ამჟამად ტრავმირებულია და რინგს უახლოეს პერიოდში დაუბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ფაჩულიას ტრავმამ ექიმები დააბნია

## ზაზა: სეზონის საუკეთესო მატჩი ბოსტონთან ჩავატარე

დღეს, გამთენიისას „ატლანტა ჰოქსმა“ „მემფისთან“ ითამაშა. ჯორჯიულ პრესას თუ ვენდობით, ამ შეხვედრაში ქართველ ცენტრ ზაზა ფაჩულიას მონაწილეობა არ უნდა მიეღო: მას ფეხი აწუხებს, ბარძაყის არეში ტკივილები აქვს.

„აღარ მახსოვს, ფეხი როდის ვიტკინე. ტკივილი ხან გამივლის, ხან მატულობს. არც ის ვიცი, კონკრეტულად რა მაწუხებს. ვიმედოვნებ, სერიოზული არაფერია“, - ამბობს ფაჩულია.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ტკივილის გამომწვევი მიზეზები ვერც ექიმებმა გაარკვიეს. ამიტომ მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი** აცხადებს:

„რადგან არ ვიცით, ზუსტად რა აწუხებს ფაჩულიას, ვერ გავრისკავთ და მოედანზე ვერ შევიყვანთ მიუხედავად იმისა, რომ თავად კალათბურთელმა მითხრა, სათამაშოდ მზად ვარო“.

ზაზას გარდა, „ატლანტას“ დააკლდა კაპიტანი **ჯო ჯონსონი**, რომელსაც გრიპი შეეყარა. მწვრთნელის ნათქვამზე დაყრდნობით, გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენის“ ჟურნალისტი ვარაუდობს, რომ ზაზა ფაჩულია 10 თებერვალს „მაიამისთან“ გასამართ მატჩსაც გამოტოვებს, რასაც ამერიკული „ოლ სტარი“ მოჰყვება და ზაზას რეაბილიტაციისთვის საკმარისი დრო ექნება.

ჩვენ ფაჩულიას ნათქვამს დავეყრდნოთ და იმედი დავიტოვოთ, რომ „მაიამისთან“ მატჩამდე ტკივილი გაუვლის.

■ ■ ■

ამასობაში, ზაზამ საწერად მოიცალა და თავის ოფიციალურ ვებსაიტზე რამდენიმე საინტერესო ამბავი გამოაქვეყნა. პირველში იგი „ატლანტასა“ და საკუთარი რესტორნის შესახებ წერს:

„მალე „ოლ სტართან“ დაკავშირებით ერთკვირიანი დასვენება გამოცხადდება. ვფიქრობ, აქამდე ურიგოდ არ გვითამაშია, წინ მივდივართ. ამის დასტურად ჰიუსტონში მიღწეული ლამაზი გამარჯვება გამოდგება. 1999 წლის შემდეგ ამ ქალაქში პირველად მოვიგეთ. კარგია, რომ ნავსი გავტეხეთ. თუ გვინდა, ელიტურ გუნდად გვალიარონ, მსგავსი გამარჯვებები აუცილებელია. ჩვენი მიზანია, „ოლ სტარის“ შემდეგ კიდევ მოვუმატოთ და რაც შეიძლება მეტი მატჩი მოვიგოთ როგორც შინ, ასევე სტუმრად.

რაც შეეხება ჩემს თამაშს, მიმაჩნია, რომ მიმდინარე სეზონში საუკეთესო მატჩი „ბოსტონის“ წინააღმდეგ ჩავატარე. 14 წუთში 9 ქულა და 6 მოხსნა მოვაგროვე. განსაკუთრებით მეორე პერიოდი დამამახსოვრდა... რაც მთავარია, „ბოსტონი“ დავამარცხეთ.

ჩემი რესტორნის საქმეც კარგად მიდის. ამასწინათ მოვაწყვეთ ღვინის დეგუსტაცია, რაც ძალიან საინტერესო ღონისძიება გამოვიდა. ვცდილობთ, კლიენტებს სხვადასხვა სიახლე შევთავაზოთ.“

აღმოსავლეთის კონფერენციაში მეორე ადგილის დაკავებას „ატლანტას“ „ორლანდო მეჯიქი“ და „ბოსტონ სელტიქსი“ ეცილებიან. ზაზამ მცირე მონათხრობში სწორედ ამ ორ გუნდზე გაამახვილა ყურადღება:

„ორლანდოსთან“ და „ბოსტონთან“ ჩვენი დაპირისპირებები ცალკე საუბრის თემაა. „სელტიქსს“ ამ სეზონში ოთხჯერ ვეთამაშეთ და ოთხჯერვე გავიმარჯვეთ. „მეჯიქთან“ კი სამი მატჩი ჩავატარეთ და ყველაში დავმარცხდით. წაგებების თუ მოგებების მიზეზებზე ლაპარაკი ძნელია. ჩემი აზრით, „ბოსტონთან“ ორი წლის წინათ ჩატარებული საპლეიოფო თამაშით მეტოქე კარგად გავიცანით და გამარჯვებებში ესეც გვეხმარება. მას მერე მათ რაშიდ უოლასი და მარკის დენიელსი დაიმატეს, თუმცა ჩვენც საკმარისად გავძლიერდით.

„ორლანდო“ განსხვავებული გუნდია, ჰყავს სამქულიანების უბადლო მსროლელები და ცენტრი დუაიტ ჰოვარდი, რომლის მეურვეობა ძნელი საქმეა. საბედნიეროდ, „მეჯიქთან“ ერთი საშინაო მატჩი დაგვრჩა და ბევრს ვიმუშავებთ, რათა მეოთხე ცდაზე მაინც დავამარცხოთ ფლორიდელები“.

„ატლანტა“, „ბოსტონი“, „ორლანდო“ და „კლივლენდი“ - ეს ოთხეული აღმოსავლეთის კონფერენციაში ზედა ოთხ ადგილზე გადანაწილდება. ასევე ცხადია, რომ პლეი ოფში ამათგან ერთ-ერთთან მაინც მოგვიწევს დაპირისპირება. ამიტომ რეგულარულ ჩემპიონატშივე უნდა გავარკვიოთ, ვინ რა ხერხით დავამარცხოთ.

ვაჟა სიმონიშვილი

# კვიპროსიდან ფინეთამდე

კვიპროსის ჩემპიონატში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფორვარდი **ნიკა ჩხატარაშვილი** ასპარეზობს. იგი „ენადის“ ღირსებას იცავს, რომელიც სატურნირო ცხრილში მერვე ადგილზეა (სულ ცხრა გუნდი თამაშობს). მიმდინარე სეზონში ენადელებს 10 მატჩიდან ერთი მოგება აქვთ.

ბოლო ტურში ჩხატარაშვილის გუნდი პირველადგილოსან აელ-ს ესტუმრა და 59:77 დათმო. ქართველმა ფორვარდმა 2 ქულა ჩააგდო.

■ ■ ■

ევროპის სამხრეთიდან ჩრდილოეთში, ფინეთში გადავინაცვლოთ, სადაც მეორე ლიგაში წარმატებით თამაშობს **გივი ბაქრაძის** „კორიკობრატი“. გივის თანაგუნდელებმა მორიგი გასვლითი გამარჯვება მოიპოვეს - „ლაჰდენს“ 79:65 აჯობეს.

მეოთხე პერიოდამდე მასპინძლები „კორიკობრატს“ 10-ქულიანი სხვაობით დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ. სირენამდე 8 წუთით ადრე გივი ბაქრაძის ორქულიანის შემდეგ „კორიკობრატმა“ 11-ქულიანი ფორა მოიპოვა - 62:51 და მატჩის სადავეები ხელიდან აღარ გაუშვია.

ქართველმა გამთამაშებელმა 24 წუთში 6 ქულა (3-დან 2 ორქულიანი, 4-დან 2 საჯარიმო) და 2 მოხსნა მიითვალა. „კორიკობრატის“ გამარჯვებაში 26-ქულიანი წვლილი შეიტანა ამერიკელმა **კაილი სვონსტონმა**.

ფინეთის მეორე ლიგაში ორხელისუფლებიანობაა: 17 ტურის შემდეგ 14-14 მოგება აქვთ „კორიკობრატსა“ და „ტარმოს“. პირველადგილოსანი უმაღლეს ლიგაში ავტომატურად გადადის, ხოლო მეორე ადგილზე გასული გადათამაშებაში ჩაებმება.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. ქალები

# ჩემპიონური სტარტი

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი ქუთაისში 23 იანვარს დაიწყო. შეჯიბრება ხუთ წრედ გაიმართება. მასში ოთხი გუნდი მონაწილეობს - „ქუთაისი“, „ზესტაფონი“, თსუ, „გორი“. ქუთაისში გუნდებმა 3-3 მატჩი ჩაატარეს, რომელთა შედეგების მიხედვით გამოიკვეთა ჩემპიონატის ფავორიტი - თსუ. ეს გუნდი ბოლო წლებში პირველობას არავის უთმობს. წლევანდელი ქვეყნის ჩემპიონი ხუთი წრის შედეგებით გამოვლინდება. მეორე წრე თებერვლის ბოლოს თბილისში გაიმართება.

**პირველი წრე. ქუთაისი**

| | |
|---|---|
| ქუთაისი-გორი | 85:52 |
| თსუ-ზესტაფონი | 87:63 |
| ქუთაისი-თსუ | 65:71 |
| ზესტაფონი-გორი | 77:46 |
| ქუთაისი-ზესტაფონი | 93:100 |
| თსუ-გორი | 78:54 |

| | თ | მ | წ | სხვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 3 | 3 | 0 | +54 | 6 |
| ზესტაფონი | 3 | 2 | 1 | +14 | 5 |
| ქუთაისი | 3 | 1 | 2 | +20 | 4 |
| გორი | 3 | 0 | 3 | -88 | 3 |

ძიუდო

ინტერვიუ ამირან ტოტიკაშვილთან

# ასუმბანმა ტოტიკაშვილიც გააკვირვა



**ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებმა დიდი წარმატებით იჭიდავა პარიზის „დიდ მუზარადზე“ - სამივე ხარისხის თითო მედალი მოიპოვა. ჩემპიონი დავით ასუმბანი (60) გახდა, ვერცხლი ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა ლევან ნიკლაურმა (81) მოიპოვა, ბრინჯაო - სპორტში დარჩენილმა მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ირაკლი ცირეკიძემ (100). თანაც - ახალ წონით კატეგორიაში. ეს ტურნირი პირველი სერიოზული გამოცდა იყო ნაკრების ახალდანიშნული თავკაცის, ამირან ტოტიკაშვილისთვისაც, რომელიც სპორტსმენობისას თვითონაც გახდა ამ ტურნირის ჩემპიონი, ახლა კი იმავე წარმატებას მწვრთნელის რანგში მიაღწია. თანაც, ამ შეჯიბრების ოქროს მედალს საკმაოდ დიდხანს - 11 წელიწადი ველოდებოდით.**

**ჩვენი ნაკრები გუშინ დილით დაბრუნდა პარიზიდან და ტოტიკაშვილს ტურნირის შეფასება ვთხოვეთ.**

**- როგორ შეაფასებთ ამ წარმატებას, ელოდით ასეთ შედეგს?**

- ტურნირი, ტრადიციულად, ძალიან ძლიერი იყო - 53 ქვეყნის 382 სპორტსმენი მონაწილეობდა. აქედან კაცთა ტურნირში 233 მონაწილე იყო. მოგეხსენებათ, ნაკრებებში თაობათა ცვლის პროცესები მიმდინარეობს და ამიტომ ძველი, ტიტულოვანი ფალავნების ნაცვლად ბევრგან ახალ სახეებს ვხედავთ, მაგრამ ძალიან საინტერესო შეჯიბრება გამოდგა და ბევრი საინტერესო შეხვედრაც ვიხილეთ. ტურნირის სიძლიერეზე თუნდაც ის მიუთითებს, რომ მხოლოდ კორეამ აიღო ოქროს ორი მედალი, დანარჩენი ოქროები კი თითო-თითო ქვეყანამ გაინაწილეთ. ვაჟთა ტურნირის გუნდურ პირველობაში გამარჯვების რეალური შანსიც გვქონდა, მაგრამ მესამეზე დავრჩით კორეისა და იაპონიის შემდეგ, ხოლო ქალთა მონაცემებსაც თუ გავითვალისწინებთ, მეოთხეზე მაინც ვართ იმის მიუხედავად, რომ ქალებში მონაწილე არ გვყავდა. დავით ასუმბანის შემართება ჯერ კიდევ აქ იყო ცხადი და ძალიან მეიმედებოდა, რომ მედლისთვის იჭიდავებდა, მაგრამ ოქროს არ ველოდი. მან ყველა შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარა, არც ერთი ქულა არ დაუკარგავს და ყველა ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოიგო. არადა, სხვებთან ერთად ისეთ ძლიერ ფალავნებს მოუგო, როგორიც ჰოლანდიელი ჯერუნ მოორენი, კანოს ტურნირის იაპონელი ჩემპიონი მასააკი ფუკუოკა და უზბეკი ოლიმპიური პრიზიორი და აზიის ჩემპიონი რიშოდ სობიროვია. მან ხუთი შეხვედრა ჩაატარა და აქედან სამი იპონით მოიგო. წმინდად მხოლოდ მოორენი და სობიროვი ვერ დაამარცხა, თუმცა ორივეს ვაზარით აჯობა. ორივესთან მისი უპირატესობა აშკარა იყო. 81 კილოგრამი წონითი კატეგორია ჩვენთვის მუდამ პრობლემა, მაგრამ ლევან ნიკლაურის გამოცვლა მაძლევს იმედს, რომ, იქნებ, ეს პრობლემაც გადაიჭრას. საერთოდ, ვცდილობ, სადაც დიდი კონკურენციაა, მაგალითად, 60-ში, ყველა კანდიდატი გამოვცადო, ყველას მივცე შანსი, რათა სპორტსმენებს, კარგი გაგებით, ერთმანეთის ჯიბრი ჰქონდეთ. ასე გავაკეთებ ყველა წონაში, რადგან ოლიმპიადამდე ცოტა დრო დარჩენილი. იგივე ეხება 81-საც, სადაც ნიკლაურმა ძალიან კარგად იჭიდავა. ფინალში ბრაზილიელ ორგზის ოლიმპიურ პრიზიორ ლეანდრო გილეიროს შეხვდა. ძირითადი დრო ფრედ დასრულდა - ორივეს გაფრთხილება ჰქონდა, მაგრამ დამატებითში ტატამიდან გამომძახა, მეტი აღარ შემიძლიაო. ეს იმას ნიშნავს, რომ სუნთქვა და ფიზიკური მომზადება ჯერ კიდევ არ გვაქვს წესრიგში. სამთვიანი ვარჯიში საამისოდ საკმარისი არ იყო. მაგრამ მაქვს გეგმა, რომლითაც ამ პრობლემას წლის ბოლომდე მოვაგვარებთ. ცირეკიძეს რაც შეეხება, ის ჩამოყალიბებული სპორტსმენია, ნამდვილი მოჭიდავე, რომელსაც მეტოქისადმი ოდნავი შიშის გრძნობა არ აქვს. კარგად იცით, მან აქამდე რა ვარჯიშებიც ჩაატარა და მაინც მოიპოვა მედალი. ის რომ ივარჯიშებს და ფორმაში ჩადგება, ამ წონაში წარმატებების მოპოვების და გულშემატკივართა გახარების დიდი შანსი აქვს.

**- ყოველ შემთხვევაში, ამ მედლით ცხადი გახდა, რომ სპორტიდან მისი წასვლა ნაადრევი იყო და ახალ წონაშიც შეუძლია დიდი შედეგების მიღწევა.**

- რა თქმა უნდა. თუ მან ისევე იშრომა, როგორც მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვებამდე მუშაობდა, დარწმუნებული ვარ, ამ წონაშიც მოიპოვებს დიდ წარმატებებს.

**- ნიკლაურს აშკარა პროგრესი დროის ისეთ მცირე მონაკვეთშიც კი დაეტყო, რაც საქართველოს ჩემპიონატიდან თბილისის ტურნირამდე იყო. უმთავრესად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით - თითქოს უფრო გაიხსნა, საკუთარი ძალების ირწმუნა და შემტევი გახდა.**

- მას მართლაც მოემატა რწმენა და ბევრად აქტიური გახდა. თან ყველამ იცის, რომ დაუმსახურებლად და ძველი წარმატებების ხათრით ვერავინ ვერსად წავა. ეს გამორიცხულია. აქედან გამომდინარე, ყველა დარწმუნებული იქნება, რომ თუ ივარჯიშებს, იმუშავებს და კონკურენტს აჯობებს, შრომა დაუფასდება.

**- ანუ, მთლიანობაში, შედეგი მოულოდნელი იყო?**

- რა თქმა უნდა. პირველ დღეს ევროპული ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე იან სნაიდერსმა მკითხა, როგორაა საქმეო. ვუთხარი, ოღონდ 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ერთი ოქრო ამაღებინა და საერთოდ წავალ ტურნირიდან, მეტი არაფერი მინდა-მეთქი. კიდევ ვიმეორებ - ასუმბანისგან მედალს ველოდებოდი, მაგრამ ყველა დავალებას თუ ასე ზედმიწევნით შეასრულებდა, არ მეგონა.

**- მეტოქეთა სიძლიერის მიუხედავად, ასუმბანი ყველა შეხვედრაში მობილიზებული ჩანდა, რასაც კი ვუყურეთ. მაინც საინტერესოა, ისეთ ძლიერ მეტოქეებთან როგორი განწყობით გადიოდა საჭიდაოდ, ახერხებდა საბრძოლო სულისკვეთების შენარჩუნებას?**

- ყველა შეხვედრაში მობილიზებული იყო და საბრძოლველად გადიოდა. არანაირი შიშის გრძნობა არ ემჩნეოდა. პირიქით - ერთი სული ჰქონდა, როდის დაუძახებდნენ საჭიდაოდ. რაც მთავარია, ტატამზე აზროვნებდა და ჭკვიანურად მუშაობდა.

**- ადრე ჯანმრთელობის პრობლემა აწუხებდა. ამ მხრივ ახლა როგორაა საქმე?**

- კი, მოუგვარდა. თვითონაც კარგად უვლის თავს - სულ ვიტამინებზეა, კალორიებს ილებს და ზედმეტს არაფერს გააკეთებს. მისასალმებელია, რომ უკვე პროფესიონალად ჩამოყალიბდა.

**- გული ვინ დაგწყვიტათ, უკმაყოფილო ვისი გამოსვლით დარჩით?**

- აი, მძიმე წონაში ზვიად ხანჯალიაშვილს შეეძლო მესამე ადგილის დაკავება, ესტონელ ევროპის ჩემპიონ მარტინ პადარს თუ დაამარცხებდა. უგებდა კიდეც ორ გაფრთხილებას, მაგრამ ბოლოს შეცდა და თავი შეაბოჭინა. ძლიერებთან თითქოს ბრძოლისუნარიანობა აკლდება და წარმატებით ჭიდაობა არ შეუძლია, მაგრამ რატომ, ვერ ამიხსნია. ეტყობა, ფსიქოლოგიური ამბავია. ეს ნაკლი თუ არ გამოასწორა, არაფერი გამოვა, რადგან ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე ყველა ძლიერია. მას ფეხების პრობლემაც აწუხებს - კუნთები სტკივა, რაც ასევე მოსაგვარებელია. სპორტსმენი თუ დილა-საღამოს ვერ ირბენს და ვერ ივარჯიშებს, გამორიცხულია, შედეგი მოვთხოვოთ. ცუდია ისიც, რომ 66-ში და 73-ში დამაიმედებელი ვერაფერი დავინახე. 73-ში თითქოს ტატალაშვილს ურიგოდ არ უჭიდავია - კორეელ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონსა და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ კი-ჩუნ ვანგთან გაფრთხილებებით წააგო. არადა, კორეელმა სხვას ყველას დამაჯერებლად აჯობა; მხოლოდ ამასთან ვერ გააკეთა ქულა...

**- ახალი თაობის კიდევ ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი პაატა მერებაშვილი აქაც დამარცხდა. თქვენი აზრით, რამ განაპირობა მისი ბოლოდროინდელი წარუმატებლობები, დასვენება ხომ არ სჭირდება? სექტემბრიდან მოყოლებული, ყოველ თვე რომელიმე დიდ ტურნირზე ჭიდაობს.**

- მერებაშვილი ჯერ ახალგაზრდაა, თუმცა მაქსიმუმი ნამდვილად ვერ გააკეთა. მან მეტი უნდა იმუშაოს ჩავლებებზე და მდგომარეობას გამოასწორებს - დიდი შედეგების მოსაპოვებლად საჭირო პოტენციალი აქვს. ამ წაგებებს გადაღლას ვერ დავაბრალებ. უბრალოდ, ასეთ ტურნირზე ჭიდაობა რთულია. თუმცა არც მისი მეტოქე იყო ისეთი ძლიერი, მასთან მოგება გასჭირვებოდა. უგებდა კიდეც, მაგრამ გამოუცდელობით წააგო.

**- ერთობლივ ვარჯიშებზე რატომ არ დარჩით პარიზში?**

- როცა სპორტსმენები ბოლომდე იხარჯებიან შეჯიბრებაზე, ამის შემდეგ იქვე შეკრებაზე დარჩენა არანაირი შედეგის მომტანი არაა. დაღლილმა სპორტსმენებმა რა უნდა ივარჯიშონ? თან წინ სხვა ტურნირებია. ასეთ ვარჯიშებზე შეიძლება ახალგაზრდული გუნდი გავუშვათ. მე მაქვს იდეა, ჭაბუკებისა და ახალგაზრდების ევროპისა თუ მსოფლიოს მედალოსნები, პერსპექტიული ახალგაზრდები შევკრიბოთ და გავუშვათ ასეთ შეკრებზე, რომ მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები ახლოს ნახონ, გაეჯიბრონ და შეიგრძნონ, მათთან ჭიდაობა როგორია.

**- ახლა შაბათ-კვირას ავსტრიაში რა შემადგენლობას წაიყვანთ?**

- ძირითადად ახალგაზრდებს წავიყვანთ, ძირითად შემადგენლობას კი ორი კვირის მერე დიუსელდორფში გამოვცდით. ვენაში ამირან პაპინაშვილი (60), გიორგი შოშიაშვილი, გიორგი ფერსაშვილი (66), ანზორ ხმიადაშვილი, დავით კობერიძე (73), დავით ჭაბუკაშვილი, ხვიჩა ხუციშვილი (81), ვალერი ლიპარტელიანი (90), ზურაბ ზვიადაური (100) და ადამ ოქრუაშვილი (+100) იჭიდავებენ.

ირაკლი თავაძე

პორტუგალია-საქართველო, 13 თებერვალი

# ბორჯღალოსნებს მალხაზ ურჯუკაშვილიც დააკლდათ



მალხაზ ურჯუკაშვილი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მორიგი მატჩისთვის მზადებას განაგრძობს. „ბორჯღალოსნები" საწვრთნელ შეკრებას საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში გადიან.

ჩვენი გუნდის ბანაკიდან სამწუხარო ინფორმაცია მოვიდა. ერთ-ერთი ვარჯიშისას ფეხის კუნთი გაუწყდა გარემარბ **მალხაზ ურჯუკაშვილს** (ფიჟაკი), რომელიც პორტუგალიასთან ვეღარ დაგვეხმარება. გუნდის 22-კაციან შემადგენლობაში მის ადგილს, სავარაუდოდ, **ირაკლი ჩხიკვაძე** (აია) დაიკავებს.

ფეხის ტკივილი აწუხებდა ნაკრების ფულბეკ **მერაბ კვირიკაშვილსაც** (ფიჟაკი). გუნდის ექიმების მოთხოვნით, „მეკოს" კანის ერთ-ერთ საავადმყოფოში სურათი გადაუღეს. აღმოჩნდა, რომ „ბორჯღალოსანთა" დამრტყმელს და მთავარ მექულეს კუნთი ჰქონდა ოდნავ დაჭიმული. კვირიკაშვილი ორი დღე ინდივიდუალურად ივარჯიშებს და 11 თებერვალს გუნდთან ერთად ლისაბონში გაემგზავრება.

შეგახსენებთ, რომ შაბათს, 13 თებერვალს საქართველოსა და პორტუგალიის ეროვნულ გუნდთა დაპირისპირება თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ანტონ ფეიქრიშვილი (აჟენი).

მეორე ხაზი: ილია ზედგინიძე (კარკერენი), გიორგი ნემსაძე (მასი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი).

მესამე ხაზი: გია ლაბაძე (მარსელი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), ბესო უდესიანი (სენტ ეტიენი), ლაშა თავართქილაძე (ფარული), დიმიტრი ბასილაია (ლე ბუგე).

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (ფარული).

№10: ლაშა მალაღურაძე

№12-13: ირაკლი გიორგაძე (შამბერი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), დავით კაჭარავა (ნიცა).

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია).

№15: მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი).

ექსპერტის მოსაზრება



## რიჩი დიქსონი, საქართველოს რაგბის კავშირის კონსულტანტი:

„ისეთ სუსტ მეტოქესთან შეხვედრის მერე, როგორიც გერმანიის ნაკრებია, საქართველოს ნაკრების თამაშის ობიექტური შეფასება ძნელი საქმეა. თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც გამოჩნდა გარკვეული ხარვეზები.

საქართველოს ნაკრების შერკინება, როგორც ყოველთვის, ახლაც დომინირებდა. მძიმე და საკმაოდ მობილური მორკინალები გვყავს. ბევრ კარგ გუნდს გაუჭირდება მათთვის წინააღმდეგობის გაწევა.

უფრო სუსტია უკანა ხაზი. გუნდის ეს რგოლი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ბევრი სამუშაო აქვთ როგორც მწვრთნელებს, ისე მოთამაშეებს.

მომავალი მეტოქის, პორტუგალიის ნაკრების ძლიერი მხარე სწორედ უკანა ხაზია. გაშლილი, ღია თამაში მათი სტიქიაა. არეულ თამაშში ყოველთვის პოულობენ სარგებელს. ამასთან, ისინი ძალიან კარგად თამაშობენ მიწაზე. რაკში თამამად შედიან და ზუსტად იციან, რა გააკეთონ. საქართველოს ნაკრებისთვის თამაშის ეს კომპონენტი აქილევსის ქუსლია.

„ბორჯღალოსნები" შეიძლება, შოტლანდიის ნაკრებს შევადაროთ. ექვსი ერის პირველ შეხვედრაში საფრანგეთან შერკინება კარგად გამოიყურებოდა, რასაც ვერაფრით ვიტყვი უკანახაზელებზე. პრობლემები, ფაქტობრივად, იდენტურია. არადა, ორივე გუნდს, საქართველოსაც და შოტლანდიასაც, პოტენციალი ბევრად მეტი აქვს, ვიდრე შედეგს აჩვენებს.

პორტუგალიის ნაკრები შარშანდელთან შედარებით ორი უცხოელი მორაგბით გაძლიერდა. **ტომაშ მორაეშმა** გუნდში ავსტრალიელი ფულბეკი და სამხრეთაფრიკელი მეორეხაზელი მიიწვია. „ლობუშების" თამაშს ეს აშკარად დაეტყო, თუმცა არა მგონია, ეს განვითარების სწორი გზაა.

საქართველო ამ გზით არ წავა. მაღალი დონის მორაგბეები აქვე, საქართველოში უნდა გავზარდოთ."

მეტოქეები. ესპანეთი

# ლომები რუსების დასახვედრად ემზადებიან

2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრის მეორე ტურში ორი ცენტრალური შეხვედრა გაიმართება. საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებების მატჩის პარალელურად მადრიდში ესპანეთის ნაკრები რუსეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს.

ესპანელების პირველი შეხვედრა ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებთან დიდთოვლობის გამო გადაიდო. მადრიდში კი შესანიშნავი ამინდია და „ლომების" ინგლისელი თავკაცი **გედ გლინი** შეგირდებს საბრძოლველად ამზადებს.

ესპანელებმა პირველ წრეში ხუთიდან ოთხი თამაში წააგეს და მსოფლიო თასზე მოხვედრის ყველანაირი იმედი გადაიწურეს. მიუხედავად ამისა, პირინეელების საბრძოლო განწყობა ისეთია, როგორიც არასდროს. გედ გლინის მოთხოვნით, ესპანეთის რაგბის ფედერაციამ ყველაფერი ილონა და გუნდი ფრანგი მორაგბეებით გააძლიერა, მეტიც, პირველ ხაზში, სადაც რუსების მსგავსად სერიოზული პრობლემები ჰქონდათ, ესპანელებმა ქართველ მორაგბეს **დავით გურგენაძეს** უხმეს.

გედ გლინმა სარუსეთოდ 24 მორაგბე გამოიძახა, რომელთაგან 9 ლეგიონერია. ისინი საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის სხვადასხვა დივიზიონის გუნდებში ასპარეზობენ. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო თასის საგზურის პრეტენდენტი რუსეთის ნაკრები მადრიდში ვერ გაისეირნებს.

**ესპანეთის ნაკრები**

შერკინება: ხოსე-მარია ბორხესი (სევილია), დავით გურგენაძე (მადრიდი), ალეხანდრო ონეგა (მადრიდი), ხესუს მორენო (ბორდო), მარკო პინტო (კლერმონი), მატიე სიდრი (კარკასონი), ლეანდრო არამბურუ (სევილია), ხესუს რეკუერდა (სევილია), სერხიო სოუტო (ელ სალვადორი), რაფაელ კამაჩო (სევილია), მარტინ აკენა (ლა ვილა), მეთ კუკი (ლა ვილა), ჟულიენ ტურტულუ (კოლომიე), დამიენ ელგოიენი (სენ ჟან დე ლუზი).

უკანა ხაზი: პედრო ფეიხოო (მადრიდი), მატიე ლოპესი (მონ დე მარსანი), სეზარ სემპერე (მონპელიე), მატიო გრატონი (გროლე), მარტინ ერედია (კოსტა დელ სოლ), ბენიამინ პარდო (ვალიადოლიდი), ხაიმე ნავა (ალკობენდასი), ხავიერ კანოსა (მადრიდი), პედრო მარტინი (ბაიონი), იგნასიო მარტინი (პარმა).

ამბები

## ავსტრალიელი გარდნერი: ერთა თასის ვარსკვლავი

პორტუგალიის ნაკრების ავსტრალიელი ფულბეკი **ჯოზეფ გარდნერი** შესაძლოა, საქართველოს ნაკრების ფლანკერის **რატი ურუშაძის** თანაგუნდელი გახდეს.

რუსეთისა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის სოჭში გამართულ შეხვედრაში ჯომ კრასნოიარსკის „ენისეის" მთავარ მწვრთნელზე, **ალექსანდრ პერვუხინზე** კარგი შთაბეჭდილება დატოვა. კრასნოიარსკელთა თავკაცმა მას „ენისეიში" გადასვლის წინადადებით თამაშის დასრულებისთანავე მიმართა.

24 წლის ავსტრალიელი ამჟამად პორტუგალიური „აგრონიმიას" ღირსებას იცავს და ადვილი შესაძლებელია, თბილი სამხრეთი ციმბირის ცივ ტრამალებზე გაცვალოს.

## აფრიკელებმა ხელი მოაწერეს

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა ეროვნული ნაკრების მოთამაშეთა ძირითად ბირთვთან ახალი კონტრაქტები გააფორმა. ახალ ხელშეკრულებას ხელი 19-მა მორაგბემ მოაწერა. აქედან ათს ნაკრებში თამაში 2011 წლის მსოფლიო თასის დასრულებამდე აქვს გარანტირებული, ცხრას კი 2010 წლის ბოლომდე.

ის მოთამაშეები, რომლებსაც კონტრაქტი არ აქვთ და ნაკრებში გამოიძახებენ, იმავე ანაზღაურებას მიიღებენ, რასაც კონტრაქტიანი „ბოკეს" მორაგბეები იღებენ. 2011 წლის მსოფლიო თასის დასრულებამდე კონტრაქტი გააფორმეს **ბაკის ბოთამ, შალკ ბურხერმა, ფური დუპრესმა, ჟაკ ფურიმ, ბრაიან ჰაბანამ, ვიქტორ მეტფილდმა, ჯიპი პიტერსენმა, ჯონ სმიტმა, ჟუან სმითმა და პიერ სპისმა.**

2010 წლის ბოლომდე ხელფასის მიღების გარანტია აქვთ **ანდრეას ბეკერს, ჰაინრიხ ბროსუს, ბისმარკ დუპლესისს, ადრიან იაკობსს, ტენდაი მთავარირას, ვინანდ ოლივიერს, რუან პინარს, დენი როსუს და მორნი სტეინს.**

მეტოქეები. რუმინეთი

გერმანია

# გერმანია რუმინეთში უდიდებაშვილოდ

2011 წლის მსოფლიო თასზე მოხვედრისთვის ბრძოლას განაგრძობს რუმინეთის ნაკრები. „სტეჟარიმ" მეორე წრის პირველი ტური დიდთოვლობის გამო გამოტოვა და 13 თებერვალს გერმანიის ნაკრებს იმავე შემადგენლობით დაუხვდება, რომლითაც ესპანეთთან უნდა ეთამაშა. **რობერ ანტონენის** შეგირდებისთვის ეს მატჩი ორი კვირის მერე, რუსეთთან გასამართი შეხვედრისთვის კარგი მოსამზადებელი ეტაპი იქნება. „მუხის ფოთლებს" ახალ ზელანდიაში გასამგზავრებლად ყველა თამაშის მოგება სჭირდებათ.

გერმანელთა თავკაცმა **ბრუნო შტოლცმა** კი თითქმის ნახევარი გუნდი გამოცვალა. რუმინელების წინააღმდეგ არ ითამაშებს გაგერმანელებული ქართველი **შალვა დიდებაშვილი**. შტოლცის განკარგულებაში იქნება ასევე სამი ლეგიონერი, **რობ ელოუ** (კორნიშ პირატსი), **რობერტ მოჰრი** (ლა როშელი) და **ალექსანდრ ვიდიკერი** (ორლეანი).

მატჩი, სავარაუდოდ, ბუქარესტის ნაცვლად უკრაინის საზღვართან ახლოს მდებარე ქალქ ბაია მარეში გაიმართება.

**რუმინეთის ნაკრები**

შერკინება: სეზარ პოპესკუ (სენ მედარი), დრაგოშ დიმა (ოლორონი), სილვიუ ფლორეა (მონტობანი), იონ პაულიკა (ლონდონ აირიში), მიჰაი ლაზარი (სენტ ეტიენი), მარიუს ტინკუ (პერპინიანი), ანდრეი რადოი (ბაია მარე), სორინ სოკოლი (ოლორონი), აუგუსტინ პეტრიკეი (მარმანდი), კრისტიან პეტრე (ბეზიე), ვალენტინ ურსაკე (ბაია მარე), სტელიან ბურეა (არადი), დანიელ კარპო (ფარული), მიჰაი მაკოვეი (ბაია მარე), ოვიდიუ ტონიცა (პერპინიანი), ალექსანდრუ მანტა (ლიონი), სერგიუ ურსაკე (ვენეცია).

უკანა ხაზი: ლუჩან სირბუ (სომიო), ვალენტინ კალაფეტეანუ (არადი), იულიან დუმიტრაში (ალბი), დანუც დუმბრავა (სტიაუა), იონუც დიმოფტე (ბაია მარე), ჩაბ:გალი (ბაია მარე), რობერტ დესკალუ (სტიაუა), კონსტანტინ გეარა (ფარული), იონელ კაზანი (სტიაუა), კატალინ ფერკუ (არადი), სტეფან ჩუნტუ (ბაია მარე), კატალინ ნიკოლაე (ფარული), ფლორინ ვლაიკუ (სტიაუა), იონუც ბოტეზატუ (ბაია მარე).



რუმინეთის ნაკრები

**გერმანიის ნაკრები**

შერკინება: რობ ელოუ (კორნიშ პირატს), რობერტ მოჰრი (ლა როშელი), ალექსანდრ ვიდიკერი (ორლეანი), ტიმ კოლი, მანუელ ვილჰელმი, კეჰომა ბრენერი, ბენჯამინ კრაუზე (ყველა- ჰაიდელბერგი), ლუკაშ ჯონსონი (კავალიერი), ალექსანდრ ჰუკი, ჯიმი ჰოუსტონი (ორივე-ფრანკფურტი), მარიუს ტრისკი (ნოიენჰეიმი), ალექსანდრ მეცი (ჰანდშუშეიმი)

უკანა ხაზი: კირონ დევისი (ემპტილი), რაფაელ ჰასკლი, რაფაელ პირაში, ბენჯამინ სიმი, კრისტოფერ ლებიგი, სტეფან ლებიგი (ყველა - ჰაიდელბერგი), კლემენს ფონ გრუმბკოვი (კავალიერი), მუსტაფა გუნგური, ედმურ ტაკაენდესა, მარკ ცინდერა (სამივე-ფრანკფურტი).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ორლანდო–ნიუ ორლეანი 123:117**

28:32, 27:38, 32:24, 36:23

ო: კარტერი (48+7 მოხსნა), ჰოვარდი (25+12 მოხსნა+4 დაფარება), ლუისი (18).

ნ-ო: სტოიაკოვიჩი (29+9 მოხსნა+5 პასი), უესტი (27), კოლისონი (27+9 პასი), პოუსი (10+6 მოხსნა), სონგაილა (10+5 მოხსნა).

**გ. სტეიტი–დალასი 117:127**

34:29, 36:32, 28:29, 19:37

გ-ს: მოროუ (33+11 მოხსნა), ელისი (27+5 პასი+4 ჩაჭრა), კარი (25+9 პასი), ტურიაფი (14+5 პასი), ტოლივერი (14+11 მოხსნა).

დ: ტერი (36+6 მოხსნა+9 პასი), ჰოვარდი (25), გუდენი (24+10 მოხსნა), კიდი (17+12 პასი), ნოვიცკი (15+8 მოხსნა).

**ლეიკერსი–სან ანტონიო 101:89**

28:34, 22:13, 23:21, 28:21

ლ: გასოლი (21+19 მოხსნა+8 პასი+5 დაფარება), არტესტი (18+5 მოხსნა), ოდომი (16+10 მოხსნა), ფიშერი (13), ფარმარი (13).

ს-ა: ჯინობილი (21), პარკერი (20+8 პასი), დანკანი (16+15 მოხსნა+4 დაფარება), ბრეილი (11).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ნ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. კლივლენდი* | 52 | 41 | 11 | 78.8 |
| 2. ორლანდო* | 52 | 35 | 17 | 67.3 |
| 3. ბოსტონი* | 49 | 32 | 17 | 65.3 |
| 4. ატლანტა | 49 | 32 | 17 | 65.3 |
| 5. ტორონტო | 51 | 28 | 23 | 54.9 |
| 6. ჩიკაგო | 49 | 24 | 25 | 49.0 |
| 7. შარლოტი | 49 | 24 | 25 | 49.0 |
| 8. მაიამი | 51 | 24 | 27 | 47.1 |
| 9. მილუოკი | 49 | 23 | 26 | 46.9 |
| 10. ფილადელფია | 50 | 19 | 31 | 38.0 |
| 11. ნიუ იორკი | 50 | 19 | 31 | 38.0 |
| 12. ინდიანა | 51 | 18 | 33 | 35.3 |
| 13. დეტროიტი | 49 | 17 | 32 | 34.7 |
| 14. ვაშინგტონი | 49 | 17 | 32 | 34.7 |
| 15. ნიუ ჯერსი | 50 | 4 | 46 | 8.0 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | ნ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი* | 53 | 40 | 13 | 75.5 |
| 2. დენვერი* | 51 | 34 | 17 | 66.7 |
| 3. იუტა | 49 | 31 | 18 | 63.3 |
| 4. დალასი* | 51 | 32 | 19 | 62.7 |
| 5. ფინიქსი | 52 | 31 | 21 | 59.6 |
| 6. სან ანტონიო | 50 | 29 | 21 | 58.0 |
| 7. ოკლაჰომა | 50 | 29 | 21 | 58.0 |
| 8. პორტლენდი | 53 | 30 | 23 | 56.6 |
| 9. ჰიუსტონი | 50 | 27 | 23 | 54.0 |
| 10. მემფისი | 50 | 26 | 24 | 52.0 |
| 11. ნიუ ორლეანი | 52 | 27 | 25 | 51.9 |
| 12. კლიპერსი | 50 | 21 | 29 | 42.0 |
| 13. საკრამენტო | 50 | 16 | 34 | 32.0 |
| 14. გ. სტეიტი | 50 | 13 | 37 | 26.0 |
| 15. მინესოტა | 51 | 13 | 38 | 25.5 |

**ქულა**

| | |
|---|---|
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 29.8 |
| კარმელო ენტონი (დენ) | 29.7 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 29.7 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 28.0 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 26.8 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 26.2 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 24.8 |
| კრის ბოში (ტორ) | 24.4 |
| ბრენდონ როი (პორ) | 23.1 |
| ჯო ჯონსონი (ატლ) | 21.9 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.4 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 12.1 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 12.0 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 11.5 |
| დევიდ ლი (ნ-იორ) | 11.5 |
| კრის ბოში (ტორ) | 11.4 |
| ჯერალდ უოლასი (შარ) | 10.9 |
| კარლოს ბუზერი (იუტ) | 10.8 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.8 |
| ბრენდან ჰეივუდი (ვაშ) | 10.3 |

**პასი**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.2 |
| სტივ ნეში (ფინ) | 11.1 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 9.8 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 9.7 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 9.3 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 8.2 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 7.9 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 7.5 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 6.4 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 6.3 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.5 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 2.2 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 1.9 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.9 |
| სტივენ ჯექსონი (შარ) | 1.8 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 1.8 |
| სტივენ კარი (გ-სტე) | 1.8 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 1.8 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.8 |
| სამუელ დალემბერი (ფილ) | 2.2 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.2 |
| ბრენდან ჰეივუდი (ვაშ) | 2.1 |
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.1 |
| ბრუკ ლოპესი (ნ-ჯერ) | 2.0 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 2.0 |
| კენდრიკ პერკინსი (ბოს) | 1.9 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 1.8 |
| კრის ანდერსენი (დენ) | 1.8 |

# კობი საჭირო არ არის



„ჰორნეტსმა",რომელსაც შემადგენლობასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებს, „ორლანდოსთან" მატჩამდე სამჯერ წააგო და მხოლოდ „შარლოტთან" მიაღწია წარმატებას. ლუიზიანის გუნდის შედეგებზე მისი ლიდერის - **კრის პოლის** არყოფნა მოქმედებს. NBA-ის პირველმა ასისტენტმა (საშუალოდ 11.2 გადაცემა) მუხლის ოპერაცია გაიკეთა და საუკეთესო შემთხვევაში მარტში დაუბრუნდება მოედანს. ცოტა ხნის წინ ტრავმირებულთა სიას შეუერთდა **მარკუს ტორნტონი**, რომელმაც ზურგი დაიზიანა. ასე რომ, „ნიუ ორლეანი" ფლორიდაში მთლად საბრძოლო განწყობით ვერ ჩავიდა.

ამას „ჰორნეტსისთვის" ხელი არ შეუშლია პირველი მეოთხედის მოგებაში. მასპინძლებმა პირველ მეოთხედის სტარტზე რამდენიმე წარმატებული შეტევა განახორციელეს, ვეტერანმა **ვინს კარტერმა** სწრაფად დააგროვა 7 ქულა და „ორლანდო" წინ გავიდა - 12:5. სტუმრებს ტაიმ-აუტიც არ დასჭირვებიათ ინიციატივის ხელში ჩასაგდებად. მთელი მატჩის განმავლობაში მათი შეტევების ორგანიზატორები **დარენ კოლისონი, პეჯა სტოიაკოვიჩი** და **დევიდ უესტი** გახდნენ. მათ გაათანაბრეს ანგარიში - 16:16, ორი წუთის შემდეგ კი დაწინაურდნენ და პირველი შესვენებისთვის ოთხქულიანი უპირატესობა მოიპოვეს - 32:28.

მეორე მეოთხედში **ჯეფ ბოუერის** შეგირდებმა აქტიურობას უმატეს და პრაქტიკულად გააცამტვერეს ფლორიდელთა დაცვა. „მეჯიქი" ვერაფერს უხერხებდა „ნიუ ორლეანის" შეტევით ტრიოს, რომელმაც **დარიუს სონგაილა** და გამოცდილი **ჯეიმს პოუსიც** დაეხმარნენ. შედეგად „ორლანდომ" 12 წუთში 38 ქულა მიიღო. „ჰორნეტსის" 9:0 გაქცევის შემდეგ, დიდი შესვენებისთვის სტუმართა 15-ქულიანი უპირატესობა დაფიქსირდა - 70:55.

შესვენებაზე მწვრთნელისგან ჭკუადარიგებული ორლანდოელები მეორე ტაიმში სხვა განწყობით გავიდნენ მოედანზე. კარტერმა და **რაშარდ ლუისმა** მომენტალურად დააგროვეს რვა ქულა, **ჯამირ ნელსონმა** და **დუაიტ ჰოვარდმაც** თითო-თითო ზუსტი ტყორცნა დაუმატეს და სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა - 75:77. მაგრამ მასპინძლებმა მაინც ვერ შეძლეს მესამე მეოთხედის წარმატებით დასრულება. ისინი კვლავ მოდუნდნენ და დაისაჯნენ ამისთვის. კოლისონმა შესვენებამდე სამი წამით ადრე ჩააგდო და ანგარიში 94:87 გახდა.

„ნიუ ორლეანმა" ბოლო მეოთხედის სტარტზე შეტევები გააგრძელა. ჰოვარდის ფარზე კარგი თამაშისა და ზედიზედ ექვსი ქულის მიუხედავად, სტუმრების უპირატესობა 11 ქულამდე გაიზარდა. თამაშის დასრულებამდე 8 წუთი რჩებოდა. მაგრამ „ჰორნეტსს" არ ეყო ეს ჰანდიკაპი გამარჯვებისთვის. მოულოდნელად თამაშის სიუჟეტი 180 გრადუსით შეტრიალდა. შეუძლებელი გახდა კარტერის შეჩერება. მან ორი სამქულიანი გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა - 106:106. ვინსმა ამას სამქულიანი შეტევა და ორი საშუალო ტყორცნაც დაუმატა და თავისიანები ექვსი ქულით დააწინაურა - 116:110. სულ ვინსანტიმ 48 ქულა დააგროვა (34 - მეორე ტაიმში) და ერთი ტყორცნა დააკლდა კარიერის რეკორდამდე. კარტერის შოუთი მოხიბლულმა პარტნიორებმა შანსი აღარ დაუტოვეს მეტოქეს - 123:117.

დიდი ხანია „ლეიკერსს" ასეთი შესუსტებული შემადგენლობით არ უთამაშია რეგულარულ ჩემპიონატში. Staples Center-ის მოედანზე ჩემპიონი „სან ანტონიოს" წინააღმდეგ სათამაშოდ ძირითადი ცენტრის **ენდრიუ ბინუმისა** და **კობი ბრაიანტის** გარეშე გავიდა. „სპურსს" კი მწყობრში ჰყავდა თავისი სახელგანთქმული ტრიო (**ტიმ დანკანი, ტონი პარკერი და მანუ ჯინობილი**) და ამის მიუხედავად, მაინც დამარცხებულმა დატოვა ლოს ანჯელესი.

ბრაიანტისა და ბინუმის ადგილი **ლამარ ოდომმა** და **შენონ ბრაუნმა** დაიკავეს. თავიდან ისე ჩანდა, რომ ეს გადაადგილებები კარგს არაფერს მოუტანდა ჩემპიონს. „ლეიკერსმა" თავიდანვე გაუშვა ცხრა ქულა და პირველად მეტოქის ფარი მესამე წუთის ბოლოს დალაშქრა.

ცუდი დაცვის გამო წაგებული პირველი მეოთხედის (28:34) შემდეგ, მასპინძლები მეორეში მოეგნენ გონს. ისინი მეტოქეს სისწრაფეში ჯობდნენ, რამაც რამდენიმე საჯარიმოს შესრულების საშუალება მისცა. ოდომმა, ბრაუნმა და **რონ არტესტმა** დამაჯერებლად შეასრულეს თავისუფალი ტყორცნები, მათი გუნდი კი დიდი შესვენებისთვის 50:47 დაწინაურდა.

დარჩენილი ორი მეოთხედი ძალიან ჰგავდა „ლეიკერსის" წინა მატჩს „პორტლენდის" წინააღმდეგ. აქტიური დაცვის გამოყენებითა და ორივე ფარქვეშ წარმატებული თამაშით **ფილ ჯექსონის** შეგირდები თანდათან შორდებოდნენ მეტოქეს. მესამე მეოთხედის მსვლელობისას ისინი უკვე 11 ქულით (68:57) იყვნენ წინ, თუმცა „სან ანტონიომ" ცოტა ხნით დაუბრუნა ინტრიგა შეხვედრას. ბოლო 12-წუთეულის შუაში კი „ლეიკერსმა" საბოლოოდ გატეხა „სპურსის" წინააღმდეგობა - 14:6 გაქცევის შემდეგ კალიფორნიელებმა მშვიდად მიიყვანეს მატჩი გამარჯვებამდე - 101:89.

კობის არყოფნაში „ლეიკერსის" ლიდერობა **პაუ გასოლმა** აიღო საკუთარ თავზე. ესპანელმა ცენტრმა 21 ქულა, 19 მოხსნა, 8 შედეგიანი პასი და 5 დაფარება მიითვალა, თანაც ეს ტიმ დანკანის წინააღმდეგ თამაშისას გააკეთა.

*ყველა ვარსკვლავის მატჩი 2010*

# ოლ სტარი ბრაიანტის გარეშე?

როგორც რეგულარული ჩემპიონატის გუშინდელი დღის მიმოხილვაში დავწერეთ, „ლეიკერსმა" „სან ანტონიოს" წინააღმდეგ თავისი ლიდერის - **კობი ბრაიანტის** გარეშე ითამაშა. გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშეს მარცხენა ფეხის ტრავმა აწუხებს და კობიმ, შესაძლოა, მონაწილეობა ვერ მიიღოს „ყველა ვარსკვლავის" მატჩში, რომელიც 13 თებერვალს დალასში გაიმართება.

ბრაიანტს ოფიციალურად ჯერ არ უთქვამს უარი „ოლ სტარზე", მაგრამ „ლეიკერსის" ფიზიკური მომზადების მწვრთნელი მას 10-დღიან დასვენებას ურჩევს.

*„ჯერჯერობით ტრავმა არ მაძლევს ნორმალურად თამაშის საშუალებას. თუ ჯანმრთელი ვიქნები - მოედანზე გავალ, ხოლო თუ აღდგენას ვერ მოვასწრებ, მომიწევს დალასში „ვარსკვლავური უქმეების" გამოტოვება"*, - განაცხადა ბრაიანტმა ESPN-თან კომენტარისას.

■ ■ ■

ამასობაში გაირკვა, რომ „ოლ სტარზე" დასავლეთი კონფერენციის ნაკრებში ტრავმირებულ პორტლენდელ გამთამაშებელ **ბრენდონ როის** „ლოს ანჯელეს კლიპერსის" ცენტრი **კრის კამანი** შეცვლის.

როი ვერ ასწრებს მუხლის ტრავმის მოშუშებას, რომელიც მან იანვარში მიიღო. რაც შეეხება კამანს, მან ოცნება აისრულა და კარიერაში პირველად ითამაშებს „ყველა ვარსკვლავის მატჩში".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL

**ტორონტო–სან ხოსე 2:3**

1:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ბოჟაკი-3 (კესელი-20), 1:1 ბოილი-11 (პიტლი-34, ჯ. ტორნტონი-59), 1:2 პაველსკი-16 (სეტოგუჩი-10), 2:2 კესელი-21 (ფანოფი-14, ტ. კაბერლე-40), 2:3 ქლოუ-15 (სეტოგუჩი-11, რ. ბლეიკი-14).

**ფილადელფია–ნიუ ჯერსი 3:2**

0:1, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 პარიზე-26 (ელიაში-18, ე. გრინი-20), 0:2 სალმელა-2 (ზაიაცი-30, ლანგენბრუნერი-34), 1:2 ვან რიმსდიკი-13 (ჟირუ-21, პრონგერი-31), 2:2 ჯ. კარტერი-23 (პარტნელი-18, პრონგერი-32), 3:2 მ. რიჩარდსი-23 (ტიმონენი-25, საიმონ განიე-18).

**კოლორადო–სტ. ლუისი 5:2**

2:2, 3:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ბრიუერი-6 (ოში-22, ბეკსი-19), 1:1 გალიარდი-9 (კ. სტიუარტი-20, ქუინსი-18), 1:2 ე. ჯონსონი-5 (სტინი-13), 2:2 იიპი-10 (კამისკი-7, პ. შჩასტნი-39), 3:2 კ. სტიუარტი-18 (უილსონი-11, ტაკერი-11), 4:2 პ. შჩასტნი-12 (სვატოსი-4, კ. სტიუარტი-21), 5:2 იიპი-11 (ვოლსკი-30, დუშენი-22).

**ფინიქსი–ედმონტონი 6:1**

2:0, 2:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ჟოვანოვსკი-10 (ლანგი-19, ლომბარდი-26), 2:0 ლომბარდი-11 (დოუნი-27, ლანგი-20), 3:0 ლომბარდი-12 (ვანდერმეერი-7, დოუნი-28), 4:0 ვანდერმეერი-4 (ლომბარდი-27, პანჟალი-20), 5:0 ვრბატა-19 (ლომბარდი-28), 6:0 ლანგი-9 (ვიატი-7), 6:1 პენერი-23 (ნილსონი-13).

**ანაჰაიმი–ლოს ანჯელესი 4:2**

1:1, 3:1, 0:0

**გოლები:** 0:1 მოლერი-3 (ფროლოვი-24), 1:1 სელიანე-18 (პერი-34, ს. კოივუ-21), 2:1 გეტცლაფი-15 (პერი-35, რაიან უიტნი-22), 3:1 ს. კოივუ-11 (სელიანე-9, ს. ნიდერმაიერი-27), 3:2 კოპიტარი-27 (რ. სმიტი-19, დაუტი-32), 4:2 პერი-21 (რაიან უიტნი-23, ემინგერი-6).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „ვაშინგტონ კეპიტალზის" ფორვარდი **ალექსანდრ ოვეჩკინი** დაასახელა, რომელმაც წინა შვიდ დღეში 6 შაიბა გაიტანა და 4 საგოლე პასი მიითვალა. ბოლო შვიდ მატჩში მან ჯამში 16 ქულა დააგროვა, 17 შეხვედრაში კი - 36 ქულა. გარდა ამისა, „კეპიტალზმა" გამარჯვებათა სერია 14 მატჩამდე აიყვანა.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი „ტორონტო მეიპლ ლივზის" გოლკიპერმა **ჟან-სებასტიან ჟიგერმა** მიიღო, რომელიც ახლახან გადავიდა „ანაჰაიმიდან" კანადურ კლუბში და მაშინვე ზედიზედ ორი შატაუტი შეასრულა: „ნიუ ჯერსისთან" (3:0) და „ოტავასთან" (6:0).

რეიტინგში მესამე იყო „ვაშინგტონის" ფორვარდი **ნიკლას ბექსტრიომი**. მან ოვეჩკინის მსგავსად 10 ქულა (2+8) მიითვალა.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვაშინგტონი* | 59 | 41 | 12 | 6 | 88 |
| 2. ნიუ ჯერსი* | 58 | 36 | 20 | 2 | 74 |
| 3. ბაფალო* | 57 | 32 | 18 | 7 | 71 |
| 4. პიტსბურგი | 59 | 35 | 22 | 2 | 72 |
| 5. ოტავა | 59 | 33 | 22 | 4 | 70 |
| 6. მონრეალი | 60 | 28 | 26 | 6 | 62 |
| 7. ფილადელფია | 57 | 29 | 25 | 3 | 61 |
| 8. ტამპა ბეი | 57 | 25 | 21 | 11 | 61 |
| 9. ბოსტონი | 57 | 24 | 22 | 11 | 59 |
| 10. რეინჯერსი | 59 | 26 | 26 | 7 | 59 |
| 11. ატლანტა | 57 | 25 | 24 | 8 | 58 |
| 12. ფლორიდა | 58 | 24 | 25 | 9 | 57 |
| 13. აილენდერსი | 58 | 23 | 27 | 8 | 54 |
| 14. კაროლინა | 58 | 21 | 30 | 7 | 49 |
| 15. ტორონტო | 60 | 19 | 30 | 11 | 49 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე* | 59 | 39 | 11 | 9 | 87 |
| 2. ჩიკაგო* | 58 | 38 | 15 | 5 | 81 |
| 3. ვანკუვერი* | 57 | 35 | 20 | 2 | 72 |
| 4. ფინიქსი | 60 | 36 | 19 | 5 | 77 |
| 5. ლოს ანჯელესი | 59 | 36 | 20 | 3 | 75 |
| 6. კოლორადო | 58 | 33 | 19 | 6 | 72 |
| 7. კალგარი | 59 | 29 | 21 | 9 | 67 |
| 8. ნეშვილი | 57 | 31 | 22 | 4 | 66 |
| 9. დეტროიტი | 58 | 27 | 21 | 10 | 64 |
| 10. დალასი | 58 | 26 | 21 | 11 | 63 |
| 11. ანაჰაიმი | 59 | 28 | 24 | 7 | 63 |
| 12. მინესოტა | 58 | 29 | 25 | 4 | 62 |
| 13. სტ. ლუისი | 59 | 25 | 25 | 9 | 59 |
| 14. კოლამბუსი | 60 | 24 | 27 | 9 | 57 |
| 15. ედმონტონი | 58 | 18 | 34 | 6 | 42 |

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 86 (42+44) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 78 (25+53) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 74 (39+35) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 74 (15+59) |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 73 (25+48) |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 69 (35+34) |
| დენი ჰიტლი (ს-ხოს) | 66 (32+34) |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 64 (38+26) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 42 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 39 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 38 |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 35 |
| დენი ჰიტლი (ს-ხოს) | 32 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 32 |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 31 |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 27 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 59 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 53 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 48 |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 46 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 45 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 44 |
| ტომაშ პლეკანეცი (მონ) | 43 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 42 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## სხვადასხვა

**კალათბურთი**

### ჟალგირისის მესამე მწვრთნელი

ლიტვური გრანდი კაუნასის „ჟალგირისი“ მიმდინარე სეზონში მეორედ დარჩა მწვრთნელის გარეშე. კლუბის მფლობელმა - ბიზნესმენმა **ვლადიმერ რომანოვმა** არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო თანამდებობიდან გაათავისუფლა მთავარი მწვრთნელი **რამუნას ბუტაუტასი** და მას სპორტული დირექტორი **ალგირდას ბრაზისიც** თან მიაყოლა.

ევროლიგაზე ესპანეთის „უნიკახასთან“ უახლოეს შეხვედრაში „ჟალგირისს“ **დარიუს მასკოლიუნასი** და **გვიდონას მარვიავიჩუსი** უხელმძღვანელებენ.

**გოლფი**

### ვუდსი გამოჯანმრთელდა

მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი, ამერიკელი გოლფისტი **ტაიგერ ვუდსი** სარეაბილიტაციო კლინიკიდან გამოწერეს, სადაც ის გახმაურებული სექსუალური სკანდალის შემდეგ მოხვდა. სპორტსმენმა სექსუალური დამოკიდებულებისადმი სამკურნალო კურსი გაიარა და სრულიად გასაიდუმლოებულ სიტუაციაში დატოვა საავადმყოფო. შინ ის მეუღლესთან, შვედ მოდელ **ელინ ნორდეგრენთან** ერთად გაფრინდა.

შტატ მისისიპის სარეაბილიტაციო ცენტრში ვუდსი განცალკევებულ ბუნგალოში ცხოვრობდა, ინდივიდუალურ კონსულტაციებსა და ჯგუფური თერაპიის სეანსებს ესწრებოდა. მილიარდერ გოლფისტს თან მეუღლე ახლდა.

როგორც ამერიკული პრესა წერს, ვუდსს 2010 წლის 17 თებერვალს შეუძლია გოლფში დაბრუნება. ამ დღეს არიზონას შტატის ჩემპიონატი იწყება.

**ჩოგბურთი**

### ივანოვიჩი ადიდასის ერთგულია

სერბმა ჩოგბურთელმა **ანა ივანოვიჩმა** სპონსორული ხელშეკრულება გააგრძელა სპორტული ეკიპირების კომპანია „ადიდასთან“. ახალი კონტრაქტის მიხედვით, სერბი კარიერის ბოლომდე ამ ფირმის სპორტული ფორმით შეიმოსება.

გარდა ამისა, ანა, რომელიც გერმანულ კომპანიასთან 2006 წლიდან თანამშრომლობს, დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგაც „ადიდასის“ წარმომადგენელი იქნება.

*„ამ კომპანიამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დიდი სამსახური გამიწია. ის არა მარტო ზრუნავდა ჩემს ჩაცმულობაზე, არამედ კორტის მიღმაც ბევრი შესაძლებლობა მომცა. მაგალითად მოვიყვან მოთამაშეთა განვითარების პროგრამას“*, - განაცხადა 22 წლის ივანოვიჩმა.

**ამერიკული ფეხბურთი**

### სარეკორდო სუპერბოული

ამერიკული ფეხბურთის ლიგის ფინალმა - სუპერბოულმა რეკორდული რაოდენობის ტელეაუდიტორია შეკრიბა: შეხვედრას 106,5 მილიონი ადამიანი ადევნებდა თვალს.

ასე რომ, კვირას გამართულმა მატჩმა დაამხო მაყურებელთა რაოდენობის რეკორდი, რომელიც 1983 წლიდან იყო ძალაში. მაშინ სერიალ M*A*S*H-ის ბოლო ეპიზოდს 106-მილიონიანი აუდიტორია ჰყავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ტელეპროგრამების მიმართ მაყურებელთა ინტერესი მცირდება, სუპერბოულის აუდიტორია ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ზემოთ იწევს. შესაბამისად, იზრდება სარეკლამო ფასებიც. კერძოდ, წლევანდელი ფინალის დროს 30-წამიანი სარეკლამო რგოლის გაშვების ღირებულება 3 მილიონ დოლარს შეადგენდა.

## ფორმულა 1

# რუსული დებიუტი არ იქნება?

როგორც უკვე იცით, 2010 წლის სეზონში ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველად ტრასაზე რუს პილოტს ვიხილავთ. ფრანგულმა „რენომ“ პოლონელი **რობერტ კუბიცას** მეწყვილედ **ვიტალი პეტროვი** აირჩია.

მაგრამ ახლა ირკვევა, რომ პეტროვს „რენოს“ მიმართ გარკვეული ფინანსური ვალდებულებები გააჩნია - კერძოდ, რუსმა ფრანგებს პირველ მარტამდე 7.5 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტალის „რენოს“ ბოლიდის საჭესთან ვერ ვიხილავთ.

*„რენოს“ ხელმძღვანელობამ 15 მილიონი ევრო მოგვთხოვა. ჩვენმა მენეჯერმა მაშინვე დაიწყო სპონსორის ძებნა. კარგია, რომ „რენომ“ გარკვეული შეღავათი მოგვცა და თანხის ორ ნაწილად გადახდის ნება დაგვრთო - პირველი ნახევარი მარტამდე უნდა შევიტანოთ, მეორე - ივლისამდე“*, - ამბობს რუსი პილოტის მამა **ალექსანდრ პეტროვი**.

როგორც ირკვევა, ფორმულა 1-ის პილოტის ოჯახს ასეთი თანხა არ აღმოაჩნდა.

*„როცა ვიტალის ვუთხარი, რომ ფულს ვერ მოვიძიებდით და ფორმულა 1-ის კარიერა უნდა დაგვევიწყებინა - ტირილი დაიწყო. ბავშვობაში მისი ცრემლი არასოდეს მინახავს, ახლა კი იმხელა შოკი მიიღო, რომ თავი ვერ შეიკავა. მადლობა ღმერთს, ჩემმა მეგობარმა - სანქტ-პეტერბურგის ერთ-ერთი ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ - 7.5 მილიონი ევროს ოდენობის კრედიტი გამოგვიყო. ამისთვის მთელი ქონების გირაოში ჩადება, მომიწია.*

*თუმცა დრო არც ისე ბევრი გვაქვს. თუ სეზონის შუა ნაწილისთვის დარჩენილ 7.5 მილიონს ვერ ვიშოვით, „ვიტალი პეტროვის“ ბრენდსა და ჩვენი შემოსავლების ნახევარზე უფლებები „რენოს“ გადაეცემა. ფინელები დაგვპირდნენ ხარჯის სრულად დაფარვას, ოღონდ იმ პირობით, თუ ვიტალი ამ ქვეყნის სახელით გავა ტრასაზე, მაგრამ ჩვენ ამაზე არ წავალთ“*, - ამბობს უფროსი პეტროვი.

## ოლიმპიზმი. ვანკუვერი 2010

# ჰულა-ჰუპის მეფე

### ჟაკ როგეს წინასაოლიმპიადო პრესკონფერენცია

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგეს განცხადებით, 2014 წელს სოჭის ზამთრის ოლიმპიადის პროგრამაში, შესაძლოა, სპორტის ახალი სახეობები გაჩნდეს. როგორც პრეზიდენტი ამბობს, მისი ორგანიზაცია მუდმივად ადევნებს თვალს ახალი სპორტული დისციპლინების პოპულარობის დონეს.

*„ჩვენ ამ საკითხებს სპორტულ ფედერაციებთან ერთად განვიხილავთ, ვითვალისწინებთ ექსპერტებისა და გულშემატკივრები, აზრს. მაგრამ იმის საშიშროებაც არსებობს, რომ ზოგიერთი დისციპლინა სწრაფად გამოვიდეს მოდიდან. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ახალი სახეობა დროს გაუძლებს“*, - განაცხადა ჟაკ როგემ ვანკუვერში გამართულ პრესკონფერენციაზე.

პრეზიდენტმა მაგალითად პირადი გამოცდილება მოიყვანა. კერძოდ, 60-იანი წლების ბოლოს მოდური ვარჯიში - ჰულა-ჰუპი (წელით რგოლის ტრიალი) დღეს თითქმის აღარავის ახსოვს. *„მე მაშინ 16 წლის ვიყავი და ჰულა-ჰუპის მეფედ ვითვლებოდი“*, - ამბობს 67 წლის სპორტული ფუნქციონერი.

1992 წლიდან მოყოლებული, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ზამთრის ოლიმპიადის პროგრამაში სპორტის ხუთი ახალი სახეობა შეიტანა: შორტ-ტრეკი, ფრისტაილი, ქიორლინგი, სნოუბორდი და სკელეტონი. ერთ-ერთი დისციპლინა, რომლის დებიუტიც შეიძლება სოჭის ოლიმპიადაზე შედგეს, ქალთა ტრამპლინიდან ხტომა გახლავთ. დღეისთვის, მხოლოდ ეს სახეობა და სათხილამურო ორჭიდი არ არის ქალებს შორის წარმოდგენილი ზამთრის ოლიმპიადაზე.

■ ■ ■

მოახლოებული ოლიმპიადის წინ კანადურმა პრესამ აქტიურად დაიწყო „რუსული დოპინგის“ თემის წამოწევა. ჟაკ როგეს გუშინდელ პრესკონფერენციაზე დასმული 15 შეკითხვიდან - ექვსი რუსი სპორტსმენების მიერ დოპინგის ხშირი მოხმარების საკითხს შეეხებოდა.

კანადელებისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა ყველაზე დიდ აღშფოთებას იწვევს რუსეთის ბიატლონისტთა ნაკრებში **ოლგა მედვეტცევას** ყოფნა. ეს სპორტსმენი ტურინის ოლიმპიადაზე **პილიოვას** გვარით გამოდიოდა და მაშინ ის დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს, რასაც ორწლიანი დისკვალიფიკაცია მოჰყვა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალი წესების თანახმად, სპორტსმენი, რომელიც აკრძალული პრეპარატის მიღებაში იქნება მხილებული, ავტომატურად ტოვებს მომდევნო ოლიმპიადას. მაგრამ ეს წესი 2008 წელს შემოიღეს და ჟაკ როგე წინააღმდეგია მედვეტცევას დასჯის, რადგან მას დისკვალიფიკაციის ვადა იქამდე გაუვიდა, სანამ ეს კანონი შევიდოდა ძალაში. *„მან უკვე მიიღო წინა შეცდომების გამო სასჯელი“*, - ამბობს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

ამასთან, როგემ ისიც განაცხადა, რომ შეშფოთებულია რუსი სპორტსმენების ხშირი სადოპინგო სკანდალების გ. მო. მისი თქმით, ეს თემა მან რუსეთის მთავრობასთან შეხვედრისას წამოსწია და პრეზიდენტს დაჰპირდნენ, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი გაკეთდება სიტუაციის გამოსასწორებლად.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი | |
|---|---|
| მანჩესტერ სიტი-ბოლტონი | 2:0 |
| პორტსმუთი-სანდერლენდი | 1:1 |
| უიგანი-სტოკი | 1:1 |
| ფულჰემი-ბარნლი | 3:0 |
| **ჩემპიონატი** | |
| კარდიფი-პიტერბრო | 2:0 |
| ქოვენთრი-ნოტინგემი | 1:0 |
| დერბი-ნიუკასლი | 3:0 |
| ლესტერი-დონკასტერი | 0:0 |
| პრესტონი-შეფილდი | 2:1 |
| უენსდი-ბლეკპული | 2:0 |
| უოტფორდი-ბრისტოლი | 2:0 |
| ვესტ ბრომვიჩი-სკანთორფი | 2:0 |
| კრ. პალასი-სუონსი | 0:1 |
| მიდლსბრო-ბარნსლი | 2:1 |
| ქუინზ პარკი-იფსვიჩი | 1:2 |
| რიდინგი-პლიმუტი | 2:1 |
| **I ლიგა** | |
| ბრაიტონი-ჰადერსფილდი | 0:0 |
| როვერსი-უოლსოლი | 0:1 |
| ჯილინგემი-ტრანმერი | 0:1 |
| სუინდონი-ოლდჰემი | 4:2 |
| **II ლიგა** | |
| ბორნმუთი-ნოტსი | 2:1 |
| ბერი-მაკლსფილდი | 2:1 |
| ჩელტენემი-ბარტონი | 0:1 |
| დარლინგტონი-ლინკოლნი | 1:1 |
| ნორთჰემპტონი-აკრინგტონი | 4:0 |
| პორტ ვეილი-ჩესტერფილდი | 1:2 |
| როტერჰემი-დაგენჰემი | 2:0 |
| შრიუსბერი-ბარნეტი | 2:0 |
| **კონფერენსი** | |
| ებსფლიტი-ჰისტონი | 0:1 |
| ჰეიესი-გრეისი | 4:0 |
| ლუტონი-ოქსფორდი | 2:1 |
| რაშდენი-ისტბურნი | 2:0 |
| სტივენეიჯი-მენსფილდი | 3:1 |
| რექსჰემი-ტამუორტი | 0:0 |
| ფორესტ გრინი-ჩესტერი | გადაიდო |

| გერმანია | |
|---|---|
| **III ბუნდესლიგა** | |
| რეგენსბურგი-ვუპერტალი | 1:0 |
| **გერმანიის თასი. 1/4 ფინალი** | |
| ვერდერი-ჰოფენჰაიმი | 2:1 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-მეცი | 0:1 |
| **საფრანგეთის თასი. 1/8 ფინალი** | |
| ბულონი-გინგამი | 1:0 |
| ბოვე-სოშო | 1:4 |
| კევილი-რენი | 1:0 |
| ვესული-პსჟ | 0:1 |

| ბელგიის თასი | |
|---|---|
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| მეხელენი-გენტი | 2:2 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| **ლიგის თასი. 1/2 ფინალი** | |
| სპორტინგი-ბენფიკა | 1:4 |

| შოტლანდია | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| ალოა-კოუდენბითი | 2:1 |
| **III დივიზიონი** | |
| ანენი-ბირუიკი | 1:1 |
| ალბიონი-ლივინგსტონი | 0:2 |

| უელსი | |
|---|---|
| ეირბასი-ლანელი | 0:1 |
| ნიუთაუნი-ნითი | 1:0 |

**კალათბურთი**

| ევროთასი | |
|---|---|
| უნიქსი-ჰაპოელი (ი) | 78:71 |
| ტურკ ტელეკომი-ცრ. ზვეზდა | 67:89 |
| გალათასარაი-ვალენსია | 78:82 |
| ალბა-არისი | 61:65 |
| ბამბერგი-ბილბაო | 55:76 |
| პანელინიოსი-ბენეტონი | 88:79 |
| ლე მანი-ხუვენტუდი | 62:70 |
| გრან კანარია-ნიმბურკი | 69:54 |
| **ევროჩელენჯი** | |
| ენისეი-ბანვითი | 77:82 |
| კრ. კრილია-აელ | 70:67 |
| ბუდუჩნოსტი-აპოელ | 89:76 |
| გეტინგენი-ეიფელ ტაუერსი | 89:69 |
| ერტლანდი-ზაგრები | 70:72 (ო) |
| ანტვერპენი-როანი | 70:89 |
| ლიეჟი-ჟელეზნიკი | 72:77 |
| სკავოლინი-შალონი | 88:83 |

**ჰოკეი**

| გერმანია | |
|---|---|
| ჰანოვერი-აისბარენი | 3:3 ბულ. 0:1 |
| შტრაუბინგი-ფრანქფურტი | 3:5 |
| **ნორვეგია** | |
| სტორჰამარი-სპარტა | 3:5 |
| **ფინეთი** | |
| კალპა-ტპს | 2:4 |
| ლუკო-იოკერიტი | 3:2 |
| პელიკანსი-ესეტი | 3:7 |
| სეიპა-ჰპკ | 2:6 |
| ჰიფკ-კიეკო | 3:2 |
| იუვიასკიულა-ტაპარა | 6:3 |

**ჩოგბურთი**

| ATP. კოშტა დუ საუპე | |
|---|---|
| ჟილი-ანდუხარი | 7:6, 6:2 |
| ანდრეევი-სტარაჩე | 6:2, 6:2 |
| მასუ-დუტრა სილვა | 6:4, 3:6, 6:4 |
| მაშადო-დანიელი | 6:3, 7:6 |
| **ATP. როტერდამი** | |
| ლოდრა-ჩუიდინელი | 1:6, 7:6, 6:7 |
| გარსია ლოპესი-ილჰანი | 1:6, 4:6 |
| ლუბიჩიჩი-ბენეტო | 3:6, 3:6 |
| დე ბაკერი-ჰაიეკი | 7:6, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-სტახოვსკი | 6:2, 6:1 |
| იუჟნი-გოლუბევი | 1:6, 7:6, 7:6 |
| **ATP. სან ხოსე** | |
| ბეკერი-სმიჩეკი | 6:4, 6:2 |
| შარდი-ფაუ | 3:6, 1:6 |
| **WTA. პარიზი** | |
| პავლიუჩენკოვა-ბენეშოვა | 6:1, 6:0 |
| პეტკოვიჩი-სრებოტნიკი | 7:5, 6:2 |
| ოუდინი-კირსტეა | 6:3, 6:0 |
| საფაროვა-პაშეკი | 6:0, 6:3 |
| რაზანო-შნიდერი | 3:6, 6:7 |
| ოლარუ-გარბინი | 6:3, 2:6, 4:6 |
| ბაშჩინსკი-შპრემი | 5:7, 1:6 |
| სკიავონე-მანასიევა | 6:0, 6:0 |
| პეერი-კორნე | 6:4, 6:1 |
| კლეიბანოვა-კუანი | 7:5, 6:4 |
| **WTA. პატაია სიტი** | |
| გორჯესი-გერასუმი | 6:4, 6:4 |
| ზვონარევა-პერვაკი | 6:3, 6:2 |
| ბიჩკოვა-ლუანგნამი | 6:7, 6:1, 7:6 |
| კარატანჩევ-ვირატპრასერტი | 6:1, 7:5 |
| ტანასუგარნი-კუდრიავცევა | 6:1, 6:2 |
| ჩანი-ჩოი | 6:2, 6:3 |

## TV პროგრამა

**10 თებერვალი. ოთხშაბათი**

### SPORT 1 (უკრაინა)

08:30 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ტურის მიმოხილვა.
09:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
11:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ბოლტონი.
12:45 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
13:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ბარნლი.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კალიარი.
16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-სტოკი.
18:35 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
18:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ბოსტონი.
20:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
21:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:15 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. III ტური. ცსკა-პროკომი (LIVE).
23:05 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:15 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
23:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული (LIVE).
01:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ინტერი.
03:30 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
04:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
05:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-სტოკი.
07:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

### SPORT 2 (უკრაინა)

08:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლივორნო-იუვენტუსი.
10:15 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
11:20 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
11:50 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
12:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
14:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ბოლტონი.
16:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:45 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ტური. მაკაბი-რეალი.
19:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-სტოკი.
21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კალიარი.
22:45 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
23:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ (LIVE).
01:45 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
04:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.
05:50 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. III ტური. ცსკა-პროკომი.
05:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.

### EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი.
11:45 მულტისპორტი.
12:00 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
12:30 აფროსნობა. ამერიკის თასი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
15:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
19:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია.
20:45 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
21:15 ვანკუვერი 2010. ტელეჟურნალი.
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:10 აფროსნობა. ამერიკის თასი. ვალენსია. ესპანეთი.
22:20 მულტისპორტი.
22:25 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური. ბორდო. საფრანგეთი.
23:25 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:30 გოლფი. PGA-ის ტური.
00:30 გოლფი. ევროტური.
01:00 გოლფ-კლუბი.
01:05 აფროსნობა. რეგატა Rolex Sydney Hobart.
01:35 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:40 მულტისპორტი.
01:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. პარიზი. საფრანგეთი.
03:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ტალინი. ესტონეთი.
04:00 ვანკუვერი 2010. ტელეჟურნალი.
04:20 აფროსნობა. ამერიკის თასი. ვალენსია. ესპანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანა და სერენა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა და ქალთა პროფესიული ტურის მთავარმა ლამაზმანმა **ანა ივანოვიჩმა** მონაწილეობა მიიღო პოპულარულ გამოცემა Sports Illustrated-ის ფოტოსესიაში.

ჩოგბურთის ვარსკვლავები ხშირად სტუმრობენ ამ ჟურნალს. ადრე მსგავსი ფოტოსესია მოაწყვეს დებმა **უილიამსებმა, ტატიანა გოლოვინმა, მარია შარაპოვამ, ანა კურნიკოვამ, მარია კირილენკომ** და **დანიელა ჰანტუხოვამ.**

■ ■ ■

მეორე ამერიკული ჟურნალი - VIBE არ ჩამორჩა Sports Illustrated-ს და მანაც ჩოგბურთელის ფოტოსესია შემოგვთავაზა. ფოტოობიექტივის წინ მსოფლიოს ამჟამინდელი პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი** პოზირებდა.

ამ ფოტოსესიამ ამერიკელი ჩოგბურთელის გულშემატკივართა აღფრთოვანება გამოიწვია. ინტერნეტფორუმები და ბლოგები სავსეა ასეთი შეფასებებით - „შესანიშნავი", „ბუნებრივი", „ორიგინალური", „უჩვეულო", „სექსუალური"...

**გია თვალაბეიშვილი**





















